# საერთო გაზეთი

WWW.SAERTOGAZETI.ORG

№06 (240) ● 6-12.III.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## მოხვდება თუ არა სხვათა განმსჯელი კუბლაშვილი განსასჯელის სკამზე?



რა სახსრებით ააშენა „ბუკიას ბაღში“ ოთხსართულიანი სასახლე კოტე კუბლაშვილის ვანელმა ცოლისდამ?

დღეს ქართული მართლმსაჯულება მთავრდება იქ, სადაც კოტე კუბლაშვილის ფეხები იწყება

## დავით ფაცაცია:



თქვენი გაზეთის საშუალებით ვთხოვ მიხეილ სააკაშვილს — დამდოს პატივი და თავისი ქოჩრიდან თმის ერთი ღერი მაჩუქოს!

## ლუკა კურტანიძე:



მომავალ კვირას საქართველო ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩვენი მიზანია, ოქროს მედლების უმრავლესობა საქართველოში დარჩეს

## ლუციფერის ეფექტი



სკანდალური ფაქტები მთელ მსოფლიოში დაფანტული აშშ-ს საიდუმლო ციხეების შესახებ

## მერაბ შათირიშვილი:

„ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური პარტია კი არა სატანისტური სექტაა



არ გაგიკვირდეთ, სულ მალე ქუჩაში ტრუსების ამარა მორბენალი სააკაშვილი ნახოთ

ISSN 2233-3983



## თემურ მონიავა: სტალინის და ნაპოლეონის გარდაცვალების მიზეზები გაირკვა და ზურაბ ჟვანიას საქმე რით ვერ გამოიძიეს?!

## შალვა გოგიაშვილი: რატომ გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური?



# დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

**ვახტანგ ხარჩილავა**

საქართველოს წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მზადდება და, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ამ შეთქმულების მოთავე და მთავარი ორგანიზატორი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია.

საქართველოს ისტორიას ვერაგობის ბევრი მაგალითი ახსოვს, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, მაინც უიშვიათესი და უპრეცედენტო ამბავია — ადამიანი, რომელიც გვიმტკიცებს, რომ საქართველოს პრეზიდენტია, იქვე ამატებს, რომ შეთავსებით ის ოპოზიციაშიც არის და ოპოზიციად წოდებული „ნაცმოძრაობის" ლიდერიც გახლავთ თურმე.

მსგავსი რამ საქართველოში კი არა, ჩემი აზრით, მსოფლიოში არ მომხდარა.

ყოველ შემთხვევაში, მე, პირადად, მსგავსი არაფერი მახსენდება.

რა ბედი გვაქვს ასეთი — ყველაფერი უცნაური და ანომალიური საქართველოში უნდა მოხდეს?

**საქართველოს ფსიქიატრიული რესპუბლიკა — ეს ფრაზა 1 ოქტომბრის არჩევნებამდე გაჟღერდა, თუმცა არც 1 ოქტომბრის შემდეგ შეცვლილა მდგომარეობა.**

ქვეყანა დღესაც მძიმე ფსიქიკური აშლილობის, შიზოფრენიის და ნერვიული სტრესის ზღვარზე იმყოფება.

ერთი ნაპერწკალი და შეიძლება ყოველივე ამან ისეთ რისხვად ამოხეთქოს, ქვა ქვაზე არ დარჩეს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველ ხალხს მიზანმიმართულად აგიჟებენ, რომ როგორმე წონასწორობიდან გამოიყვანონ და აიძულონ, ქვით და კეტით შეიარაღებული ქუჩაში გამოვარდეს.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, საქართველოს წინააღმდეგ ღიად და დაუფარავად მიმდინარეობს სამზადისი სამოქალაქო დაპირისპირებისა და არეულობისთვის.

პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილი და მისი გუნდი ასევე ღიად და დაუფარავად ეწევიან ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

სააკაშვილი ამასაც არ ჯერდება და სულ ახლახან ქართული სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების მისეული „გეგმაც" შემოგვთავაზა.

თურმე ნუ იტყვით და, აღმოსავლეთ საქართველოში ვინმე სადიკოვი აპირებს აზერბაიჯანული ავტონომიის შექმნას, სამხრეთში კი ხელიგნობისთვის ნასამართლევი ჩახალიანი აყალიბებს სომხურ „სახელმწიფოს".

არ არის გამორიცხული, არც სადიკოვს ჰქონდეს ასეთი ავი განზრახვა, არც ჩახალიანს და ყველაფერი ეს სააკაშვილის მიერ გაგზავნილი მესიჯი იყოს იმ ძალებისთვის, რომლებსაც მართლა აქვთ გუნებაში ასეთი რამ.

ისმის კითხვა — ხომ არ მიანიშნებს და ხომ არ აქეზებს პატივცემული სააკაშვილი ამ სეპარატისტულ ძალებს, რომ შესაფერისი მომენტი დადგა და, არიქა, ბიჭებო, დროულად იმოქმედეთო.

არადა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლები, რომელთა მიხედვითაც ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულების, არეულობის, დესტაბილიზაციის მცდელობა უმკაცრესად ისჯება, თუმცა ახალ ხელისუფლებას და მის სათანადო სტრუქტურებს ეს მუხლები, ჯერჯერობით, არც გახსენებია...

**რა ნაცმოძრაობასთან ყოფილხარ კოაბიტაციაში და რა დისტანციური მართვის ბომბი წამოგიკიდია ზურგზე, რომლის ასაფეთქებელი პულტის ღილაკზე ვიღაც უცნობ და უხილავ „ტერორისტს" უდევს თითი. ბომბის თავიდან მოშორებას შეეცდები — შეიძლება აგაფეთქოს.**

— ოქტომბრის თვემდე უნდა გავძლოთ როგორმეო, — ისმის მოწოდებები.

ოქტომბერში ისეთი რა ხდება, რომ სააკაშვილი ადგეს და მშვიდად წავიდეს?

ოქტომბრამდე მისვლა კი არ აინტერესებს „ნაცმოძრაობას", ოქტომბრამდე სიტუაციის აფეთქება სურს და ამისთვის სჭირდება დრო, რომ აფეთქების მომზადება მოასწროს და ამ გზით ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდეს.



**საქართველო უფრო და უფრო ემსგავსება ფსიქიატრიულ კლინიკას, სადაც კლინიკის მთავარ გიჟს მძევლად ჰყავს აყვანილი მომსახურე პერსონალი და თუ საშუდამოდ არ მაღიარებთ პრეზიდენტად, ყველას დედა-ბუდიანად ამოგჟლეტთო, — იმუქრება.**

* * *

იყო დრო, მოღალატე ქართველები ხან ირანის შაჰთან გარბოდნენ, ხან თურქეთის სულთანთან, ხან მონღოლ ნოინებთან და იმათგან ჯარით, ფულით მხარდაჭერილნი და ზურგგამაგრებულნი საკუთარ სამშობლოს საოცარი სისასტიკით და აზარტით უსწორდებოდნენ.

**დღეს სააკაშვილის მფარველი შაჰის, სულთნის თუ ნოინის ვინაობა ერთ მაგიურ ფრაზაში გაერთიანდა.**

**საერთაშორისო თანამეგობრობა — ასე ჰქვია ამ გაერთიანებას, რომელმაც ვადაამოწურული სააკაშვილი კიდევ ათი თვით დაგვინიშნა პრეზიდენტად და „გვიბრძანა" — კეთილი ინებეთ და ამ ვადაგასულთან ოქტომბრამდე კოაბიტაციის რეჟიმში იცხოვრეთო.**

კოაბიტაციის რა მოგახსენოთ, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობამ ამ გადაწყვეტილებით ისეთი განსაცდელი მოგვივლინა, რომელსაც ან გადავურჩებით, ან ვერა.

* * *

მთავარი შეცდომა მაშინ იქნა დაშვებული, როცა პარლამენტმა არ გამოიჩინა პრინციპულობა და ოფიციალურად არ გამოაცხადა, რომ 2013 წლის 20 იანვარს მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა გაუვიდა.

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ის ფაქტი, რომ ახალმა ხელისუფლებამ 2013 წლის 20 იანვარი სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის უფლება-მოვალეობის შეწყვეტის დღედ არ აღიარა, სწორედ რომ კანონისა და კონსტიტუციის უხეში დარღვევაა.

საპარლამენტო უმრავლესობამ არა და არ იღო ყურად, რომ აუცილებელია გაკეთდეს სააკაშვილის კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის პოლიტიკური შეფასება, რასაც ავტომატურად მოჰყვება ამ რეჟიმის შემოქმედთა სამართლებრივი პასუხიმგებლობის საკითხი.

**„ქართულმა ოცნებამ" უნდა ირწმუნოს ერთი რამ: ფუჭი და ამაოა სააკაშვილთან ყოველგვარი მოლაპარაკება, უზნეობაა სააკაშვილთან და მის დანაშაულებრივ რეჟიმთან ყოველგვარი გარიგება.**

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ერთხელ განაცხადა:

— ჩვენ არ მოვექცევით მათ ისე, როგორც ისინი ამას იმსახურებენ. ჩვენ მათ მოვექცევით ისე, როგორც ამას ქართველი ხალხის კულტურა გვიკარნახებსო.

ქართველი ხალხი როცა დამნაშავეს მოიკვეთდა ხოლმე, არც დილეგში აგდებდა, არც ხაროში ამწყვდევდა, არც ბორკილს ადებდა — უბრალოდ, მოიკვეთდა და მშობლიური კუთხიდან გააძევებდა.

მართლაცდა, როგორი სასჯელია, ადამიანს სიყვარულზე, თანალმობაზე უარს რომ ეტყვი.

თუ ადამიანს რაღაც ადამიანური შერჩენია, უფრო მკაცრი სასჯელი, ალბათ, არ არსებობს.

**ქართველმა ხალხმა 1 ოქტომბერს „ნაცმოძრაობას" განაჩენი გამოუტანა და მოიკვეთა...**

**რამდენიც არ უნდა იძახოს საერთაშორისო თანამეგობრობამ, რამდენიც არ უნდა შეულოცოს „კოაბიტაციური ლოცვები" ამ მოკვეთილი ნაწილის საქართველოს სხეულისთვის ხელახლა მიკერება და მიწებება შეუძლებელია.**

და თუ მაინც შეეცდება რომელიმე „დასტაქარი" ამ მკრეხელური ოპერაციის ჩატარებას, ეს აუცილებლად გამოიწვევს მთელი სხეულის განგრენას და ლპობას.

## ეკონომიკური პროფილის კომიტეტებმა პრეზიდენტის ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს



ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო დანაშაულების ამნისტირების თაობაზე პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა მხარი არ დაუჭირეს.

საკითხის განხილვა ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გაიმართა. უმრავლესობის წევრების მთავარი შეკითხვები ის იყო, თუ სად იყო აქამდე მიხეილ სააკაშვილი და რატომ არ გამოვიდა ის 1 ოქტომბრამდე ფინანსურ-ეკონომიკურ დანაშაულთა ამნისტირების ინიციატივით.

საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილსა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძის მოსაზრებით, საქართველოში არ დარჩა ბიზნესი, რომელსაც საგადასახადო ორგანო არ შეხებია — მათ შორის, იყო ბიზნესის წართმევის ფორმებიც. შესაბამისად, მათთვის საინტერესოა, კონკრეტულად ვისზეა გათვლილი პრეზიდენტის მხრიდან წარმოდგენილი ცვლილებები. საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მოსაზრებით, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტს წარმოდგენილი ცვლილებების მიღებას პარლამენტს მასთან დაახლოებული ბიზნესმენებისათვის სთავაზობს და ინდულგენციის დაკანონებას ითხოვს.

## საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს" განცხადება!

ა.წ.19 მარტს,(ორი კვირის შემდეგ) სამშაბათ დღეს, 17:00 სთ-ზე, „რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში" გაიმართება საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს" გაფართოებული შეკრება. გაკეთდება მიმართვები ქართული საზოგადოებისთვის მტკივნეულ თემებზე, როგორც საერთაშორიოს თანამეგობრობის, ისე მედია-ჟურნალისტების, ხელისუფლებისა და პროკურატურის მისამართით. დასწრება თავისუფალია.

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს" გამგეობა.**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

## საქართველოს პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადება



საქართველოს მთავრობა აგრძელებს ძალისხმევას ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დასაჩქარებლად, ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად და რეგიონში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ჩვენი ამოცანაა, პირნათლად შევასრულოთ ევროკავშირთან და ნატოსთან ნაკისრი ვალდებულებები, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ურთიერთობები მეგობარ აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და უკრაინასთან და გადავდგათ ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისკენ.

ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელი უპასუხისმგებლო განცხადებები და მოქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის კურსს აღნიშნული მიმართულებებით, ლახავს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს და უქმნის დამატებით საშინაო და საგარეო პრობლემებს ახალ ხელისუფლებას. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეგობარი სახელმწიფოების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რისთვისაც საქართველოს მთავრობის სახელით მათ ბოდიშს ვუხდი.

ვინაიდან არც მომავალში ვართ დაზღვეული მსგავსი ინციდენტებისგან, მინდა განვაცხადო, რომ საქართველოს პრეზიდენტი 2013 წლის ოქტომბერში მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით, მისი ვიზიტები არ არის კოორდინირებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მისი განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობის პოზიციებს, თუ ეს არ არის დადასტურებული ქვეყნის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ.

**4 მარტი**, 2013

# დღეს ქართული მართლმსაჯულება მთავრდება იქ, სადაც კოტე კუბლაშვილის ფეხები იწყება

***დღეს ქართული სახელმწიფო მართლმსაჯულება იქ, სადაც კოტე კუბლაშვილის ფეხები იწყება.***

***ბატონ კოტეს ქართული მართლმსაჯულება და მასთან ერთად ქართველი ხალხიც სულ ფეხებზე ვკიდივართ და საიდანღაც მაღლიდან ჩამოგვძახის — დიახაც, სულ ფეხებზე მკიდიხართ და ფეხები არ მომჭამოთ ვინმემ, ხელშეუხებელი ვარო.***

***მოკლედ რომ მოვჭრათ, „კოტე ხელშეუხებელი“ თავისი მოსამართლეების ბატალიონთან ერთად როგორც უნდა ისე ჭრის და კერავს და ამას სამართალს და სასამართლოს ეძახის.***

**— თუ გვინდა ქვეყანაში სასიკეთო ძვრები დაიწყოს, დე-კოტე-იზაცია აუცილებელიაო,** — ბრძანებს მინდია უგრეხელიძე.

იგივე აზრისაა ეკა ბესელიაც, ოღონდ ქალბატონი ეკა დე-კოტე-იზაციას იურიდიულ ტერმინს იმპიჩმენტს არქმევს.

— აპაპაპა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტი, თუ ძალიან სერიოზული დანაშაული არ აქვს ჩადენილი, როგორ შეიძლებაო — ხელებს ასავსავებენ ვიღაც-ვიღაცები და — ხელები შორს კოტე ხელშეუხებლისგანო! — მოგვიწოდებენ.

— დანაშაული როგორ არ აქვს ჩადენილი — ორი ადამიანი ჰყავს დანიშნული მოსამართლედ, რომლებსაც იურისტის დიპლომი არ აქვთ, — აპროტესტებენ იმპიჩმენტის მომხრეები.

— ოოო, ეგ უკვე სულ სხვა ამბავია. თუ ეს დამტკიცდა, კი, ბატონო, გვქონია იმპიჩმენტის საფუძველი, — ფარ-ხმალს ყრიან კოტე ხელშეუხებლის ქომაგები.

რა მაკვირვებს და რა მაოცებს, იცით? — როდის დავანებებთ თავს თავის მოსულელებას და საკუთარი ხელით თვალში ნაცრის შეყრას.

**ორი ადამიანის მოსამართლედ უკანონოდ დანიშვნა, რა თქმა უნდა, დანაშაულია, მაგრამ განა ამაზე გაცილებით დიდი დანაშაული არ არის, როცა მთელი სასამართლო კორპუსი, კოტე კუბლაშვილის „სარდლობით“, „ნაცმოძრაობის“ ჟურმოჭრილი მონა იყო და რასაც ზემოდან უბრძანებდნენ, იმას ასრულებდნენ სიტყვის შეუბრუნებლად.**

კოტე კუბლაშვილმა, ფაქტობრივად, მოკლა ქართული სასამართლო, წაართვა მართლმსაჯულების ფუნქცია და ანგარიშსწორების და ინკვიზიციის სადამსჯელო რაზმად აქცია.

ეს არ არის უმძიმესი დანაშაული. როგორ ფიქრობთ თქვენ, ვინც კუბლაშვილის იმპიჩმენტთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ყოყმანობთ და ათასგვარ ნორმებს და აქტებს იშველიებთ კუბლაშვილის დასაცავად და გადასარჩენად.

დღეს კუბლაშვილის გადარჩენაზე კი არა ქართული სახელმწიფოს გადარჩენაზე უნდა ვიფიქროთ პირველყოვლისა, ეს კი თითქმის შეუძლებელია, თუ კუბლაშვილს და მის ამქარს დროზე არ ამოვდეთ ლაგამი.

რა არის სახელმწიფო და რისთვის და რა მიზნით მოიგონეს იგი ადამიანებმა?

სხვა მრავალ ფუნქციათა შორის სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უპირველესი ფუნქცია ის არის, რომ სახელმწიფოში არსებული კანონების შესაბამისად დაიცვას მისი მოქალაქეები და აღასრულოს სამართალი.

თუ ამ ფუნქციას სახელმწიფო ვერ ასრულებს, მაშინ, საერთოდ, ეჭვქვეშ დგება მისი არსებობის აუცილებლობა.

**მიხეილ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ დღეს ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა ფუნქციონირება შეწყვიტოს და ქვეყანა ანარქიამ მოიცვას.**

## დე-ვანოი-ზაციას აუცილებლად უნდა მოჰყვეს დე-მიხოი-ზაცია და დე-კოტეი-ზაცია





უმთავრესი ბერკეტი ამ ანტისახელმწიფოებრივი მიზნის მისაღწევად სწორედ სასამართლო გახლავთ.

**თუ სასამართლო არ შეასრულებს თავის მთავარ დანიშნულებას, მაშინ აზრს ჰკარგავს, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის, ასევე თავად სახელმწიფოს არსებობაც, რადგან სახელმწიფო სასამართლოს გარეშე ეს არის სივრცე, სადაც სრული განუკითხაობა და ქაოსი სუფევს.**

დღეს საქართველოში სასამართლო, იმ ფორმით და იმ გაგებით, როგორც ეს XXI საუკუნეს შეეფერება, არ არსებობს.

**იჭერს შსს, ბრალს დებს პროკურატურა, სასამართლო ათავისუფლებს!**

საუბარია არა წვრილმან, ნაკლებადსაშიშ დანაშაულობებზე, არამედ განსაკუთრებით მძიმე კანონდარღვევებზე — ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე, ადამიანების უფლებათა უხეშ დარღვევებზე, მკვლელობებზე, ადამიანების წამებაზე, მილიონების გატაცებასა და გაფლანგვაზე.

სასამართლო საზოგადოების მიმართ აბსოლუტურ უპატივცემულობას, ხაზგასმულად ცინიკურ დამოკიდებულებას იჩენს.

ეს ხდება მაშინ, როცა საქმე ეხება „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა დანაშაულებრივ ქმედებებს.

ასე, მაგალითად, სასამართლომ გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით, არ შეასრულა პროკურატურის არც ერთი მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით უგულავას ბრალეულობა ეჭვს არ იწვევდა. „ნაციონალური მოძრაობა“ აბუჩად იგდებს ქართველ ხალხს და ახალ ხელისუფლებას, რომლებმაც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა 1 ოქტომბრის არჩევნებზე.

**როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, დღეს ქართული მართლმსაჯულება მთავრდება იქ, სადაც იწყება კოტე კუბლაშვილის ფეხები.**

* * *

**— არ არის სამართალი, არ არის მშვიდობა! — თქვა მარტინ ლუთერ კინგმა.**

**ჩვენი სიტუაციის გათვალისწინებით, ამ სიტყვებს ასეთი პერიფრაზით შემოგთავაზებთ:**

**— არ არის სამართალი, არ არის სახელმწიფო!**

**გამოდის, რომ ქართული სახელმწიფოც იქ მთავრდება, სადაც იწყება კუბლაშვილის ფეხები.**

**ჯერჯერობით მხოლოდ დე-ვანოი-ზაცია მოვახერხეთ, მაგრამ ამას დე-მიხოი-ზაცია და დე-კოტეი-ზაციაც თუ არ დაემატა, ქვეყანა შეიძლება კვლავ უფსკრულის პირას აღმოჩნდეს...**

**გიორგი გამეზარდაშვილი**

**გვესაუბრება პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი დავით ფაცაცია.**

**— დავით, რა იყო პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ შექმნის მთავარი მიზანი?**

— ბიძინა ივანიშვილმა როცა თავისი პირველი პოლიტიკური განცხადება გააკეთა, ბრძანა, რომ იწყებდა ბრძოლას ქვეყნის გადასარჩენად. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ბევრი უსამართლობა და სიმწარე იხილა ქართველმა ხალხმა, 26 მაისიდან ყველა დავრწმუნდით, რისი მკადრებელი და მკისრებელი იყო წინა ხელისუფლება და გვედგა ყოფნა-არყოფნის ჟამი, მიჯნაზე ვიდექით. ქვეყანა უნდა გადაგვერჩინა, ტრადიციები უნდა შეგვენახა, ქვეყნისთვის უნდა მოგვევლო. „ქართული ოცნება“ ამ მიზნით შეიქმნა, დარწმუნებული ვარ, ასე გააგრძელებს არსებობას, რადგან არც ერთი ჩვენგანი არ მისცემს თავს უფლებას უზნეო და ქვეყნის საზიანო საქმეები გააკეთოს.

— ყველა პარტია, როცა მოდის ხელისუფლებაში, ცდილობს თავს მისცეს საზოგადოებას თავისი მიმართულებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს სხვა პარტიების მიუღებლობას, როგორც ამას ნაციონალური მოძრაობა აკეთებდა.

**— დღეს პარტია „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ორბიტა-**



და იმ დემოკრატიამდე უნდა მივიდეთ, ბიძინა ივანიშვილმა რომ განაცხადა — მთელი მსოფლიო უნდა გავაოცოთ.

**— სანამ ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის, საზოგადოების უმეტესობა, განსაკუთრებით, რეგიონებში ვერ გრძნობს ახალი „სიოს ქროლას“. თქვენ არ გაქვთ, ასე ვიტყოდი, პიარი, იმ დონეზე, რომ მასებს მიაწოდოთ თქვენი მოქმედების გეგმები და მიმართულებები.**

— ერთ რამეში ვერ დაგეთანხმებით. საზოგადოებამ უკვე

**— თქვენ ზემოთ ბიზნესსექტორი ახსენეთ, გათავისუფლდა ბიზნესიო. ეს ის ბიზნესმენები არიან, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშემწყობები და დონორები იყვნენ წლების განმავლობაში და ისინი „კვებავდნენ“ დანაშაულებრივ რეჟიმს. ჩვენ ჯერ არ გაგვიგია მათზე რაიმე სახის რეაგირება განხორციელებულიყო. კრიტიკაც კი არ გვსმენია ჯერ.**

— ყოფილ სახელისუფლებო ბიზნესმენებს მიტაცებული ჰქონდათ ჩვეულებრივი ადამიანების კუთვნილი ქონება. ყველაზე დიდი მოროდიორობა ტე-

პროკურატურა სერიოზულად მუშაობს. გამოკითხულია 1000-ობით ადამიანი მხოლოდ მერიის საქმესთან დაკავშირებით. მარტო 15 ივნისის, 26 მაისის საქმეებთან დაკავშირებით არაერთი ადამიანი გამოიკითხა. ეს საქმეები აკინძულია და საბოლოო კონდიციამდე რომ მივა, ყველა სათითაოდ გამოაშკარავდება, როგორც ციხის ბუნტის საქმეები გაიხსნა, არა მხოლოდ ახალაია, გიორგი დგებუაძე — „მასტერა“ და ქარდავა აგებენ პასუხს, არამედ სხვა დანარჩენი პირები, რომლებიც აღმასრულებლები იყვნენ იმ მკვლელობების, ძალადობების, უსამართლობების... მეც ერთ-ერთი მსხვერპლი ვარ იმ რეჟიმის და არავის ეგონოს, რომ ხალხი, ვინც ცრუ ჩვენებებს აძლევდა, მონაწილეობა მიიღო ადამიანების ცემა-წამებაში, მოსამართლეები, რომლებმაც ბრძანებების მიხედვით მისცეს ჩვენებები, სასჯელები, რის საფუძველზეც 30-40 წლით ჩასვეს ადამიანები ციხეებში, არავის ეგონოს, რომ არ აგებენ პასუხს. დღეს ის დროა, როცა სამართლიანობის დასამ-

# თქვენი გაზეთის საშუალებით ვთხოვ მიხეილ სააკაშვილს — დამდოს პატივი და თავისი ქოჩრიდან თმის ერთი ღერი მაჩუქოს

**— თქვენ რაც ბრძანეთ, ყველაფერი ეს ქვეყნის აღორძინებისთვის და გადარჩენისთვის აუცილებელია. მართლაც შესანიშნავი მიზნებისთვის შექმნილა „ქართული ოცნება“, აბა, ბატონმა ბიძინამ რატომ ბრძანა „ქართული ოცნების“ პარტია პრიორიტეტული არ უნდა იყოსო, პარტიის ეს იდეოლოგია არ იქნება პრიორიტეტული ქვეყანაში?**

— ამოცანა ის კი არაა, ერთ პარტიაზე იყოს მორგებული ყველაფერი. ამას გულისხმობდა ბატონი ბიძინა და დემოკრატიის მოთხოვნებიც სწორედ ესაა. შეიძლება, ვიღაც ლიბერალური იდეოლოგიის მიმდევარია, ზოგი კონსერვატორი გახლავთ, ზოგი — ცენტრისტი, არ შეიძლება მათი გაერთიანება. ყველა მათგანში არის სიმართლე.

**— ტოლერანტობაზე არ ვსაუბრობ, დავით, მე სახელმწიფოს იდეოლოგიურ მიმართულებაზე გელაპარაკებით.**

**ზე მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებს. აქტიურობენ კოალიციაში შემავალი პარტიები. „ქართულმა ოცნებამ“ მოკრძალებული ადგილი უნდა დაიკავოს პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

— შეიძლება ითქვას ასეა, მაგრამ, მოდით, ძალიან რადიკალურ შეფასებებს ნუ გავაკეთებთ. ცალკეული ჯგუფები რა აქტივობებსაც ახორციელებენ, ხშირად საზოგადოება ამას ნორმალურად აფასებს და ჩვენს გუნდშიც ხდება ფაქტების კრიტიკის ობიექტი. ჯანსაღი კრიტიკა ჩვენი მუშაობის სტილია, მაგრამ არ ვიცილებთ პასუხისმგებლობას, ვიცით, რომ ყველა ცუდი და კარგი „ქართულ ოცნებას“ მიეწერება და ჯოხი, ასე ვთქვათ, ჩვენს ზურგზე ტყდება. ვცდილობთ და ვვარაუდობთ, საბოლოოდ მივალთ იქამდე, რომ ყველა სოფელში, რაიონში, რეგიონში, ქალაქში, სწორედ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით მოხდება პოლიტიკის წარმართვა. ჩვენ დღეს ვდუღვართ

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

იგრძნო, რომ არის თავისუფალი, მე მახსოვს ოქტომბერ-ნოემბერი. როგორ მხიარულად დადიოდნენ ადამიანები, ღიმილი გაჩნდა მათ სახეებზე. ვფიქრობ, ამ სამი თვის განმავლობაში კოლოსალური ნაბიჯი გადაიდგა, თუნდაც მედიის თავისუფლების მიმართულებით, სოციალური კუთხით, ჯანდაცვის მონოპოლიზაციის თვალსაზრისით, ბიზნესი გათავისუფლდა. გაიაფდა ბენზინი, მედიკამენტები, ჯანდაცვის სისტემა ივლისის თვიდან უფრო სრულფასოვანი და დახვეწილი იქნება, პენსიონერებს დაემატათ თანხები, სექტემბრის თვიდან კიდევ ვგეგმავთ პენსიების გაზრდას, გაიზრდება დევნილების დახმარება, უზარმაზარი მშენებლობები განხორციელდება და მე, როგორც დევნილი, სიამოვნებით ვამბობ, ყველა დევნილი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდება უახლოეს დროში, უზარმაზარი ნახტომია სოფლის მეურნეობაშიც. ეს ყველაფერი მოხდა, რეალურად, სამ თვეში და მოხდა მხოლოდ ბიუჯეტის სწორად განაწილების ხარჯზე. მომავალ წელს ბიუჯეტი დაიგეგმება ისე, რომ ადამიანების კეთილდღეობაზე იყოს გათვლილი ყველაფერი.

ლეკომპანია „იმედის“ მიმართ განხორციელდა და ყველაზე დიდი მოროდიორი ქვეყანაში, სამწუხაროდ, პრეზიდენტი გახლდათ. რაც შეეხება სხვა ბიზნესმენებს — კეზერაშვილი, რო-



მელიც იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი ყულაბა ნაცმოძრაობისთვის, ვანო მერაბიშვილი, ადეიშვილი და კიდევ რამდენიმე პირი, რომლებიც აკონტროლებდნენ ყველაფერს ქვეყანაში. კიდევ ერთხელ ვიტყვი: ყველა მათგანი აგებს პასუხს, რადგან სამართლიანობა არ დადგება, სანამ ადამიანები, რომლებმაც ხელში უკანონოდ ჩაიგდეს ქონება, არ დაისჯებიან, ოღონდ ცოტა დროა საჭირო.

ყარებლად უნდა ვიბრძოლოთ...

დღეს ნაციონალების რიტორიკა პარლამენტში და პარლამენტს გარეთ ცხვრის ტყავში გახვეული მგლების ლაპარაკია. რას ჰქვია, აღიარეთ პოლიტპატიმრები, როგორ წამოგცდათ სიტყვა დიქტატურა და ა.შ. და ამას ლაპარაკობს ნარკომანი მიხეილ სააკაშვილი. მე მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ვთხოვო მიხეილ სააკაშვილს — დამდოს პატივი და თავისი ქოჩრიდან თმის ერთი ღერი მაჩუქოს, რომ წავიღო და შევამოწმო სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში, რა სახის ნივთიერებებს შეიცავს იგი.

ვცდილობ, მაქსიმალურად ეთიკური და თავშეკავებული ვიყო, მაგრამ სხვა რა სახელი დავარქვა ნარკომანები, ყაჩაღები, მკვლელები, მოროდიორები, კრიმინალები სხედან დღეს პარლამენტში ნაციონალური გუნდის სახელით და კანონშემოქმედებაში იღებენ მონაწილეობას, მაგრამ ეს არის ის ნანატრი დემოკრატია, რომელზეც ყველა ვსაუბრობთ...

პირველი და მთავარი პრობლემა არის კუბლაშვილის სასამართლო, რომელიც არის იურიდიული კანტორა, სანოტარო ბიურო, რომლითაც სააკაშვილი სარგებლობდა ამ 9 წლის განმავლობაში.



**— თქვენი აზრით, ხომ არ დგას საკითხი ისე, რომ მოხდეს განვლილი 9 წლიანი პერიოდის პოლიტიკური შეფასება და შემდეგ სამართლებრივი?**

— 1 ოქტომბრის შემდეგ, ჩემი შეხედულებით, ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა გაცამტვერდა, აღარ არსებობს. ამიტომ ჩვენ ახლა ვსაუბრობთ წარსულზე და ვიცქირებით წინ, როგორ გამოვასწოროთ შექმნილი პრობლემები, ის, რომ ესენი კონფლიქტების ესკალაციას შეეცდებიან, 19 აპრილს შეიკრიბებიან და უამრავ ხალხს აგროვებენ, ამის ნამდვილად არ მჯერა. ვნახოთ, რამდენი იქნებიან 19 აპრილს. მოისყიდონ და მოყვანილი ხალხი, ჩვენ ხომ ვიცით, რეალურად, ხალხის რა რაოდენობა უჭერს მათ მხარს, მათ არავინ არ ენდობა.

დამერწმუნეთ, მათი ქმედებები ყველაფერი იქნება გამოძიებული. ეს ადამიანები დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით. ადამიანი, ვინც მე დამაპატიმრა, დღეს დაწინაურებულია, მაგრამ ასეა ახლა საჭირო. დრო ყველაფერს ახდის ფარდას.

აქამდე ჩვენ ვცხოვრობდით ჭაობში, რომელიც სავსე იყო კაციჭამია ნიანგებით, ჩვენ გავჭერით არხი, ჭაობში გაიარა წყალმა და გაჩნდა აქ ჯანსაღი ცხოვრების შანსი. ადამიანებმა უნდა იფიქრონ, რომ კანონი იქნება უზენაესი და მოსახლეობამ უნდა იფიქროს, რომ კანონი იქნება უზენაესი, ხოლო ისინი, ვისაც სერიოზული დანაშაული აქვთ ჩადენილი, ვერ ჩაერთვებიან ჯანსაღი ცხოვრების მშენებლობაში.

**— თქვენ წეღან თქვით, რომ „ნაციონალებს“ აღარავინ აღარ ენდობა, მაგრამ რას ეუბნებით უცხოეთს, ვისაც ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ „ნაცმოძრაობა“ ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალაა, ხოლო შესაძლებელი დესტაბილიზაციის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ დაეკისრება.**

— სააკაშვილი და მისი გუნდი რასაც იკადრებს, ყველამ კარგად ვიცით და ისიც ვიცით, ყველაფერზე წამსვლელები არიან. ახლა მახსენდება გივი თარგამაძე და ის ჩანაწერები, რაც გამოქვეყნდა, იქ იყო საუბარი ადამიანების ლიკვიდაციაზე. ასეთი ხალხი არის მათ რიგებში და ადრე თუ გვიან, ყველასთვის ცხადი გახდება ეს.

მინდა გითხრათ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რასაც ვამბობ, რომ „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი არის მხოლოდ საქართველოს ინტერესებისთვის მებრძოლი და უკან არავინ დაიხევს, რომ უკეთესი ხვალინდელი დღე დადგეს.

**— ამას წინათ მოგვივიდა საპროტესტო წერილი მოქალაქისგან: არჩევნებამდე „ოცნებას“ კი ვჭირდებოდით და ახლა ტელეფონზე რატომ აღარ გვპასუხობენო? ერთი სიტყვით, „ქართულ ოცნებას“ ბრალს სდებენ, რომ მათ დაკარგეს კომუნიკაციები ხალხთან.**

— ძალიან ბევრი თვლის, მათ შორის ჩემი თანამებრძოლებიც ასე ფიქრობენ, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, ამიტომ ჩვენი, პოლიტსაბჭოს ნომერ პირველი გადასაწყვეტი პრობლემა სწორედ ეს არის და ვმუშაობთ ამ მიმართულებით. დიახ, პრობლემა ჩნდება მაშინ, როცა კომუნიკაცია არ არის ხალხთან. ჩვენ უახლოეს ხანში გადავჭრით ამ პრობლემას.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## როგორც ასინეთას კანტორა იუწყება...

# ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს ფსიქოთერაპიულ სეანსებს უტარებს?!

# არ გაგიკვირდეთ, სულ მალე ქუჩაში ტრუსების ამარა მორბენალი სააკაშვილი ნახოთ

მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილი ძალიან კარგად არის გაცნობიერებული ფსიქოანალიტიკაში, მას, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა აქვს ამ დარგში.

„ვარდების რევოლუციიდან“ ორი თუ სამი წლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილს თურმე მწვავე ნერვოზი განუვითარდა — ვერ იძინებდა, აწუხებდა შიშები, ღამის 2-3 საათზე ძალოვანი სტრუქტურების მინისტრებს მერაბიშვილს, ოქრუაშვილს, ადეიშვილს გამოიძახებდა და მათ გარემოცვაში ცოტათი მშვიდდებოდა.

მკითხველს ისიც ემახსოვრება, ერთი პერიოდი მიხეილ სააკაშვილი თავის ესკორტთან ერთად თბილისის ქუჩებში რომ დაქროდა ღამღამობით და გათენებამდე ხან ერთ რესტორანში იჯდა და ხან — მეორეში.

სააკაშვილის ეს ღამის ვოიაჟები, როგორც ამბობენ, მისი ფსიქიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული — უკიდურესად აღგზნებული სანამ ბოლომდე არ დაიცლებოდა ენერგიისგან, სანამ ბოლომდე არ დაიქანცებოდა და არ გამოიფიტებოდა, ვერ იძინებდა.

ეს ამბავი ბიძინა ივანიშვილს გაუგია თურმე.

შეწუხებულა ბატონი ბიძინა და მშფოთვარე მიხეილისთვის უთქვამს: — დაგეხმარები, გიმკურნალებ და თუ ჩემს რჩევა-დარიგებებს შეასრულებ, განგკურნავ კიდევაცო.

... რამდენიმე სეანსის შემდეგ პაციენტს გამომჯობინება დასტყობია, მაგრამ ვიღაცებს ბატონი ბიძინა გაუფრთხილებიათ — შენ არ იცნობ მაგის ხასიათს... განკურნებით შეიძლება მართლა განკურნო, მაგრამ, იცოდე, აუცილებლად შეგიძულებს და მტრად მოგეკიდებაო.

ბატონ ბიძინასაც ყურად უღია რჩევა და პაციენტისთვის მკურნალობა შეუწყვეტია: — განკურნებული ხარ უკვე, მეტი მკურნალობა არ გჭირდებაო.

ჭორად მოარული ეს ისტორია „საერთო გაზეთში“ ამ ათი თვის წინათ ერთხელ უკვე ვუამბეთ ჩვენს მკითხველს, მაგრამ ხელახლა ამ თემას იმიტომ მივუტრიალდით, რომ უკვე პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის და „პრეზიდენტ“ სააკაშვილის ურთიერთობა პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის საქმიან ურთიერთობას კი არა უფრო მკურნალისა და პაციენტის ურთიერთობას ჰგავს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილმა განაახლა შეწყვეტილი სეანსები მიხეილ სააკაშვილთან და ხან დისტანციური, ხან პირდაპირი მკურნალობის მეთოდით ცდილობს გამოაჯანსაღოს გაჯიუტებული პაციენტი და თავიდან ამოუგდოს აკვიატებული იდეა-ფიქსი, რომ ის ყველაფრისშემძლე, განუსაზღვრელი უფლებების მქონე პრეზიდენტია.

სწორედ ამ მკურნალობის შედეგი უნდა იყოს ის, სააკაშვილი ბოლო დროს ურთიერთგამომრიცხავ „ჩვენებებს“ რომ იძლევა და თანაც ერთ ადგილას რომ ვერ ჩერდება. ხან ემირატებშია, ხან დუბაიში და ხანაც აზერბაიჯანში.

არც ის არის გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს ასეთი სურათი ვიხილოთ: ქუჩაში ტრუსების ამარა დარჩენილი სააკაშვილი გარბის და ყვირის: — თავი



დამანებეთ! არ მინდა მკურნალობა! არ ვარ პრეზიდენტი! არ ვარ პრეზიდენტი! არ ვარ პრეზიდენტი!

და ბოლოს, ერთი რჩევა ჟურნალისტთა კორპუსს.

ძვირფასო მეგობრებო, ძალიან სერიოზულად ნუ მოეკიდებით და ძალიან ნუ ჩაუღრმავდებით ხოლმე ივანიშვილ-სააკაშვილის შეხვედრების დეტალებს და მაინცდამაინც პოლიტიკურ შეფერილობას ნუ მისცემთ ამ ამბავს. ეს არის ექიმის და პაციენტის პრივატული ურთიერთობა, რომლის გარშემო საჯაროდ და სახალხოდ ხმაურის და ალიაქოთის ატეხვა არაეთიკურია.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

## ბიძინა ივანიშვილი: პრეზიდენტს აქვს ისეთი მანერები, რომელიც დაცვის ბიჭებს არ მოსწონთ



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა დაცვის რამდენიმე წევრი გინებით გამოუშვა. მან ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ის დაცვის წევრებთან მეგობრობს და სწორედ დაცვის სამსახურის ახალი უფროსისგან იცის, რომ მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე კაცი გინებით გამოუშვა.

“დედის გინება ქართველი კაცისთვის, აბა, როგორია?!” — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, პრეზიდენტს აქვს ისეთი მანერები, რომელიც დაცვის ბიჭებს არ მოსწონთ. მისი თქმით, მან პრეზიდენტს ისიც შესთავაზა, რომ მას სურვილის შემთხვევაში დაცვის 960 თანამშრომელს დაუნიშნავდა.

“გინდა, თანხმობას მივცემ ახლავე, რომ 960 კაცი დაგინიშნონო? ოღონდ ვუთხარი, გამოვალ და ვიტყვი ამას–მეთქი”, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ–მინისტრმა საპატრიარქოში პრეზიდენტთან შემდგარი შეხვედრაც გაიხსენა. როგორც მან აღნიშნა, სააკაშვილს შიგნითაც იგივე გაუმეორა, რასაც გარეთ ამბობს. „შეცვალეთ რიტორიკა, დაანებეთ ხალხზე ძალადობას და სიცრუეს თავი, ნუ ზრდით აგრესიას-მეთქი და მან მიპასუხა: შენ ნუ მიგაჩნია, ჩვენ მაგის გვეშინიაო. უგულავამ და მერაბიშვილმა მე მითხრეს, სიამოვნებით დავჯდებითო. სააკაშვილის ეს პოზიცია უნდა გაიცნობიერონ დანარჩენებმა. მას სურვილი აქვს, რაც შეიძლება მეტი მისი გუნდის წევრი შეეწიროს, რამეთუ აჩვენოს, რომ ჩვენ ვართ ბოროტები. როდესაც გუშინ იგივე საუბარი წამოიწყო, მე ვუთხარი, მედია არ გვისმენს და ვაჩვენე ჯიბეები, არაფერი არ მაქვს მოსასმენი-მეთქი”, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

# სტალინის და ნაპოლეონის გარდაცვალების მიზეზები გაირკვა და ზურაბ ჟვანიას საქმე რით ვერ გამოიძიეს?!

**გვესაუბრება საქართველოს გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, სამართლის დოქტორი, პროფესორი. არასამთავრობო ორგანიზაცია, „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“ პირველი ვიცე-პრეზიდენტი თემურ მონიავა**

**— ბატონო თემურ, თქვენი აზრით, დღეს საქართველოში მართლმსაჯულება არსებობს?**

—მსგავს კითხვას სვამთ არა მხოლოდ თქვენ, არამედ თითქმის მთელი ქართული საზოგადოებრიობა. სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, ჯერ ის უნდა ვიცოდეთ, რას გულისხმობს მართლმსაჯულება. მართლმსაჯულება სხვა არაფერია, თუ არა სასამართლოში საქმის სამართლიანი განხილვა. შესაბამისად, მაღალპროფესიულ დონეზე გამოძიებული სისხლის სამართლის საქმე და სასამართლოში მისი ობიექტურად და ოპერატიულად განხილვა უნდა ქმნიდეს მართლმსაჯულებას. საქართველოში კი ამის პირობები, რეალურად, არ არსებობს, რადგან უპირველესი ფაქტორი — ძლიერი გამოძიება, ანუ ის საგამოძიებო სკოლა, რომლითაც თავს იწონებდა ჩვენი ქვეყანა, საქართველოში ,პრაქტიკულად, აღარ არსებობს.

**— კუბლაშვილის უწყებაშიც არ არიან პროფესიონალები?**

— კუბლაშვილს არ აკლია მცოდნე კადრები, მაგრამ სხვა საქმეა, როგორია მათი მორალურ-ზნეობრივი დონე.

დღეს არსებული დავის პირობებში ცალსახად იმის თქმა, რომ ცამდე მართალია მხოლოდ პროკურატურა, გამოძიება ან სასამართლო, არ იქნება სწორი, რადგან საქმის მასალებს არ ვიცნობ. თუმცა მე, როგორც შორიდან მაყურებელს, შთაბეჭდილება მრჩება, რომ სასამართლო, უმეტეს შემთხვევაში, მიკერძოებული იყო, რადგან, როგორც მოვისმინეთ, ერთსა და იმავე დანაშაულებრივ ეპიზოდში სასამართლომ უგულავას გირაოც კი არ შეუფარდა, მაშინ, როდესაც დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა კეზერაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ.. ყოველივე ეს კი ერთმნიშვნელოვნად წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან და საზოგადოება სამართლიანად ითხოვს სასამართლოსგან ამ შეუსაბამობის ახსნას.

აქვე მინდა ვურჩიო უდაოდ პროფესიონალ და საქმეზე შეყვარებულ საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს — პროკურატურაში დააბრუნოს ძველი კადრები, რომელთაც თავიანთი გამოცდილებით, ცოდნით და კვალიფიკაციით დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ქართული გამოძიების ფეხზე დაყენებაში და საგამოძიებო -საპროკურორო სამსახურების ავტორიტეტის ამაღლებაში.

**— დღეს მიხეილ სააკაშვილი იქცევა ისე, რომ მისი მოქმედებები ხშირად სამართლებრივ ჩარჩოებს სცდება. როგორ უნდა ავიცილოთ საფრთხეები თავიდან?**

— ჩვენ მივიღეთ ის, რაც შევქმენით, ავირჩიეთ ის პარლამენტი, რომელმაც, მიმაჩნია, რომ უკანონოდ გაუგრძელა საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა



სააკაშვილს ოქტომბრამდე. ახლა რა გამოდის? კონსტიტუცია რომ არ დავარღვიოთ, ყველაფერი უნდა მოვითმინოთ. მათგან მოსალოდნელია კონფრონტაციები, რადგან ისინი ასე მოვიდნენ ხელისუფლებაში და ასე აგრძელებენ დღემდე.

ამასთან, მიმაჩნია, რომ უნდა დაიწყოს გამოძიება იმის გასარკვევად თუ ვინ გაუკეთა ორგანიზება კონსტიტუციაში ამ სახით ცვლილების შეტანას, რამაც საბოლოო ჯამში, ხელისუფლების მიტაცებას დაუდო სათავე.

**— რამდენიმე დღის წინ ქალაქის მერისთვის პროკურატურის მიერ წაყენებული ყველა ბრალდება სასამართლომ გააბათილა. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს პროკურატურის საქმიანობაში, მაგრამ გამოდის, რომ ის ნაკლები ძალის მქონეა და სასამართლო წყვეტს ყველაფერს...**

— მიმაჩნია, რომ სასამართლოს მეტი პასუხისმგებლობა მართებს მსგავსი გადაწყვეტილებების დასაბუთებისას. რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ. ამას წინათ გამოვიდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი და თქვა, რომ: სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულია მუხლი, რომელიც იძლეოდა უკანონო გადაწყვეტილების მიღებისთვის მოსამართლის პასუხისმგებლობას და რატომ გვიკვირთ, ასეთი შედეგი თუ დადგაო. სიმართლე გითხრათ, გამაკვირვა მისმა ასეთმა პასუხმა, რადგან მოსამართლე ამავე დროს საჯარო მოხელეა და თუ საჯარო მოხელემ უფლებამოსილებას გადააჭარბა, გამოდის, რომ გამოძიება არ უნდა დაიწყოს. ამგვარ დანაწესს კი სისხლის სამართლის კოდექსი, მისი შეზღუდულობის მიუხედავად, არ იცნობს და არც შეიძლება იცნობდეს. ვინაიდან, მოსამართლე დანაშაულს თუ ჩადის, ხომ უნდა დაიწყოს გამოძიება?

**— ბოლოს და ბოლოს, პროკურატურა დარჩება „წერე და იკითხეს“ პოზიციაზე, ხოლო სახელმწიფო დამნაშავეები დაუსჯელნი ივლიან?!**



— იმ რაოდენობის მუშაკებით, რომლებითაც დღეს დაკომპლექტებულია პროკურატურა შორს ვერ წავალთ. როგორც მითხრეს, სულ 440-მდე კაცი მუშაობს, 2001 წელს 1300 კაცი იყო დასაქმებული პროკურატურაში.

რაც შეეხება გამოძიებას — არ ვიცი, როგორ, რანაირად იძიებენ. მე საგამოძიებო ნაწილის უფროსიც ვიყავი, პროკურორიც, გამომძიებელიც და, შემიძლია ვთქვა, დღემდე შინაგანად გამომძიებლად ვრჩები. ამიტომაც მოვიშველიებ ცნობილ ანდაზას და ვიტყვი, პური თუ მეპურემ უნდა გამოაცხოს. გამოსაძიებელი საქმე, ასევე, გამომძიებელმა უნდა გამოიძიოს. მაგრამ თუ მართლაც ისეა, რომ არაუფლებამოსილი პროკურორი უყენებს ვინმეს ბრალს, ეს აშკარა დარღვევაა და საქმისადმი პროფესიონალურ მიდგომას ნამდვილად არ ნიშნავს.

**— ბატონო თემურ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ცხადი გახდა ის, რომ სასამართლოს და პროკურატურას, საერთოდ, სისტემას პრობლემები აქვს. ეს პრობლემები, როგორც ეტყობა, წლების განმავლობაში მწიფდებოდა, საიდან იღებს ყველაფერი სათავეს და სად არის გამოსავალი?**

— როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, პრაქტიკულად, განადგურებულია საგამოძიებო სკოლა, არადა ქართული გამოძიება ერთ-ერთი უძლიერესი იყო, შეიძლება ითქვას, მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში. დღეს კი თურმე გამომძიებელს არ მოეთხოვება ჰქონდეს იურიდიული განათლება.

მივმართავ იმ გამომძიებლებსა და პროკურორებს, რომლებიც დღემდე აგრძელებენ საქმიანობას: თუ ვერ უმტკიცებთ ვინმეს დანაშაულს, იქნებ ჰკითხოთ თქვენს თავს ამის მიზეზი, ხართ თუ არა მართალი, ან გყოფნით კი პროფესიონალიზმი? თორემ მარტო იმის ძახილი: დაშინებული და ზეწოლის ქვეშ მყოფი მოსამართლე სწორ გადაწყვეტილებას ვერ იღებსო, სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. მეტიც, ასე არ დამთავრდება ეს პროცესი და მუდმივად ერთმანეთზე გადაბრალებას ექნება ადგილი. შედეგად კი მოჰყვება ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებს მოსახლეობა და თვითონ მოითხოვს პასუხს.

**— კუბლაშვილი ნებაყოფლობით უნდა გადადგეს, რომ სასამართლომ ნდობა დაიბრუნოს?**

— კუბლაშვილმა თავი უნდა დაანებოს ნაციონალების მაამებელი გადაწყვეტილებების მიღებას და გადადგეს. შვიდი თვის დანიშნული იყო საქართველოს გენერალური პროკურორად გია მეფარიშვილი, როცა თქვა: არც ერთი თანამდებობა არ ღირს თუნდაც ერთი ბავშვის ცრემლადღ და დატოვა თანამდებობა. მაპატიოს ბატონმა პავლე კუბლაშვილმა, მაგრამ იგი ბატონ გიაზე დიდი მეცნიერი ან თუნდაც პრაქტიკოსი არ არის და რატომ არ უნდა გააკეთოს იგივე, ნამდვილად გაუგებარია ჩემთვის.

ნაციონალურ ხელისუფლებას ბევრი რამ აპატია ქართველმა ხალხმა, ბევრი რამ მოუთმინა და საზღვარი აქვს ყველაფერს.

სააკაშვილი რომ ამბობს, დაცვის გარეშე დავდივარო, ეს ხალხის ძალიან დიდ კულტურაზე მეტყველებს, რადგან საკუთარ თავში პოულობენ ძალას, რომ ბოღმა, თუ აქვთ ასეთი, აგრესიად არ ამოხეთქონ.

სასამართლო ნდობას ვერ დაიმსახურებს, თუ ქვეყანაში სამართალი არ აღსდგება. სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა კი ძველი გახმაურებული საქმეების გამოძიებაა, ბევრი მათგანის ჩადენიდან დღემდე, მართალია, დიდი დროა გასული, მაგრამ კარგ გამოძიებას, შესაბამისი ოპერატიული უზრუნველყოფის პირობებში, არ უნდა გაუჭირდეს ჭეშმარიტების დადგენა. ბოლოს და ბოლოს, სტალინის და ნაპოლეონის გარდაცვალების მიზეზები გაირკვა და ამ საქმეებსაც გამოიძიებენ. მათ შორისაა ზურაბ ჟვანიას საქმეც. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მეც მიჩნდება კითხვები, არადა დღესდღეობით ცოცხლები არიან შემთხვევის ადგილის ახლო მეზობლები, დაცვის წევრები და ა.შ. შესაბამისად, გამჭვირვალე გამოძიება თუ ჩატარდება, საზოგადოება მიიღებს ამ კითხვებზე პასუხებს.

იმისთვის, რომ სამართლიანი ქვეყანა აშენდეს, საჭიროა რამდენიმე ფაქტორი. პირველი: ძლიერი საგამოძიებო სკოლა, პროფესიონალი პროკურორები და ადვოკატები და როცა ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, თვით ხელისუფლებისთვის ურჩ მოსამართლეთა კორპუსი, პოლიტიკური ნების არსებობა და ეროვნული კანონმდებლობა. ,,კანონი მხოლოდ იმით კი არ უნდა ფასდებოდეს, რომ ვენეციის კომისიამ მოიწონა თუ ევროპამ, არამედ საჭიროა კანონი, რომელიც იმუშავებს რეალურად. ამისთვის კი პოლიტიკური ნებასთან ერთად საჭიროა მოქმედების თავისუფლება. რის შესაძლებლობასაც, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მოკლებულია დღევანდელი მთავრობა.

ჩვენ ძალიან სწრაფად გვინდა ყველაფერი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ხანდახან სამართალი ურმით დადის, მოვლენები კი ცხენზე ამხედრებული გარბის წინ — როცა იქნება ეს ურემი ფეხმარდ ცხენს აუცილებლად დაეწევა...

**ანა ვადაჭკორია**
**593 56 11 18**

**იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**
**www.saertogazeti.org**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

# ლუკა კურტანიძე:

## მომავალ კვირას საქართველო ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩვენი მიზანია, ოქროს მედლების უმრავლესობა საქართველოში დარჩეს



*15 მარტიდან საქართველოში 47 ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელობა მოიყრის თავს. ჩვენი ქვეყანა ბერძნულ-რომაული, თავისუფალი და ქალთა ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. გულშემატკივარი გამარჯვებების მოლოდინშია. როგორ ემზადება საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, ამის შესახებ მისი თავმჯდომარე* ***ლუკა კურტანიძე*** *გვესაუბრება:*

**— ბატონო ლუკა, თქვენ პრეზიდენტად არჩევისთანავე თქვით, რომ ჭიდაობის ოჯახს გააერთიანებდით და იმ ხიდჩატეხილობას აღადგენდით, რაც წლებია ამ სფეროში არსებობს. კონკრეტულად, რა შეიცვალა თქვენი მოსვლის შემდეგ?**

— პირველ რიგში, ყოველგვარი მლიქვნელობის გარეშე მინდა გითხრათ, გთხოვთ, ეს სიტყვასიტყვით ჩაწეროთ: მთელი ქვეყნის წინაშე, როცა კი საშუალება მომეცემა, მინდა „საერთო გაზეთს" ყოველთვის მადლობა ვუთხრა, რამეთუ დღეს შექმნილი რეალობის თვითმონაწილენი ბრძანდებით. უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით მინდა ის ყველაფერი გაგიზიაროთ, რაც მკითხველისთვის მნიშვნელოვანია. თქვენი გაზეთით ადრეც აღვნიშნავდი, რომ საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში იმ პროგრამით მოვედი, რომელიც აუცილებელ ცვლილებებს, ახლებურ მიდგომებს ითვალისწინებდა. ჭიდაობის ფედერაციას ათწლეულების მანძილზე უდიდესი გამარჯვებები მოჰქონდა. ღრმად მწამს, რომ ჩემს მიერ განხორციელებული ცვლილებები გამარჯვებების რაოდენობას გაზრდის და ხარისხს გააუმჯობესებს. ფედერაციაში მოსვლისთანავე ცვლილებები განვახორციელე. ბევრი ამას სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ თავისუფალი სტილით ჭიდაობის ნაკრებებში განხორციელებული ცვლილებებით 20-წლიანი მმართველობა დასრულდა და ეროვნულ, ახალგაზრდულ და ჭაბუკების ნაკრებებში, გუნდური პრინციპით, ახალი უფროსი მწვრთნელები დაინიშნენ იმიტომ, რომ ასე საქმე უფრო ეფექტური და გამართულია. გუნდური პრინციპიდან გამომდინარე, შედეგმა არ დააყოვნა და ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ანკარაში იმყოფებოდა 3 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. იმავე ნაკრების მეორე ნაწილი კიევში გაემგზავრა, სადაც 2 ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები მინსკში გავუშვით, მათ უნგრეთის საერთაშორისო ტურნირზე მიიღეს მონაწილეობა, სადაც 8 მედალი — 1 ოქრო, 3 ვერცხლი, 4 ბრინჯაო და გუნდური პირველი ადგილი მოვიპოვეთ. ამ შედეგებით ჩვენ მოწინააღმდეგეებს დავუმტკიცეთ რომ სწორი, მართებული ცვლილებები განხორციელდა, რაც გამარჯვებების ხარისხისა და რაოდენობის გაზრდაზეა ორიენტირებული. ამიტომ, ჩემი წინა საარჩევნო პროგრამის პირველივე ნაბიჯები უკვე წარმატებულია, რასაც უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდები, რადგან უახლოეს დღეებში საქართველო ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. აქ თავს მოიყრის 47 ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელი და 40-ზე მეტი ქვეყნის დელეგაცია. 47 ევროპული ქვეყნის ფედერაციის ხელმძღვანელები ჩამოდიან, გაიმართება ორდღიანი კონგრესი. მსოფლიოდან 1300-1500-მდე სტუმარი ჩამოდის. მინდა სპორტის სამინისტროს, სპორტის მესაჭეს ბატონ ლევანს მადლობა ვუთხრა იმ ადამიანური ურთიერთობისთვის, რასაც ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შეიქმნა სამთავრობო კომისია, პრემიერ-მინისტრს ყველა დეტალი განხილული აქვს, რათა არაფერი გამოგვრჩეს. ძალიან მნიშვნელოვანია როცა მთავრობის ხელმძღვანელი, ქვეყნის პრემიერი ბატონი ბიძინა ივანიშვილი ასე დეტალურად იხილავს ამ საკითხს, რათა ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩატარდეს. ამ დღეების მანძილზე საქართველო მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იქნება. 15 მარტიდან პირველი დელეგაციები დაიწყებენ ჩამოსვლას, 25-ში საქართველოდან ბოლო დელეგაცია გაფრინდება.

**— ქართველ სპორტსმენებს მსოფლიოს რომელ ცნობილ ფალავნებთან მოუწევთ შერკინება?**

— ჩვენი ეროვნული ნაკრები, ფაქტობრივად მთელს ევროპას უპირისპირდება იმისთვის, რათა საქართველოს დიდი გამარჯვება მოვუტანოთ და ეს სიხარული თითოეულმა ქართველმა თავისად გაითავისოს. ბორჯომში შეკრებები ჩავატარეთ, ახალგაზრდული ნაკრები ბაკურიანშია. სამომავლოდ ორიენტირებულნი ვართ, რომ არათუ სხვა ქვეყნებში, არამედ ერთობლივი შეკრებები ჩვენთან ჩატარდეს. დიდი სურვილი გვაქვს ქართული ჭიდაობის სკოლის სიძლიერე სხვა ქვეყნებმაც გაიზიარონ. მინდა გულშემატკივარს ვუთხრა — ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართველომ მეტი გამარჯვებები მიიღოს. ამის პარალელურად გვაქვს სახელმწიფო პროგრამები. გარდა იმისა, რომ ეროვნული ნაკრებები გვყავს და ეროვნულ ჩემპიონატს ვატარებთ, სპორტის სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ, რათა კლუბები შეიქმნას და წლის ბოლოს მათ შორის საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდეს. მომავალ წელს ყველა რეგიონი ვალდებული იქნება საქართველოს ჩემპიონატზე კლუბები წარადგინოს. ეს პროფესიონალი მწვრთნელების დასაქმების დამატებითი რესურსი იქნება. რაც შეეხება შეკითხვას, აბსოლუტურად ყველა ევროპული ქვეყნის ეროვნული ნაკრები ჩამოდის, ანუ მთელი ევროპის უძლიერესი სპორტსმენები. ჩვენს ბიჭებს დიდი კონკურენცია, წინააღმდეგობის გაწევა მოუწევთ, რამეთუ გამარჯვებების დიდი ნაწილი საქართველოში უნდა დავტოვოთ. მინდა დიდი შრიფტით დაბეჭდოთ —

**ყველას მოვუწოდებ, არცერთ რეგიონში არცერთი გულშემატკივარი სახლში არ დარჩეს, უგულშემატკივროს ევროპის ჩემპიონატს, რადგან ახალ რეალობაში ქვეყანას ახალი გამარჯვებები უნდა მოვუტანოთ. ამ გამარჯვებების, სიხარულის პირადი მონაწილენი სრულიად საქართველო უნდა გავხდეთ.**

**— წელან ახსენეთ, ძირითადად გამარჯვებები საქართველოში უნდა დავტოვოთო. როგორი მზადყოფნაა ჩემპიონატის წინ?**

— ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც უშუალოდ შეკრებების მონაწილე ხდები. რამოდენიმეჯერ ჩავედი შეკრებაზე, უშუალოდ ვნახე თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთში მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, რაც ნამდვილად სამაგალითოა. ეს შედეგისთვის განმსაზღვრელია. ბორჯომში, ბაკურიანში ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად როგორც პარტნიორმა ისე ვივარჯიშე. ამის შემდეგ არანაკლები უფლება მაქვს გამარჯვებები მათთან ერთად გავიზიარო. ყოველი ვარჯიშის მონაწილე თავად ვარ. როგორც სპორტსმენმა ჩემი გამოცდილებით შემიძლია ეროვნულ ნაკრებს დავეხმარო, რათა მათ მომზადებაში გარკვეული წვლილი შევიტანო.

**— როგორც გამოცდილი სპორტსმენი, ევროპის ჩემპიონატის წინ რა რჩევას მისცემთ ეროვნულ ნაკრებს?**

— პირველ რიგში, მინდა მათ ვუთხრა, რომ თითოეული მათგანი გმირია. იმიტომ, რომ მათ სათანადო მომზადებისთვის ბევრ რამეზე უარის თქმა უწევთ. სამაგიეროდ, ყველაფერს აკეთებენ, რომ თავისი ქვეყნისთვის, ერისთვის გაიხარჯონ. ვურჩევ, ბოლომდე იბრძოლონ, ენერგია არ დაზოგონ, რათა გამარჯვება მოიპოვონ. გამარჯვება მათ გაწეულ ტიტანურ შრომას მთლიანად აუნაზღაურებს. ეს არის ჩემი მთავარი მესიჯი — მთელი ენერგია გამარჯვებისკენ მიმართონ. მათთან ერთად გამარჯვების სიხარულს მეც და მთელი ქართველი ერი ერთად გავიზიარებთ. თითოეულ მათგანს ვეუბნები — თქვენი გამარჯვება, ჩემი წარმატებაა, ჩვენი წარმატება კი სრულიად საქართველოს წარმატებაა. ახალ ინოვაციებთან ახალი ხელმძღვანელობა ასოცირდება და მათთან ერთად გამარჯვებას მთელი საქართველო იზეიმებს. ხაზგასმით აღვნიშნავ, ერმა ძალიან ცუდი ჟამი გამოვიარეთ, რაც ბევრი ტკივილის მომტანი იყო. ეს ტკივილი ჩემზეც დაილექა. მაგრამ მე სიტყვა ვთქვი, რომელსაც აუცილებლად შევასრულებ. მიუხედავად იმისა, გულშემატკივრები თუ რა რწმენის, რა შეხედულებისანი არიან, მინდა ამ დღეს ყველა გაერთიანდეს. დღეს საქართველოს გამარჯვებები, ერთიანობა სჭირდება. ყველაფერს



გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების გამარჯვებამ თუნდაც მოკლე დროით, მაგრამ დაე, გააერთიანოს მთელი საქართველო, გამარჯვების სიხარული ერთიანობის საწინდარი ყოფილიყოს. ამ ერთიანობის შექმნისთვის თავს არ ვზოგავ, სხვა ყველაფერი, ჩემი პირადი ცხოვრებაც, მეორე პლანზე გადავწიე. ამ ერთობით ქვეყნის გაერთიანების პრეცენდენტი უნდა შევქმნათ.

**— რაც შეეხება მწვრთნელებს, ბევრი ბრალს გდებდათ იმაში, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ მწვრთნელების დათხოვნა დაუშვებელი იყო...**

— ვამაყობ იმ ცვლილებით, რაც თავისუფალი სტილით ნაკრების მწვრთნელთა ჯგუფში განვახორციელე. ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკების ნაკრებებს ყოფილი მწვრთნელები 20 წელზე მეტია ხელმძღვანელობდნენ. არცერთ ევროპულ, განვითარებულ ქვეყანაში ამდენი ხნის მმართველობის პრეცენდენტი არ მოიძებნება. ჩვენ დემოკრატიულობაზე გვაქვს პრეტენზია, ამიტომ ევროპული ღირებულებებიდან გამომდინარე, ასეთი ფაქტი არ უნდა არსებობდეს. ყველაფერს სჭირდება ცვლილება, ახალი ენერგია, რაც შედეგზე, გამარჯვებაზეა ორიენტირებული. ცვლილებები, რაც განვახორციელე ეროვნულმა ნაკრებმა პირველსავე შეჯიბრზე თურქეთში ასახა, რომელსაც სათავეში ოლიმპიური ჩემპიონი რეზო მინდორაშვილი, ევროპის ჩემპიონი დათო პოღოსიანი და ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური პრიზიორის მწვრთნელი ალექსანდრე კახნიაშვილი ჩაუდგნენ. საქართველოს ჭიდაობის ისტორიაში უპრეცენდენტო რამ მოხდა, ანკარის დიდ საერთაშორისო ტურნირზე 3 ოქროს მედალი მოვიპოვეთ. ამ ხნის მანძილზე, რაც დამოუკიდებელნი ვართ სულ 2 ოქროს მედალი გვაქვს მოპოვებული. ერთხელ მე, 1995 წელს მოვიპოვე ამ ტურნირზე ოქროს მედალი და შემდეგ 10-წლიანი შუალედის შემდეგ კიდევ ერთი ოქროს მედალი მოვიპოვეთ. ანუ 20 წლის მანძილზე 2 ოქროს მედალი. ახლა, კი ჩემს მიერ განხორციელებული ცვლილებების მერე, ზემონახსენებ ტურნირზე 3 ოქროს მედალი მოვიპოვეთ. ეროვნული ნაკრების მწვრთნელების შემადგენლობა უკვე მოგახსენეთ. ახალგაზრდულ ნაკრებს ხელმძღვანელობს მსოფლიო ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური პრიზიორი ოთარ თუშიშვილი და ევროპის და მსოფლიო პრიზიორი დათო ოთიაშვილი. ჭაბუკების ნაკრებს კი ხელმძღვანელობს — ევროპის ჩემპიონი ემზარ ბედინიდისი, საქართველოს ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული გია იანთბერიძე დე ევროპის და მსოფლიო პრიზიორი გელა საღირაშვილი. ასე, რომ სამივე ნაკრებს უძლიერესი, ტიტულოვანი ხელმძღვანელები ჰყავს. ბოლო პრეცენდენტი დავუშვი, როდესაც მოსამზადებლად ეროვნული ნაკრები საზღვარგარეთ გავუშვი. მომავალი წლიდან ეროვნული ნაკრები მხოლოდ საქართველოში მოემზადება და სხვა ეროვნული ნაკრებები საქართველოს ბაზაზე მზადებაში მონაწილეობას აქ მიიღებენ. იმიტომ, რომ ქართული ჭიდაობის სკოლაზე უფრო დიდი არ არსებობს. სელას პრეზიდენტ ცენ ცენოვთან საუბრისას შევთანხმდით, რომ ჭიდაობის გრძელვადიანი განვითარების პროგრამას შევქმნით. აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრი ბატონი ბიძინა ივანიშვილი მხარს უჭერს ამ სპორტის განვითარებას. ასე, რომ კრიტიკულად განწყობილ ყველა ადამიანს ამ შედეგებით ვუთხარით, რომ ცვლილებებმა მხოლოდ სასიკეთოდ იმუშავა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური პარტია კი არა სატანისტური სექტაა

## 19 აპრილს დაგეგმილი აქცია „ნაციონალებისთვის“ შეიძლება გილიოტინად იქცეს!



გვესაუბრება მწერალი
**მერაბ შათირიშვილი:**

**— ბატონო მერაბ, ბოლო დროს აქტუალურია სასამართლოების თემა — მუდმივად გვესმის, რომ ახალი ხელისუფლება იჭერს, კუბლაშვილი კი უშვებს. ახლახან, ბესელიამ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი დააყენა, რაც კანონით შესაძლებელია, თუმცა კუბლაშვილი თვლის, რომ ამის საფუძველი არ არსებობს. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?**

— საქართველოში რატომღაც ასეა, რომ სასამართლოს შესახებ აუცილებლად იურისტებმა უნდა ისაუბრონ, რაც ჩემი აზრით, მცდარი გზაა. იმიტომ, რომ სასამართლო საზოგადოებისაა. თუკი საზოგადოება ამ პროცესში არ ჩაერთვება, ყოველთვის ახალ კუბლაშვილებს მივიღებთ. 9 წლის მანძილზე პროცესებში საზოგადოების ჩართულობა არ არსებობდა და კუბლაშვილი „ნაციონალურმა“ მოძრაობამ შექმნა, იგი ამ პარტიის ერთ-ერთი დანამატია. ავიღოთ იტალიის მაგალითი, ბერლუსკონი სასამართლოს წინაშე არამხოლოდ სამართალდამცავების მიერ გამომჟღავნებული ფაქტების გამო წარსდგა, არამედ ეს საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნა იყო. სასამართლო მხოლოდამხოლოდ სადამსჯელო ღონისძიების გატარებას არ ნიშნავს. გასამართლება თავისთავში ადამიანის რეაბილიტაციას მალავს. ბერლუსკონი დღეს რეაბილიტირებულია და მას ახლა პრემიერ-მინისტრობაც კი სურს. „ნაც.მოძრაობა“ პრაქტიკულად, სატანიზმით გაჯერებული ძალაა. ეს არა პოლიტიკური, არამედ სატანური აზროვნებით გაჯერებული ტვინის ადამიანების პარტიაა, რომელთაც რეაბილიტაცია არ აწყობთ. მათ 9 წელი ქვეყანა ისე მართეს, ეგონათ ყველაფერი მათი იყო და არასდროს უფიქრიათ, რომ წასვლა მოუწევდათ. როცა ხელისუფლებიდან წასვლაზე არ ფიქრობ, რა თქმა უნდა, არც რეაბილიტაციიის თემაა აქტუალური და ყველა ქმედება მიკერძოებულია. ეს საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ ორი მოსამართლის არაკვალიფიციურობა გამომჟღავნდა და ამიტომ კუბლაშვილმა პასუხი უნდა აგოს, კანონით შესაძლებელია იმპიჩმენტის მოთხოვნაც. ეს განცხადება იმდენად მართებულია, მის წინადადებას მხარი მთელმა პარლამენტმა, უმრავლესობამ უნდა დაუჭიროს. კუბლაშვილზე, კანონიერი ძალით, საზოგადოების ზემოქმედება უნდა მოხდეს — ეს იმპიჩმენტით, პლებისციტით, ხელმოწერებით თუ რა ფორმით განხორციელდება, მნიშვნელობა არ აქვს. ახალი ხელისუფლება, იძულებით კანონისა და კონსტიტუციის ჩარჩოებშია მოქცეული და კუბლაშვილის თანამდებობიდან გაშვებას ვერ ახერხებს. კანონი, კონსტიტუცია, პარლამენტი ხომ არის საზოგადოების?! — ამიტომ საზოგადოებრივი ზემოქმედება უნდა მოხდეს და ხალხმა თვითნებური სასამართლოს ალაგმვა უნდა მოითხოვოს. ახალაიას სასამართლო პროცესის მსვლელობისას, გარეთ მისი მხარდასაჭერი მიტინგი ეწყობა და ცხადდება, რომ თითქოს ახალაია ივანიშვილის პირადი პატიმარია. ვერ გავიგე, რატომ არ შეიძლება პარალელურად გაიმართოს საზოგადოების აქცია, ვინც ახალაიას დასჯას მოითხოვს. თუ სიტყვის გამოხატვის თავისუფლებაა, მაშინ რატომ არ შემიძლია მეც დავდგე იქ და ვთქვა რომ ახალაია დამნაშავეა და მისი დასჯა მოვითხოვო. თუ ასეთი მოთხოვნა გაჩნდება, „ნაცები“ იმ წუთას იტყვიან, რომ თითქოს სასამართლოზე ზეწოლის მოხდენა გვინდა. კი მაგრამ, იმ აქციებით თვითონ არ ახდენენ სასამართლოზე ზეწოლას?! ფაქტობრივად ის, რასაც „ნაც. მოძრაობა“ 9-წლიანი მმართველობის პერიოდში კრძალავდა, დღეს თავადაა იმის ნოვატორი და ახალ ხელისუფლებას არადემოკრატიულობას უკიჟინებს. თუ საზოგადოების ჩართულობა არ იქნა, „ნაც. მოძრაობა“ მით უფრო გათამამდება. დააკვირდით, 8 თებერვლის შემდეგ განვითარებულ პროცესებს. ფაქტობრივად, „ნაც. მოძრაობა“ და მისი ლიდერი გვეუბნება, თუ ანგარიშს არ გაგვიწევთ, არ გაგვირიგდებით, არ გვაპატიებთ, თუ არ შეგვარჩენთ იმ დანაშაულობებს, რაც 9 წლის მანძილზე ჩავიდინეთ, არ დაგნებდებითო.

**— თქვენ, ეკა ბესელიას მოყვანილი ფაქტები ახსენეთ, რის გამოც შეიძლება იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. თუმცა, კუბლაშვილს სხვა არაფერი დაუშავებია?**

— წარმოიდგინეთ, რა შეიძლება მოჰყვეს სამართლიანობისადმი ისეთ დამოკიდებულებას, რომლის ფლაგმანი კუბლაშვილია. კეზერაშვილს ასამართლებენ და უსჯიან იმიტომ, რომ იციან, იგი გაქცეულია. შეიძლება მაიზერ ლიპარტელიანს მიუსაჯონ, მაგრამ გიგი უგულავას პროკურატურის მიერ დასაბუთებულ არცერთ საქმეში დამნაშავედ არ აღიარებენ. ეს თამაშია. ამით „ნაც.მოძრაობა“ ცდილობს ქართულ საზოგადოებაში როგორმე რევანშის საფუძველი შექმნას. ამით „ნაცები“ ცდილობენ ამოისუნთქონ, წაგებული არჩევნების გამო რევანში აიღონ, მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებენ, რათა მსოფლიოს თავი პოლიტდევნილებად მოაჩვენონ. სააკაშვილი გვაყვედრის დავთმე იუსტიციის, თავდაცვის და შსს-ზე კონტროლიო. ეს იცით რატომ გააკეთა? — ქვეტექსტი ასეთია — გამირიგდით, თორემ უგულავას არ დაგაჭერინებთ, გამირიგდით თორემ მიტინგებს მოგიწყობთ და .შ. „ნაც.მოძრაობის“ უბედურება იცით რა არის? — პროკურატურაში საქმე იდება და ამას მართლმსაჯულება სათანადოდ არ პასუხობს, არავის ეგონოს, რომ ეს საქმე „კვდება“. დღეს თუ ხვალ, ყველა სასამართლოს წინაშე წარსდგება. რაც შეეხება ახალი ხელისუფლების ლოიალობას თავსგასული „ნაციონალების“ მიმართ, სხვა გზა არ არსებობს. „ნაც. მოძრაობასთან“ იმავე მეთოდებით ბრძოლა, რასაც ისინი 9 წლის მანძილზე ახორციელებდნენ, ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება. ეს იგივე წრეზე წასვლაა.

**— დიდი ხანია, რაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხსაც ვაყენებთ, მაგრამ საქმე არ დაძრულა. ახლა კუბლაშვილის იმპიჩმენტს მივადექით, მაგრამ ქმედებები როდის დაიწყება, რათა ეს ყველაფერი ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა არ დარჩეს?**

— იურიდიული კუთხით თუ წავალთ, გარკვეულწილად ბევრ შეუსაბამობას წავაწყდებით. ხომ ხედავთ, სასამართლოს როგორც უნდა, ისე წყვეტს ყველაფერს. საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, სასამართლო დასაბუთებულ საქმეებს ვერსად გაექცევა, მაგრამ ეს „ნაცების“ მიერ ხალხის დაღლაზეა გათვლილი. „ნაცებს“ ჰგონიათ, რომ ხალხის აგრესია რევოლუციაში გადაიზრდება და თვითონ გამზადებული ჩემოდნებით საზღვარგარეთ გაიქცევიან, სადაც პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებენ, და ის მილიონები რაც ხალხს მოპარეს შერჩებათ. ხომ გახსოვთ, სულხან-საბადან უკან მიდევნებული ლამპარი. ისინი ფიქრობდნენ, რომ წასვლა არასოდეს მოუწევდათ, ამის განელება ძალიან საშიშია. მათ ეთნიკური დაპირისპირების ნაღმებიც კი აქვთ ჩადებული. ერთ რამეზე არ ფიქრობენ — ნაღმი, მათ მიმართ, ქართველ ერში დევს და ღმერთმა ნუ ქნას, რომ აფეთქდეს, თორემ ამას ველარავინ შეაჩერებს, მათ შორის, ვერც ახალი მთავრობა. „ნაცების“ ქმედებებს მომავალი არ აქვს, მათი გათვლა ქვეყნისთვის და ერისთვის ზიანის მოტანაზეა გათვლილი. ახალი მთავრობა იძულებულია ამ ბეწვის ხიდზე გაიაროს, სხვა შემთხვევაში წრეზე წავალთ. კი, ვიცი, რომ ხალხში უკმაყოფილებაა, ზოგჯერ მეც ვღიზიანდები და მიჩნდება კითხვები — რატომ უფრო ხისტად არ ებრძვიან ბოროტებას და რატომ არ იკვეთენ თავიანთი სხეულიდან „ნაციონალებს“. მაგრამ სხვანაირად დემოკრატიის გზით ვერ წავალთ. რა თქმა უნდა, ახლა დემოკრატიული ნაბიჯები არ იდგმება იმიტომ, რომ ამას „ნაც. მოძრაობა“ უშლის ხელს. დემოკრატიის კარიბჭის გასაღები ხალხმა ბიძინა ივანიშვილს გადასცა. „ნაციონალებს“ იმ ენით არ უნდა ველაპარაკოთ რითაც თვითონ გველაპარაკებოდნენ, ეს დამღუპველია.

**— ხომ არ მართებს ახალ მთავრობას უფრო მეტი პრინციპულობა. ქართველი იერი ხომ შევთანხმდით, რომ სააკაშვილს ვადა გაუვიდა, მაგრამ მაინც პრეზიდენტს ვეძახით და რაღატომ გვიკვირს მისი თავგასულობა?**

— როგორც ვახსენე „ნაცმოძრაობა“ საქართველოში დემოკრატიულ სვლას აფერხებს. დემოკრატია ხალხს ეკუთვნის, იგი როგორც ახალი მთავრობის, ისე ხალხის წინაალმდეგ მიდის. ამიტომ ახალი ხელისუფლების და ხალხის ძალისხმევა უნდა გაერთიანდეს, — თუ ეს არ მოხდა, მაშინ „ქართული ოცნება“ ხალხს დაშორდება და უკვე ხალხი თავად გადაწყვეტს როგორ მოიქცეს, რასაც ველარავინ ალაგმავს. ვაი, თუ ისე მოხდა, რომ ხალხი თავად გაუსწორდა „ნაც. მოძრაობას“, ეს ქვეყნისთვის დიდი ტრაგედია იქნება.




**— ხალხს ჯერჯერობით, სამართლიანობის აღდგენის განცდა არ აქვს. ამასობაში „ნაციონალებმა“ აქციის თარიღიც დანიშნეს. კონფრონტაციის საფრთხის წინაშე ხომ არ ვდგებით?**

— რა თქმა უნდა, საფრთხე არსებობს. 9 წლის მანძილზე „ნაც. მოძრაობამ“ იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები, რომ ამის ერთბაშად ამოძირკვა შეიძლება ქვეყნისთვის კატასტროფით დამთავრდეს. ამიტომ მოთმინებაა საჭირო. ციხეები არ ეყოფა, საქართველოში ახალი ციხეების აშენება მოგვიწევს, იმდენი ადამიანი ჰყავს „ნაც. მოძრაობას“ დანაშაულში ჩათრეული. ეს დამნაშავე ხელისუფლება იყო. ჩემი აზრით, პირველ რიგში, „ნაც. მოძრაობის“ დანაშაულებრივი სქემა უნდა გაიშიფროს, რამაც ის უბედურებები მოიტანა, რასაც დაყაჩაღებები, პოლიტ. პატიმრები, ბიზნესმენების დაწიოკებები ჰქვია. ამათში სინდისი არ არსებობს. ეს აბსოლუტურად პრობოლშევიკური ხელისუფლება იყო. მათ იციან, რომ თავზე ვერ წამოარტყამ, თითს ვერ დააკარებ და ამით სარგებლობენ. რაც შეეხება, 19 აპრილს დაგეგმილ მიტინგს, ეს შეიძლება მათთვის გილიოტინად იქცეს. ამ მიტინგის საფუძველი არ არსებობს, მათ არანაირი მიტინგი არ უშველით. ისტორიას უკან არავინ დააბრუნებს. გარიგებას, ხალხი არც ახალ მთავრობას აპატიებს. „ნაც. მოძრაობა“ პოლიტიკური სატანისტური სექტაა და ეს ეშმაკი არ ისვენებს. 2 ოქტომბერს არ მქონდა შეგრძნება, რომ ბედნიერი ვარ და გავიმარჯვე. არა, 2 ოქტომბერს მქონდა შეგრძნება რომ დაიწყო უფრო რთული ახალი ბრძოლა, ვიდრე იქამდე იყო. ახლა ამ რთულ გზას გავდივართ. „ნაციონალებს“ და მიშას ერთადერთი გამოსავალი აქვთ: თუ გახსოვთ, ადრე ედუარდ შევარდნაძე „მოქალაქეთა კავშირს“ გაემიჯნა და ამით გადარჩა. „მოქალაქეთა კავშირი“ როგორც პარტია პოლიტიკური სივრციდან გაქრა, მაგრამ პიროვნებები გადარჩნენ. მიშა თუ გაემიჯნება „ნაც. მოძრაობას“, გადარჩება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ვერ ემიჯნება. იმიტომ, რომ ერთმანეთთან დანაშაულებრივი კავშირით არიან გადაჯაჭვულნი. ბატონი ბიძინა ამბობს, რომ ყველა პარტიას უნდა ჰქონდეს პოლიტიკური არსებობის უფლება, მაგრამ მორალურად ნაციონალებს მათ არ აქვთ უფლება იარსებონ, როგორც პარტიამ. ვფიქრობ, როგორც პარტია მოიკვეთებიან.

მათი მიზანი ერთადერთია — შეინარჩუნონ ის თანხები, რაც ოფშორულ ზონებში აქვთ გადასროლილი, ასევე, საკუთარი თავის გადარჩენა, პოლიტიკური თავშესაფრის მიღება სურთ. თუ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღეს, მერე რაც არ უნდა ბრალი დასდო, ველარაფერს გახდები.

**— „ნაციონალური მოძრაობა“ თუ ახერხებს ევროპა დაარწმუნოს, რომ საკუთარ ქვეყანაში თითქოს იდევნებიან, იმავე ევროპის საწინააღმდეგოში დარწმუნებას ჩვენ რატომ არ ვცდილობთ?**

— ხალხში „ნაციონალების“ მიმართ დიდი აგრესიაა, რაც ქვეყნის მასშტაბით გამომჟღავნდა კიდეც. მაგრამ „ქართული ოცნება“ შეეცადა ეს აგრესია გაენელებინა. ჯებირი შეიძლება მანამ შეაჩერო, ვიდრე წყალდიდობა არ მოვარდება. როცა დიდი სიცხეებია, ამას მერე მოსდევს წვიმა, სტიქია. ამ ყველაფერს მთავრობა, დღესდღეობით, თავს ართმევს და ხალხის განაწყენება გარკვეულ კალაპოტში მიუშვა. ჯერჯერობით ხერხდება ის, რომ ხალხმა არტახები არ გაწყვიტოს და ჯებირები არ გადმოინგრეს, მაგრამ თუკი ეს ნიაღვარი მიუშვი, თუ ხალხმა დაინახა, რომ ეშმაკი ისეა თავაშვებული, საშველი აღარ არსებობს, ამას ახალი ხელისუფლება ველარ შეაჩერებს — ჯებირი გადასკდება, რაც „ნაცებისთვის“ კატასტროფით დასრულდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ვახტანგ ხმალაძე: ერთ დღეში ბავშვი არ იბადება და თქვენ გინდათ სამართლებრივი სახელმწიფო დაიბადოს?

*საპარლამენტო უმრავლესობიდან ეკა ბესელია ერთ-ერთი პირველი დეპუტატი იყო ვინც მოსამართლეების — ბესარიონ ალავიძისა და მარიამ გიგაურის პირადი საქმეების გახმაურების შემდეგ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სამსახურეობრივი უფლებამოსილების შეჩერების საკითხზე ალაპარაკდა. თუმცა კოტე კუბლაშვილი ეკა ბესელიას ბრალდებებს აბსურდულსა და უსაფუძვლოს უწოდებს და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს კანონის დარღვევის შემთხვევაშიც კი ხელშეუხებელია. რამდენად რეალურია მართლაც დადგეს კოტე კუბლაშვილის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი? „საერთო გაზეთს" კოალიცია „ქართული ოცნების" დეპუტატი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე ესაუბრა.*



**— ბატონო ვახტანგ, ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ თუ დამტკიცდება, რომ კოტე კუბლაშვილი გამიზნულად მონაწილეობდა ბესარიონ ალავიძისა და მარიამ გიგაურის მოსამართლეებად დანიშვნის პროცესში, მაშინ უზენაესი სამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, თუმცა ამ ბრალდებას თავად კუბლაშვილი უსაფუძლოს უწოდებს. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხის ირგვლივ?**

— ერთმა რაღაც თქვა, მეორემ ასე უპასუხა. მე სხვის ნათქვამზე კომენტარი არ გამიკეთებია და არც გავაკეთებ. ყველაფერი სათანადო დონეზე შესწავლილი უნდა იქნას. მერე შეიძლება განცხადებების გაკეთება.

**— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივი უფლებამოსილების შესაჩერებლად აპელირება ხდება მხოლოდ ორი მოსამართლის საქმეებიდან გამომდინარე. ნუთუ ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან სხვადასხვა მძიმე დანაშაულების ჩადენაში და ისინი სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, ეს ფაქტი არ იძლევა კუბლაშვილისთვის სამსახურეობრივი უფლებამოსილების შეჩერების საფუძველს?**

— თუნდაც უგულავას, ან სხვა მოქმედი თუ ყოფილ მაღალჩინოსნებზე ვერ ვიტყვი, რომ დამნაშავეები არიან, რადგან არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპცია. ამასთან, კუბლაშვილს არ გამოაქვს სანქცია თავისუფლების აღკვეთის, არც გირაოს დაკისრების შესახებ ამის შესახებ გადაწყვეტილებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე იღებს. არც ისაა სწორი, როცა თქვა: „მე ვიჭერ, კუბლაშვილი უშვებს". ერთია, ქუჩაში, ჩვეულებრივი ადამიანი რას იტყვის და მეორე საკითხია, რას იტყვის პარლამენტის წევრი. დდეპუტატმა ყველაფერი უნდა თქვას კანონის შესაბამისად.

**— პარალელურად ვისმენთ, რომ სასამართლო „ნაციონალური მოძრაობის" გავლენის ქვეშაა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც მათ დავალებებს ასრულებს. როდემდე უნდა მოითმინოს საზოგადოებამ ეს ყველაფერი?**





— მეც მგონია, რომ სასამართლო და კოტე კუბლაშვილი „ნაციონალების" გავლენის ქვეშაა, მაგრამ მე რაც მგონია, ის საკმარისი არ არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის დასაყენებლად. ამისთვის უნდა არსებობდეს სათანადო მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც უტყუარად დადგინდება მოსამართლისა თუ სხვა პირის შემთხვევაში, რომ მათ კანონი დაარღვიეს.

**— ვინ უნდა შექმნას შესაბამისი ბაზა, რათა ნამდვილად დავადგინოთ კუბლაშვილმა თუ სხვა თანამდებობის პირმა კანონი ნამდვილად დაარღვია და მან პასუხი უნდა აგოს?**

— მიმაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობა არ უნდა შეიქმნას მხოლოდ კუბლაშვილის დასასჯელად, ეს არ იქნება სწორი, პირიქით, უნდა შეიქმნას ისეთი კანონი, რომელიც დამნაშავეს დაუსჯელს არ დატოვებს. იქნება ეს კუბლაშვილის, ხმალაძის, თუ პეტრიაშვილის შემთხვევაში. ხელისუფლება, როგორც კი ამ ფორმით დაიწყებს მოქმედებას, რომ დასაჯოს კონკრეტული სახელისა და გვარის მატარებელი პირი, მაშინ დავემსგავსებით „ნაციონალურ მოძრაობას".

**— ფაქტია, რომ შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც, როგორც თქვენ ამბობთ, დამნაშავეს დაუსჯელს არ დატოვებს, ჯერჯერობით არ გვაქვს და როდის დაიწყებთ შესაბამის კანონმდებლობაზე მუშაობას?**

— ერთ დღეში ბავშვი არ იბადება და თქვენ გინდათ სამართლებრივი სახელმწიფო დაიბადოს ერთ დღეში ან ერთ თვეში?

**— იმედია, უახლოეს პერიოდში მაინც გვექნება კანონმდებლობა, რომელიც მტყუანსა და მართალს გაარჩევს.**

— ეს დამოკიდებულია საზოგადოებაზე. ზოგიერთ საზოგადოებაში პროცესები სწრაფად ვითარდება,ზოგიერთში შედარებით ნელა. ჩვენს საზოგადოებაში როდესაც დადგება ის პერიოდი, რომ კანონის დარღვევის გამო, მხოლოდ სხვას კი არ გამოვეკიდებით, არამედ კანონს თავადაც დავარღვევთ, მაშინ ყველაფერი უფრო სწრაფად მოხდება.

**სალომე ბახტურიძე**
598 19 39 14

## შსს-მ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1989 წელს დაბადებული იუზა ნ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, შურისძიების მიზნით, 1946 წელს დაბადებულ გენადი გუბელაძეს, დანის მრავალჯერ დარტყმით, სხეულზე მძიმე ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, იუზა ნ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის შესაბამისად მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

„მედიანიუსი"





## xa l xis az r iT

თეა წულუკიანის დიპლომზე და განათლებაზე სანამ ხმას ამოიღებთ, პირის ღრუს სრული სანაცია ჩაიტარეთ!!! ... და კიდევ, ერთი, უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის ამირან მესხელის დიპლომი მსტყორცნეთ, თქვენ (არ)გახარებას! :)

ამ ერთმა ბეწო გოგომ არ ააფორიაქა ეს ნაცმაცუნებიიიიიიი ხაჩიძე რომ ვინმეს განათლებას მოიკითხავს ჯერ თავის განათლებას მიხედოს. ეგ დეგენერატი ასე რომ ითხოვს წულუკიანის დიპლომს, გვაჩვენონ მიშას დიპლომიც არ გაახურეს საქმე??

მარტო ნაცებს აქვთ დამთავრებული „საყველაფრიო" და სხვები ყველანი გაუნათლებლებლები, უდიპლომოები ვყოფილვართ.... ნეტა, ამათ დიპლომების ქონას რა მნიშვნელობა აქვს, კანონს ვერ კითხულობენ... თეა თუთბერიძე პროფესორი რომ იქნება, იმ ქვეყანაში შეიძლება განათლებულ ადამიანს რამეზე გული დაწყდეს?

ძველი შუმერული სიბრძნე, რომელიც მამალი ძროხის ტყავზე წარწერილ იქნა აღმოჩენილი....გვაცნობს, რომ ნამდვილი დიპლომი მხოლოდ სტრიპტიზ ბოძზე ტრიალისას ან „კმარას" აქტივისტობის შეიძლება იქნას მოპოვებული)

ანდაზა: ვერა ქობალიას დიპლომის თაყვანისმცემელი თეა წულუკიანის დიპლომს კითხულობდაო)

იგორ როდიონავსა და ვანო მერაბიშვილს ერთნაირი მორალური უფლება აქვთ ჩაატარონ რუსთაველზე დემოკრატიის მოთხოვნით მიტინგი!!!

"ნეტ ალკოგოლიზმუ!" - ეწერა ყველგან, სადაც იყიდებოდა ალკოჰოლური სასმელი...

"ნე კურიც!" - ეწერა იმ ადგილებში, სადაც იდგა ურნა მწეველთთვის...

"არა ოკუპაციას!" - აქტიურობენ პოლიტიკოსები, რომლებმაც ნებაყოფლობით, ყოველგვარი ხიშტის და ტანკის გარეშე გადასცეს რუსეთს თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი...

აი, ამიტომ იწვევს ეს კამპანია სიყალბის გრძნობას და ძალიან წააგავს კამსამოლურ "არა ნატოს!", ან "არა იმპერიალიზმს!"...

ამიტომ არ აიტაცა ხალხმა და დროა, დაფიქრდნენ ამაზე ისინი, ვინც გულწრფელად წუხან... თორემ, ზოგიერთები რასაც "ჩალიჩობენ", ყველა კარგად ხვდება ;)

უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძე ხელისუფლებას ურჩევს პრეზიდენტის "გაუთვალისწინებელი ქმედებების თავიდან ასაცილებლად" სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყოს.

დღეს პრეზიდენტის სასახლესთან 17 საათზე, ლეშები ცოცხალ (?!) ჯაჭვს აკეთებენ მათი კერპის დასაცავად! რას არ გაიგებ ამ ქვეყანაში. ეტყობა, ხურდებიან 19 რიცხვისათვის. დავიჯერო იმდენი არიან კრუგი რომ დაარტყან?

დაითხოვეთ მოსამართლეები, კუბლაშვილს შეუჩერეთ სტატუსი !!! ნორმალური იურისტები და კანონმცოდნე არ გვყავს გამოსავალი იპოვოს ???? დღესაც გრძელდება უკანონოდ კერძო მესაკუთრეების უკანონოდ ჩამორთმეული ქონებების გასხვისება თაღლიღური გზებით... თუ ასე გაგრძელდა "კეთილსინდისიერი" მყიდველები, ნაცბანდის წარმომადგენლები გახდებიან და მერე რას აპირებთ? კოაბიტაციას თუ ვალებს გადაუხდით მესაკუთრეებს ?????

ვისაც თეა თუთბერიძე და მარიამ საჯაია მოსწონს, ის ვერასოდეს მიხვდება, რატომ გვიყვარს თეა წულუკიანი! ?

თუ ეს ოფიციალური განცხადებაა, მიშას თავისი ხელით კარგად მოუთხრია რეპუტაცია აზერბაიჯანში!




## xalxis azriT

რა ვივარაუდო, აღარ ვიცი, ამ უმუშევარი კაცების ბაქოში ვიზიტზე... ნავთობჭაბურღილებზე მომუშავეები ეგენი არ არიან... ბაქოში მილიონერ ქალებს დავაბავოოო, არც მაგის შანსია დიდი და.. ვითამ მილიონერი ბაქოელი მამედების საძებნელად წევიდნეენ?..

პაპს თურმე 2500 ევრო ექნება პენსია:))) ხუთშაბათს საღამოს 19 საათზე ადგილი თავისუფლდება... და ვიფიქრე- რამე რომ იყოს, მიშა არ წავა პაპად? ჩაიცმევს წითელ ტუფლებს და იკატავებს გამჭირვალე პაპამობილით აქეთ იქით, მეტი რა უნდა.. გიგის და ვანოს კარდინალებად დანიშნავს... გიგი გამოცდილი კაცია სულიერების ამბავში, ვანო კი კათოლიკეა და ასევე გამოცდილია სხვა ამბავში, უცებ დააყენებს "პალაჟენიას", ასწავლის "მაგენს" ინკვიზიცია და წამება როგორ უნდა:)) მთავარია სიქსტის კაპელა არ "გაარემონტოს", იტალიელები ვერ გაიგებენ:))

ხო ეხლა ეხვეწეთ კიდე დაცვას დაგიყენებთო!!!! არ უნდა და ნუ უნდა მაგის დედაც... იაროს მაგ პულტიანი მანქანით, რა ჩიტსაც დაიჭერს თვითონ ნახავს!!!

სულ ტყუილად ფართხალებ, მიშა :) დიდი მიხვედრა არ უნდა შენს ნამიოკებს :) მაგრამ არ გამოგივა, არც ბაქოსა და თბილისს შორის ურთიერთობების არევა და არც ქვეყანაში ვითარების არევა. ისიც ცნობილია, ზუბიტაშვილს რა დავალებით ამუშავებ „სოკარში" და ეგეც არ გამოგივა. შენი ნებისმიერი ფაჩუნი ცნობილია, ცუნცულა, შენიანებისგანვეა ცნობილი :)... ტოჟე მნე ტალეირანი... როგორც იტყვიან – გეიმ ოვა :)

ნაციონალურმა მოძრაობამ უკან დაიხია და სასამართლოს შეაფარა თავი....

შესაბამისად, ქართველმა ერმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: თუ იპარავ, არ უნდა მოიპარო 20-30 მილიონზე ნაკლები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეზე ხარ! თუ კლამ - მოკალი ბევრი, თან განსაკუთრებული სისასტიკით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხე! თუ სულს ყიდი - აუცილებლად გაყიდე სამშობლოსთან ერთად - წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველმოდურის იარლიყი გაქვს!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კახეთის გუბერნატორი არის ჭუჭუ. მან ბრძანა, რომ ამ უბრალო დაზღვევით ქართული ოცნება არ ასრულებს წინასაარჩევნო დანაპირებსო. შე შეუმდგარო სპერმატოზოიდო, შენი და შენი დამქაშების მთხლე ჭკუით, რუსთაველზე ტრანსპორტის მოძრაობა რო აკრძალე, ამით უფრო მეტი საქმე გააკეთე, ხო? საცემრად მაინც ვარგოდეს, ეს ბოცვრის ტყავის ტიკი.

მაგას აწი ხალიჩას კი არა, ჟიგულს აღარ დახვედრებენ აეროპორტში...

# რატომ გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური?

*ვესაუბრებით თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებულ პროფესორს, ყოფილი ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილეს, ბატონ* ***შალვა გოგიაშვილს***



**– ბატონო შალვა, გარკვეული წლების წინ საქართველოში ანტიმონოპოლურ სამსახურს ქვეყანაში მუშაობის საშუალება არ მიეცა, რამაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი გაურკვევლობები შექმნა. გაჩნდა ასევე ეჭვი, ხელოვნურად მონოპოლიების არსებობის თაობაზე, რა მდგომარეობა დღეს ამ მხრივ საქართველოში ან რა პერსპექტივები არსებობს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებისათვის?**

– იმისი თქმა, რომ მონოპოლიზებულია თუ არა დღეს ქართული ეკონომიკური ბაზრის ესა თუ ის სეგმენტი, ძნელია, რადგანაც ამ მხრივ ქვეყანაში კვლევები არ ჩატარებულა. მონოპოლია თავად გულისხმობს ერთი მოთამაშის ყოფნას ბაზარზე. ჩვენთან ასე არ არის. თუ ბაზარზე რამოდენიმე კომპანიაა ლიდერი, ამას ეწოდება ოლიგოპოლია, ჩვენთან სწორედაც რომ ბაზრები ოლიგოპოლიურია. ეს მთელ მსოფლიოში გავრცელებული სახეობაა.

**– ოლიგოპოლია კარტელურ შეთანხმებას გულისხმობს?**

– არა, ეს სხვა რამ არის, თავად ბაზრის სტრუქტურა ამ ბაზრის ეკონომიკურ აგენტებს აიძულებს ისე იმოქმედონ, რომ გარედან ისე შეიძლება ჩანდეს, რომ თითქოს ერთმანეთთან შეთანხმებულნი არიან, თუმცა, ეს ასე არ არის.

ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, რომ თავისუფალ ბაზარზე მონოპოლისაკენ მისწრაფება იყო, არის და იქნება, რადგან თითოეული ეკონომიკური აგენტი დაინტერესებულია იმით რომ მას დიდი საბაზრო ძალაუფლება გააჩნდეს და ეს ბუნებრივია ხდება ისეც, რომ საბაზრო კანონები სრულიად არ დაირღვეს და რომელიმე კომპანია მონოპოლისტი გახდეს. ამიტომ არც ჩვენი ქვეყნის საბაზრო კანონები და არც უცხო ქვეყნის, მონოპოლურ მდგომარეობას პრაქტიკულად არ კრძალავენ და არც დასჯად ქმედებად არ თვლიან! საერთოდ, საბაზრო ეკონომიკა თავისთავშივე გულისხმობს ბიზნესის გაფართოვებისაკენ მისწრაფებას, მაგრამ დგება რაღაცა მომენტი, რომელმაც შეიძლება მის საბაზრო ქცევაზე იმოქმედოს. პრაქტიკულად, თუ რომელიმე კომპანიამ რომელიმე ეკონომიკური აგენტი დაჩაგრა, კატასტროფულად დიდი ფასები დააწესა და აიძულა მომხმარებელი, რომ ეს ფასი გადაიხადოს – ასეთ დროს სახელმწიფო ვალდებულია ამ საქმეში ჩაერიოს. ეს ხდება იმ დროს, როცა ვინმე საბაზრო წესებს აღრვევს, დისკრიმინაციულ ქმედებას ჩაიდენს, ქმნის ბარიერებს ან სხვა ეკონომიკურ აგენტს არ შეუშვებს ბაზარზე.

**– როგორ, რა ფორმით ერევა ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო?**

– ყველა ქვეყანას სხვადასხვა მეთოდები აქვს. ყველას აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარკვეული ქმედებები.

**– არის ამჟამად ჩვენთან ეს კანონმდებლობა?**

– ეს კანონმდებლობა იყო 2005 წლამდე, შემდეგ გაჩნდა ქვეყანაში ე.წ. ლიბერალური ეკონომიკის დოქტრინა, მაშინ ქვეყანამ ბევრ რამეზე უარი თქვა, კერძოდ კი საბაზრო ეკონომიკაში კონკურენციის მართვაზე. პრაქტიკულად კანონმდებლობა ქაღალდზე დარჩა. ნორმატიული აქტებისა და კანონების შემუშავების გარდა, ანტიმონოპოლურ სამსახურს ესაჭიროებოდა კადრების შერჩევა, რადგანაც ჩვენ საბაზრო ეკონომიკაზე გადავედით და ადრე ასეთი სპეციალისტები ქვეყანას არ სჭირდებოდა. ერთდროულად გადავიდა საქართველო როგორც დამოუკიდებელ ეკონომიკაზე, ასევე საბაზრო ეკონომიკაზე, ეს ურთულესი პროცესი იყო. თავად ანტიმონოპოლური სამსახურის სპეციალისტებისა და ექსპერტების მოსამზადებლად დიდი ძალისხმევა გამოიჩინა მაშინ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის მსოფლიო ბანკმა. სამწუხაროდ, ანტიმონოპოლური სამსახურის მუშაობა მთავრობის გადაწყვეტილებით არ განხორციელდა.

**– რა მდგომარეობაა დღეს ბაზარზე?**

– თუ თქვენ კვალიფიციური პასუხი გაინტერესებთ, მე არ ვიცი, იმიტომ, რომ საკითხი შეუსწავლელია, იქნებ ვინმე სწავლობს კიდეც, მაგრამ უნივერსიტეტისათვის უცნობია. არსებობს ერთი – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომლებიც შეხიზნული არის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურთან.



**– როდის შეიქმნა ანტიმონოპოლური სამსახური ქვეყანაში, რომელიც 2009 წელს უმოქმედო გახდა?**

– ანტიმონოპოლური სამსახური შეიქმნა 1996 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ხოლო 1997 წლის მარტში უკვე მისი დებულების დამტკიცდა, რომლის დროსაც შეიქმნა ასევე ცენტრალური და რეგიონალური სამსახურები, სულ 150 კაცი მუშაობდა სისტემაში. 2005 წელს კანონი მთლიანად გაუქმდა ამ სამსახურის შესახებ, და გაუქმდა სამსახურიც.

**– თუ არ ვცდები, ბენდუქიძის ინიციატივით მოხდა ეს ყოველივე?**

– დიახ, ეს მისი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ პარლამენტის დადგენილებით კანონმდებლობა იქნა მიღებული იმის თაობაზე, რომ შეიმუშავეს კანონი **„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ"**, და იმავდროულად შეიქმნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო", რომელშიც მუშაობდა 7 კაცი. ამ სააგენტომ შემდგომში ტრანფორმაცია განიცადა და მოხდა შერწყმა, რომელსაც ეწოდა –„კონკურენციისა და სახელმწიო შესყიდვების სააგენტო". ეს სააგენტო დღესაც არსებობს, მაგრამ უფლებრივადაც და ფიზიკურადაც ის დაკნინებულ მდგომარეობაშია.

**– ხშირად ხდებოდა ისეც, რომ რომელიმე პროდუქტზე მსოფლიოში ფასი იმატებდა, შემდეგ კვლავ იკლებდა, ჩვენთან კი კვლავ მომატებული რჩებოდა, ყველაფერმა ამან მოსახლეობა ფაქტობრივად გაალატაკა, ასევე გარუკვეველია დღესაც საქართველოში სამომხმარებლო კალათის ზუსტი ციფრი, არ არის ეს ხელისუფლების პრეროგატივა, რომ ჩაერიოს ამ საკითხში და შეაჩეროს ეს პროცესი?**

– 2005 წელს, როდესაც გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური მაშინ გააუქმეს ფასების ინსპექციაც. ამიტომ ფასებს ქვეყანაში ბაზარი არეგულირებს გარდა ისეთი ბაზრებისა, სადაც არის ბუნებრივი მონოპოლიების სეგმენტი, როგორიც არის დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები. მთავარი ერთია, რომ არ უნდა მოხდეს ბაზარზე შესვლისთვის ბარიერების შექმნა, ყველა ეონომიკურ აგენტს ადგილობრივს თუ უცხოელს, უნდა ჰქონდეს თანაბარი პირობები. კონკურენცია ფასებს თავისთავად დაარეგულირებს, სახელმწიფომ კი ბაზრის ღიაობას უნდა შეუწყოს ხელი.

**– როგორია დღევანდელი კონკურენტული კანონმდებლობა?**

– დღევანდელი კონკურენტული კანონმდებლობა იწვევს სურვილს, რომ ის უფრო სრულყოფილი გახდეს და იყოს ქმედითი. მიმაჩნია, რომ მთელ ამ სისტემას 50-60 კაცი სრულიად უზრუნველყოფს. საჭიროა ამ სამსახურის აღჭურვა თანამედროვე დონეზე და მას უნდა დაეკისროს კონკურენტული გარემოს დაცვაზე პასუხისმგებლობა, მასზე ზრუნვა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა და მისი გამოვლენა. მას ასევე უნდა ჰქონდეს გარკვეული სადამსჯელო ბერკეტები. დღეს, ჩვენთან, სამწუხაროდ, სტატისტიკის კანონიც, რომელიც ევროსტატის მოდელზეა აგებული, ისეა ჩამოყალიბებული, რომ ანტიმონოპოლურ ორგანოსაც არ ექნება საშუალება (რომ ფუნქციონირებდეს) რომ მისთვის საჭირო ინფორმაცია მიიღოს.

**– ახალი ხელისუფლების პირობებში, იმედია ანტიმონოპოლური სამსახური კვლავ ამოქმედდება და სერიოზულად იმუშავებს, თქვენი აზრით ვის დაექვემდებარება ის?**

– ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, უარეს შემთხვევაში კი დაექვემდებაროს პარლამენტს. პირველად, როცა შეიქმნა ეს სამსახური, ის ეკონომიკის სამინისტროს ექვემდებარებოდა, ეს სამინისტრო მაშინ იყო ზოგადი პროფილის, მერე მას ბევრი სამინისტრო შეუერთდა, ამიტომ დღეს ამ სამინისტროსთან ერთად ანტიმონოპოლიური სამსახურის ყოფნა, ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

თუ შეიქმნება ისეთი ანტიმონოპოლური სამსახური, რომელიც იქნება დამოუკიდებელი, ქართული ეკონომიკური ბაზარი გახდება ძლიერი, ყველასათვის მისაღები, მათ შორის უცხოელებისათვის და ამ მიმართულებით აღმავლობა იქნება გარდაუვალი.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

# სახელის უფლება

*რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოღება პირადობის დამადასტურებელი საბუთებიდან, საიდან იღებს დასაბამს, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამგვარმა ქმედებამ და რა გზა არსებობს ეროვნული თვითმყოფადობის აღსადგენად, ამ თემაზე სასაუბროდ „საერთო გაზეთის" იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მარიამ ცაცანაშვილი** ესაუბრა.*



— საიდან წამოვიდა ეს საკითხი — ევროპაში XX საუკუნის დასაწყისში ნაცია-სახელმწიფოს მოდელები ჩამოყალიბდა. მაგალითისათვის ასახელებდნენ, საფრანგეთს არ არის ეროვნების აღნიშვნაო, მაგრამ იქ „ფრანგი" წერია. თუ ფრანგების მიმბაძველობით ვაკეთებდით, ჩაგვეწერა „ქართველი". ცალკე „ქართველი" არაფერს ნიშნავს, ეს არის კუთხური წარმომავლობის გამაერთიანებელი სახელი და სუფიქსი „ელი" განსაზღვრავდა, რომ პირი არის „საქართველოდან", ანუ დავემსგავსებოდით ევროპულ, კონკრეტულად იმ ფრანგულ მოდელს. „ფრანგი" რომ უწერია, მათ პასპორტში ეს ჩანაწერი აღნიშნავს პირის მოქალაქეობას და არა ეროვნობას. სხვათა შორის, „ნაცია-სახელმწიფოს" მოდელზე კარგად დასაბუთებული კარგი სტატიები აქვს გამოქვეყნებული მიხეილ სააკაშვილის დედას და რომ ჩაეხედათ იმ სტატიებში, კარგი იქნებოდა.

უნდა წავსულიყავით თუ არა ამ მოდელით, ეს კიდევ მსჯელობის საკითხი იყო, უბრალოდ, ძალიან ვბრაზდებოდი და ჩემი არგუმენტები ვთქვი. იურიდიული კუთხით, შეიძლებოდა, მართლაც დავთანხმებოდი პირადობის მოწმობებიდან ეროვნების ამოღებას, მაგრამ რას ნიშნავს, როდესაც სხვა დოკუმენტებიდანაც იღებ, ანუ საერთოდ აქრობ?

როგორ აღიქვამენ ამას ადამიანები — ვერ აღიქვამენ დადებითად. თუ შენ მპასუხობ, „ეგ სადაც გინდა იქ ჩაწერეო", მაშინ მიმითითე დოკუმენტი, სადაც ჩემი ეროვნების დამადასტურებელი ინფორმაცია შეიძლება არსებობდეს. როგორც ხედავთ, იგივე ფრანგები, გნებავთ, გერმანელები, უკვე ძალიან ღელავენ, როდესაც „ფრანგი" (ან გერმანელი) ჰქვია არაფრანგული, სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანს.

**— აქვე მამის სახელის ამოღებაზეც უნდა გკითხოთ?**

— ქართული იურიდიული დოკუმენტებიდან მამის სახელის განდევნა დაკავშირებულია იმ აზრთან, რომ თითქოს ქართულ ანტროპოლოგიურ მოდელში მამის სახელი რუსებისგან იყო თავსმოხვეული — ეს სიცრუესთან ერთად უცოდინარობის გამოვლინებაა. ყველა ხალხს თავისი ანთროპონიმური მოდელი აქვს, რაც ისტორიული, გეოგრაფიული და ენობრივი ასპექტებით განისაზღვრება. მაგალითად, დღეს საკმაოდ გავრცელებულია გვარ-სახელი (მემკვიდრეობითი სახელი), მაგრამ ევროპელ ისლანდიელებს პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტებში სახელი და მამის სახელი უწერია. ასეთივე მოდელი ჰქონდათ თურქებს, სომხებს, რუსებს. თურქებს გვარი ათა თურქმა დაუკანონა, სომხებში XIX საუკუნეში წარმოიშვა, რუსეთის თავადაზნაურობას პეტრე I-მა დაუწესა, ხოლო მასებმა XIX საუკუნიდან მიიღეს. ზოგიერთი ხალხისთვის უცხოა მამის სახელი. ერთმანეთისგან განსხვავდება პიროვნების დოკუმენტებში მამის სახელის ჩაწერა და მამის სახელით მიმართვა. ამასთან, არც ანთროპონიმული სისტემის ელემენტების რიგითობა წარმოადგენს ისტორიულად ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ მოდელს. ერთში თუ უპირველესი გვარ-სახელია, მეორეში სახელია, თუმცა დღეს მრავალ ქვეყანაში ეს ოფიციალურად რეგლამენტირებულია.

ქართველი ხალხის ანთროპონიმური მოდელი დოკუმენტურად VII საუკუნიდანაა დადასტურებული. პიროვნებები ქართულ საისტორიო საბუთებში ჩაწერილი არიან, როგორც სახელითა და გვარით, ისე სახელით, გვარით და მამის სახელით. პიროვნებათა მოხსენიება ისტორიულად არავითარ იურიდიულ აქტს არ ეყრდნობა, მაგრამ უფრო მეტად სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელი სჭარბობდა. ეს ტრადიცია მკაცრადაა დაცული XIX საუკუნის თითქმის ყველა კამერალური აღწერის დავთარსა თუ საეკლესიო დავთარში. მამის სახელი უფრო მეტად აკონკრეტებს პიროვნებას, ის ერთ-ერთი დამატებითი განმასხვავებელი ნიშანია. დასავლეთ ევროპის კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებში პიროვნების დამაკონკრეტებელ მეორე ნიშანს მეორე ოფიციალური სახელი წარმოადგენს, საქართველოში კი მეორე სახელის ოფიციალურად დაკანონების პრაქტიკა იმიტომ არ შეიქმნა, რომ განმასხვავებლის, დამაკონკრეტებლის ფუნქცია მამის სახელს ჰქონდა. მმამის სახელმა კუთვნილი ადგილი უნდა დაიბრუნოს იურიდიულ დოკუმენტებში, რადგან „სახელის უფლება" (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლი) უნდა მოიცავდეს სახელს, მამის სახელს და გვარ-სახელს. ბერძნებს სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელი აქვთ. მაგალითად, ცილინდის ნიკოლაოს ოდისეას — გვარი, სახელი და მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში. ამდენად, გამორიცხულია, რომ ბერძნებსაც რუსებმა მოახვიეს თავს სამწვერა ანტროპონიმული მოდელი.




**— არ გვაქვს მამის სახელი, არ გვაქვს ეროვნება, არ არსებობს დოკუმენტი სადაც იქნება ჩაწერილი „ქართველი", მაგრამ არსებობს ტერიტორია სახელად საქართველო, სადაც რუსებთან, სომხებთან, ჩინელებთან, ინდოელებთან ა.შ ერებთან ერთად ცხოვრობენ ვიღაცები, რომლებიც თავიანთ თავს ქართველებს უწოდებენ — რასთან შეიძლება ამან მიგვიყვანოს?**

— რასაც ამბობთ, იმ ყველაფერთან მივყავართ ამას. ტერმინი რომ გააქტიურეს, „ეროვნული უმცირესობა", მაინტერესებს, რა კრიტერიუმით დადგინდა ვინ ვისთანაა უმცირესი? — ეს საკითხი საერთაშორისო საკანონმდებლო სივრცესაც პრობლემას უქმნის. სააკაშვილი რომ სინგაპურს ახსენებდა, სინგაპურის მოსახლეობის მხოლოდ 15%-ია სინგაპურელი. ნელ-ნელა, თუ შენ შენი მაიდენტიფიცირებელი ნიშნები აღარ გაქვს, ეროვნება, მამის სახელი და გვარი — ქრები. ისეთი სისწრაფით ხდება გვარების გადაკეთება, ვერ წარმოიდგენთ — ესეც უკვე გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის. გვარების შეცვლა ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ გარკვეულ რეგულაციას ექვემდებარებოდა. რაც ხდება, მე არ ვიცი, თავისუფლების რა ხარისხია. ეს არის თავისუფლების ის ხარისხი, სადაც პასუხისმგებლობა აბსოლუტურად გამორიცხულია, სადაც თვითშეგრძნება არ არსებობს და გლობალურად, ვირტუალურ სამყაროში ვართ წარმოდგენილნი. როდესაც ადამიანს ფესვებს აგლეჯ, ეს მასში დისკომფორტს იწვევს, რადგან ადამიანი თავისთავად არის ინფორმაციული კავშირი თავის გენეტიკურ წარსულსა და აწმყოს შორის, რომელსაც ასევე გენეტიკურად გადასცემს მომავალს. როცა ეს ირღვევა, ანუ პირი მოცილებულია თავის ეროვნებას, მამის სახელს, ენას და ა.შ ის იქცევა ვირტუალური სამყაროს შემადგენელ ნაწილად და იწვევს არა მხოლოდ დეპრესიებს, რეპრესიებს და აგრესიებს, თვითლიკვიდაციის სურვილსაც, თვითგანადგურების პროგრამა იწყებს ამუშავებას...

**მაია ჭელიძე**
593 32 49 71

---

მიაქციეთ ყურადღება, რომ მისი გვარის წინ არ წერია არც "პრეზიდენტი" და არც "ბატონი"! დიპლომატიური პროტოკოლის მიხედვით კი მხოლოდ გვარით მოხსენიება ხაზგასმული დამცირებაა, რასაც პარტნიორის და პატივსაცემი პოლიტიკოსის მიმართ ადმინისტრაციის ოფიციალური პირი, არავითარ შემთხვევაში, შემთხვევით არ მიმართავს. ეს არის საკმაოდ მკვახე გაფრთხილება.

სამაგიეროდ, ნაცმოძრაობამ გამოაქვეყნა ვანო მერაბიშვილის მარკშეიდერული ნახაზების ალბომები 89 ტომად, ვერა ქობალიას ორტომეული "ზემოდან დანახული მდგრადი ეკონომიკა", გოგა ხაჩიძის "სოლფეჯიო" (დოლისათვის), ხათუნა კალმახელიძის "მიშა ტატანო", და ლადო ვარძელაშვილის მე-8 კლასის სუფთა წერის რვეულები...

თუ გუმანი არ მატყუებს, ეს ორშაბათი საქართველოში ბუნდოვანი კოჰაბიტაციის დასასრულის დასაწყისად უნდა იქცეს.

ტაქსის მძღოლებო, როგორც დაამხეთ მიშა, ისე შეგვიყვანეთ ახლა ნატოში... ბჯოს?!

პრეზოს მხარდამჭერთა აქციამ სიმცირის გამო ცოცხალი ჯაჭვი ვერ შემოჭიმა სასახლეს, ბევრი ფიქრის მერე გადაწყდა: ანალოგიური აქცია სპორტის სასხლესთან ჩაატარონ და......ფოთოლას შემოერტყან)




ნაციონალებისთვის შეღავათიან ფასებში ვიძლევი ცნობას, რომ გულის სიღრმეში ოცნებობდით)

მეგობრებო, სერიოზულად დამაფიქრა სააკაშვილის მიერ აზერბაიჯანის და ილჰამ ალიევის მიმართ მოსალოდნელი "საფრთხეების" შესახებ გაჟღერებულმა ინფორმაციამ. აქამდეც ყველამ ვიცოდით, რომ ეს სუბიექტი ავადაა, მაგრამ ეს პროვოკაცია უკვე ყველა საზღვრებს სცილდება. სასწრაფოდ არის მოსაფიქრებელი კონრეტული და რეალური მექანიზმი ეგრეთწოდებულის პოსტიდან ჩამოსაშორებლად, რაშიც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საერთაშორისო თანამეგობრობამაც, რადგან მიშა უკვე ყველას უქმნის საფრთხეს... იქნებ მართლაც დაეწყოთ ფიქრი მინდია უგრეხელიძის მიერ შეთავაზებულ მექანიზმზე?

დრო აღარ ითმენს... გიჟმა აიწყვიტა :(

ხუბუას რაც შეეხება, მას არავინ არ კითხავდა გურამ შარაძის დაჭერას, ის იყო ერთი ხელის ბიჭი. თუმცა მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მამაჩემის მკვლელობის შემდეგ მოინანია. იოტისოდენი აგრესიაც კი არ მაქვს მის მიმართ.

ერთი სულიკოს საფლავს ეძებს მთელი საქართველო და მეორე - წულუკიანის დიპლომს.

სოზარ სუბარის გამკვირვებია, რითი ვერ ელევა ამ მედეა ალანიას?! რამდენჯერ დაიწერა და ისედაც ყველამ იცის, რომ ეს ქალი ბაჩო ახალაიას „ფავორიტი" დირექტორი იყო? იგი დღესაც არ მალავს და ღიად უჭერს მხარს ბაჩო ახალაიას, უგზავნის მას მხარდასაჭერ წერილებს და ამხნევებს კიდეც... გთავაზობთ ამონარიდს მსჯავრდებული მურმან ქათამაძის ღია წერილიდან: "... გამატიტვლეს, მარტო "პლავკის" ამარა დამტოვეს. ხელები შემიკრეს... და დამიწყეს უმოწყალო ცემა.

# მოხვდება თუ არა სხვათა განმსჯელი კუბლაშვილი განსასჯელის სკამზე?

**იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს**
**მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს**
**შს მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს**
**პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ეკა ბესელიას**



ეკა ბესელიას განცხადებას, კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტთან დაკავშირებით, თავად ბატონი კუბლაშვილი არასერიოზულსა და უსაფუძვლოს უწოდებს. იგი თავისი ვერსიის გასამყარებლად კონსტიტუციას იშველიებს, ჩემი იმპიჩმენტი საკითხი ვერანაირად ვერ დადგება, რადგან კონსტიტუციის თანახმად, იმპიჩმენტის საკითხი რომ დადგეს, ერთ-ერთი საკითხია დანაშაულზე წასწრება, ასეთი რამ კი არ ყოფილა, ამიტომ იმპიჩმენტის არანაირი საფუძველი არ არსებობსო.

„საერთო გაზეთს" თავადაზნაურთა საკრებულოს წევრი, კომუნისტების პერიოდში შევარდნაძის მიერ რეპრესირებული **მიხეილ ბაბუნაშვილი** დაუკავშირდა და ამ ჩვენ „დანაშაულზე წაუსწრებელ" უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციები მოგვაწოდა.

— „ბუკიას ბაღში" მდებარე ახალაშენებული უზარმაზარი სასახლე რომ ბატონი კოტეს კუთვნილება გახლავთ, ამის შესახებ არაერთხელ მოგვისმენია. საიდან აღმოჩნდა ამ ისტორიულ ბაღში კოტე კუბლაშვილი და როგორ აიშენა სრა-სასახლე ვფიქრობთ მარტო მკითხველს კი არა სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებსაც დააინტერესებს.

ორიოდ სიტყვით ამ ისტორიული ბაღის შესახებ. 1932 წელს კიევიდან ჩამოვიდა ცნობილი აგრონომი მირიან ბუკია. იმ ადგილზე სადაც ახლა სტუ-ის პირველი კორპუსი და ბუკიას ბაღია, ადრე ჭაობი იყო, სადაც გველები და ბაყაყები ბუდობდნენ. ამ ადამიანმა ბევრი იშრომა, ეს ჭაობი საკუთარი ხელით ამოაშრო, ჩამოიტანა იშვიათი ჯიშის ნერგები და ბაღი გააშენა. მერე მთავრობაში შევიდა წინადადებით და ერთი ჰექტარი მიწა საკუთრებაში გადასცეს. 1942 წელს მირიან ბუკია დაიჭირეს და გადაასახლეს, სადაც დაიღუპა. მისი ერთსართულიანი სახლი მდებარე იყალთოს ქ.№23 და მიწის მცირე ფართობი (400 კვ.მეტრი) მემკვიდრეობით ერგო მირიან ბუკიას შვილს, ლეილა ბუკიას, ბაღის დანარჩენი ტერიტორია კი მთავრობამ წაიღო. სწორედ ლეილა ბუკიას კარმიდამოზე დგას ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, კოტე კუბლაშვილის მეუღლის მარინა მესხისა და მისი დების მაია და ირმა მესხების კუთვნილი 4-სართულიანი სასახლე.

თბილისის მერიის 2003 წლის თებერვლის დადგენილებით (№032551), „ბუკიას ბაღი" სარეკრიაციო ზონად გამოცხადდა და ვინაიდან სათანადო დაუფინანსებლობის გამო ბაღის სათანადო მოვლა-პატრონობა ვერ ხდებოდა იგი საპატრიარქოს გადაეცა. ჩვენი რესპოდენტის განცხადებით, საპატრიარქომ ბაღის მოვლა-პატრონობა მირიან ბუკიას შვილიშვილს, ასევე პროფესიონალ აგრონომს მიხეილ ბუკიას დაავალა და დღესაც ის უვლის.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდნენ მესხები ამ „გაუგებრობაში". სასახლის მფლობელთა ცნობით, გასული საუკუნის 90-იან წლებში ვანიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული მაია მესხი ლეილა ბუკიასთან მდგმურად ცხოვრობდა. მან თურმე ისე შეაყვარა თავი დიასახლისს, რომ ამ უკანასკნელმა 2000 წლის 21 სექტემბერს ნოტარიულად გაუფორმა საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულება გარდაცვალებამდე რჩენის პირობით. ერთი სიტყვით, მაია მესხი კისრულობდა ვალდებულებას, რომ სიცოცხლის ბოლომდე შეინახავდა ლეილა ბუკიას და მისი გარდაცვალების შემდეგ ეს უძრავი ქონება მაია მესხს დარჩებოდა. ხსენებული ხელშეკრულება ნოტარიუსმა ეკატერინე ჩაჩანიძემ დაამოწმა, რომელიც მიხეილ ბაბუნაშვილის განცხადებით, კოტე კუბლაშვილის მეუღლის თანაკურსელია. რატომღაც ამ ხელშეკრულებაზე მითითებული არ არის მისამართი, მხოლოდ დიდუბის რაიონის ნოტარიატი წერია. ლეილა ბუკიას მიწის ფართობიც 400 კვ.მეტრის მაგივრად, 300 კვ.მ-დაა ნაჩვენები, რაც ნოტარიუსს ხელით გადაუსწორებია და 313 კვ.მ. მიუწერია. ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, ლეილა ბუკია 300 კვ.მ მიწის ფართობს ფლობდა, რომელიც იყალთოს ქ. №23-ში მდებარეობდა.

ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე თვეში, კერძოდ, 2001 წლის 17 მაისს ლეილა ბუკია უკვე ანდერძით უტოვებს მაია მესხს გარდაცვალებამდე რჩენის პირობით (სამიდღემჩიო აქტი) გადაცემულ ქონებას. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რაღა საჭირო იყო ანდერძი? კვალიფიციური იურისტების განცხადებით, გამსხვისებელ პირს ანუ ლეილა ბუკიას შეეძლო ხსენებული აქტი გაეუქმებინა, თუკი მეორე მხარე ვალდებულებას სათანადოდ არ შეასრულებდა. აქედან გამომდინარე, ეტყობა კუბლაშვილ-მესხებმა თავი დაიზღვიეს, მითუმეტეს, რომ როგორც ირკვევა, ისინი ლეილა ბუკიას ცუდად ექცეოდნენ. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ფაქტია, რომ დები ძალზე ჩქარობდნენ. სხვათა შორის, ამ სამიდღემჩიო აქტისა და ანდერძის გაფორმებამდე ლეილა ბუკიას ხსენებული მიწის ნაკვეთი (300 კვ.მ) თავის ნათესავზე, ჯონი ბუკიაზე გაუსხვისებია 3.000 ლარად (არსებობს 2000 წლის ივლისში გაფორმებული ნასყიდობის ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება). საჯარო რეესტრის მიერ გაცემულ 2000 წლის 20 ივლისით დათარიღებულ ამონაწერში მიწის მეპატრონედ ჯონი ბუკიაა მითითებული. ასე რომ, იმ მიწას სხვა მეპატრონე ჰყავდა და საინტერესოა, როგორღა გააფორმეს ნოტარიუსებმა ზემოხსენებული დოკუმენტები? 2002 წლის 4 ივლისით დათარიღებულ საჯარო რეესტრის ამონაწერში უკვე მაია მესხი ფიქსირდება ამ მიწის მეპატრონედ. ამ უკანონობაში კოტე კუბლაშვილის კვალი უნდა ვეძიოთ, ცხადია, ვერცერთი ნოტარიუსი ვერ შებედავდა უარს თავის უშუალო უფროსს, ანუ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, სანამ სამიდღემჩიო აქტი გაფორმდებოდა, ანუ 2000 წლის 13 სექტემბერს ლეილა ბუკიამ კოტე კუბლაშვილის მეუღლეს, მარინა მესხს მინდობილობა მისცა ორი წლის ვადით, რომ მის მაგივრად ეწარმოებინა საქმიანობა ტექნიკურ საინვენტარიზაციო ბიუროში და საჯარო რეესტრში (ანდერძი და მინდობილობა დამოწმებულია გამსახურდიას გამზირის №8-ში მდებარე სანოტარო ბიუროში ნოტარიუს ანა როინიშვილის მიერ). კოტე კუბლაშვილის მეუღლე მხოლოდ ერთხელ ჩანს ოფიციალურად ამ საქმეში. სწორედ ამ მინდობილობის გაცემის შემდეგ იწყებენ კუბლაშვილი-მესხები აქტიურ მოქმედებას. უკვე სახლის მისამართიც იცვლება და გამსახურდიას გამზ. 26/23-ად ფიქსირდება, რაც ბუნებაში არ არსებობს. არ დაგვავიწყდეს, რომ ამ პერიოდში იუსტიციის მინისტრი უკვე მიხეილ სააკაშვილია, მისი მოადგილე კი კოტე კუბლაშვილი გახლავთ. ანდერძის გაფორმებიდან რამდენიმე დღეში (2001 წლის 5 ივნისი) ლეილა ბუკია მოულოდნელად გარდაიცვალა, რამაც ამ ქალბატონის ნათესავებში დიდი ეჭვი გააჩინა. ისინი ვარაუდობენ, რომ ყველა ეს მესხების სასარგებლოდ გაცემული დოკუმენტი, ლეილა ბუკიაზე ზეწოლის შედეგადაა მიღებული.

სხვათა შორის, ლეილა ბუკიას საეჭვო გარდაცვალებაზე თავის ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში პარტია „თავისუფალი საქართველოს" წევრი გია ყრუაშვილიც საუბრობდა. იგი გარდაცვლილი ქალბატონის ნათესავის მონათხრობზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ მაია მესხი არასდროს ყოფილა ლეილა ბუკიას მდგმური, კუბლაშვილებს თვალი ჰქონდათ დადგმული იმ პრესტიჟულ ადგილზე, მარტოხელა ქალს მიუგზავნეს მაია მესხი ქონების ხელში ჩასაგდებად და მერე ეს ვერსია შექმნეს. ბუკიას ახლობლების ინფორმაციით, მაია მესხს ტერორში ჰყავდა მარტოხელა მოხუცი, ნათესავებს არ აკარებდა. თუ როგორმე მოვახერხებდით ნახვას, იგი ძალზე დათრგუნული და შეშინებული იყო, ჩურჩულით გველაპარაკებოდა, ერთი-ორჯერ სახეც ჰქონდა ჩალურჯებული, რაც მაიამ მოხუცის დაცემით ახსნაო. ამის შემდეგ ნათესავები მასთან შეხვედრას ველარ ახერხებდნენ და ლეილა მალევე გარდაცვლილა გაურკვეველ სიტუაციაში. მთელი ქონება ცხადია, კუბლაშვილებს დარჩათ. ლეილა ბუკიას ნათესავები დიდხანს დაობდნენ მაგრამ კოტე და პალიკო კუბლაშვილებთან რას გააწყობდნენ, იძულებული გახდნენ გაჩუმებულიყვნენო.

2002 წლის წლის ივლისში მაია მესხმა ოფიციალურად მიიღო მემკვიდრეობა. იმავე წლის მიწურულს მან განცხადებით მიმართა თბილისის მთავარ არქიტექტორს, რომ შეეთანხმებინათ მის კუთვნილ ნაკვეთზე არსებული ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის და მასზე სამსართუ-

**ახალო ხელისუფლებავ და საპარლამენტო უმრავლესობავ, თუ მართლა გინდათ კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხის დაყენება, ამ წერილში კანონდარღვევათა იმდენი გამაოგნებელი ფაქტია, ხუთ კუბლაშვილს ეყოფა საიმპიჩმენტოდ...**



**იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში**
**www.saertogazeti.org**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

# რა სახსრებით ააშენა „ბუკიას ბაღში" ოთხსართულიანი სასახლე კოტე კუბლაშვილის ვანელმა ცოლისდამ?

ლიანი სამბინიანი საცხოვრებელი სახლის დაშენების არქიტექტურული პროექტი, რაზეც თანხმობა მიიღო (ბრძანება №20/810 2.12.2002, რაზეც ხელს აწერს მთავარი არქიტექტორი ირაკლი ლოლაშვილი). ამის მერე იწყება გრანდიოზული მშენებლობა, ერთსართულიანი პატარა სახლის ადგილზე, 4-სართულიანი სასახლე წამოიჭიმა, რომლის საერთო ფართი 613 კვ.მ-ად ფიქსირდება. ეს სასახლე თურმე 1975 წელს დაბადებულ მაია მესხს აუშენებია, რომელიც ერთი დღეც არ ყოფილა დაკავებული სამეწარმეო საქმიანობით. ეს „საქმე" რომ თეთრი ძაფითაა ნაკერი, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს. შემდეგ „გულუხვმა" მაიამ თითო სართული საჩუქრად ჩამოურიგა დებს, მარინა და ირმა მესხებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ ყბადაღებული სახლის მშენებლობა იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც კოტე კუბლაშვილს „მეგობრებმა" მკურნალობისთვის საჭირო თანხა შეუგროვეს. ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს, მისივე განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის თხოვნით 15.000 გერმანული მარკა გაუღია. ეს თანხა მნიშვნელოვნად აღემატებოდა საჩუქრის ღირებულების კანონით დაშვებულ ოდენობას. ბატონ კუბლაშვილს, ანუ მინისტრის მოადგილეს, თავის ქონებრივ დეკლარაციაში ამ თანხასთან დაკავშირებით არანაირი ჩანაწერი არ გაუკეთებია. ქიბარ ხალვაშს თუ დავუჯერებთ, მაშინ კუბლაშვილს 200.000-მდე ევრო შეუგროვდა. ოღონდ მან არ იცის სხვა გადამხდელების ვინაობა. ცხადია, დეკლარაციაში არც ეს თანხა ასახულა. იურისტების განცხადებით ყველა საჩუქარი დეკლარაციაში უნდა აისახოს, არ აქვს მნიშვნელობა ის მკურნალობისთვის იყო თუ სხვა მიზნებისთვის. ქონების დეკლარაციის წარუდგენლობა ან მასში არასწორი მონაცემების მითითება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს (სს-ის კოდექსის 335-ე მუხლი). რაც შეეხება ცოლისდის მიერ „ნაჩუქარ" ქონებას, რომელიც 100.000 ლარად აქვთ შეფასებული, ბატონი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე 2004 წლიდან მოყოლებული თავის ქონებრივ დეკლარაციაში მასთან დაკავშირებით ურთიერთ განსხვავებულ ჩანაწერებს აკეთებს, ეს ქონება ხან საჩუქარია, ხან ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემული. ორი წელი მას დეკლარაციაში თურმე იმიტომ არ შეჰქონდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება დასრულებული არ იყო, ამ რამდენიმე საათიანი პროცედურისთვის რა საჭირო იყო ორი წელი, იმიტომ ხომ არა, რომ ბატონ კუბლაშვილს გადასახადის გადახდისთვის აერიდებინა თავი?



საერთოდაც ამ ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით კუბლაშვილის „ჩვენებების" ცვლა კომპეტენტური წყაროს განმარტებით, სწორედ ქონების გადასახადის გადახდა-არგადახდას უკავშირდება. თავს აღარ შეგაწყენთ სათანადო კანონმდებლობის დეტალებზე საუბრით. მესხი-კუბლაშვილების ეს ქონება 2006 წელს „თიბისი ბანკში" ყოფილა იპოთეკით დატვირთული, რომლის სანაცვლოდაც მათ 100.000 დოლარის ოდენობის კრედიტი მიუღიათ, თუმცა არც ამ იპოთეკის შესახებაა დეკლარაციაში მითითებული, არადა ბატონ კოტეს აუცილებლად უნდა მიეთითებინა.

იმედია, ამ ყველაფერზე შესაბამისი უწყებები უფრო კომპეტენტურად იმსჯელებენ და დასკვნასაც გამოიტანენ.

მიხეილ ბაბუნაშვილის განცხადებით, კუბლაშვილს სინამდვილეში ეს კრედიტი არ აუღია. სავარაუდოდ, ეს დოკუმენტი იმისთვის გაკეთდა, რომ თითქოს ხსენებული სასახლე კრედიტის თანხით აშენდა.

**მიხეილ ბაბუნაშვილი:** „ბუკიას სახლი და მიწის ფართობი იყალთოს ქ. 23-ში რომ ირიცხებოდა, სადაც რეალურად მდებარეობს კიდეც, ყველა ტექნიკურ დოკუმენტში მითითებული. კუბლაშვილების დაინტერესების შემდეგ, რატომღაც მისამართი გამსახურდიას 26/23 გახდა, რაც ბუნებაში არ არსებობს. კუბლაშვილებმა მისამართი კი შეცვალეს, მაგრამ კვალი მაინც ვერ წაშალეს. ეს სახლი რომ „ბუკიას ბაღის" კუთხეში, იყალთოს ქუჩაზე დგას, რად უნდა დიდი მტკიცება. რაც შეეხება მიწის ფართობს, ლეილა ბუკიას 300 კვ.მ ფართი ეკუთვნოდა, რომელიც როგორ აღმოჩნდა მესხი-კუბლაშვილების ხელში უკვე გითხარით. აქ არავითარი რეკონსტრუქცია არ მომხდარა, ძველი სახლი დაანგრიეს და მის ადგილზე ეს სასახლე წამოჭიმეს. შესაბამისი ექსპერტიზა ჩემი სიტყვების სიმართლეს დაადგენს. რეალურად კუბლაშვილები 800-900 კვ.მეტრს ფლობენ, თუმცა ეს ფართობი რეგისტრირებული არ არის,. დოკუმენტურად მათ 613 კვ.მ. ეკუთვნით, რაც ასევე უკანონოა, რადგან არსად არ ჩანს საიდან აიღეს ეს მონაცემი. მაინტერესებდა კუბლაშვილები ფაქტობრივად მიწის რა ფართს ფლობდნენ, ამზომველებიც დავიქირავე, მაგრამ კუბლაშვილებმა ისინი თავიანთ „სამფლობელოს" არ გააკარეს.

ძველი სახლი თუ 42 კვ.მ-ზე მიწის ფართზე იყო განთავსებული, ეს ახალი 5-სართულიანი (სარდაფის ჩათვლით) 180 კვ.მ. ფართზე დგას. კუბლაშვილებმა სახლის მშენებლობისას მიწა ბუკიას ბაღიდანაც მიითვისეს, ანუ იმ ტერიტორიიდან, რომელიც ბუკიებს არ ეკუთვნოდათ. სახლის ერთი ნაწილი სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზეა (0/138) აშენებული. საქმეში სამი ნოტარიუსი ფიგურირებს, ერთის ოფისი ბუკიას ბაღის სიახლოვეს გამსახურდიას (დღევანდელი პეკინი) გამზირის დასაწყისში მდებარეობს. მოქმედი წესით ყველაფერი ამ ნოტარიუსს უნდა გაეფორმებინა, მაგრამ მასთან მხოლოდ ნაწილია გაფორმებული, მეორე საბუთი კოსტავას ქ. №67-ში გაფორმდა, ყველაზე მთავარი დოკუმენტი კი დიდუბეში ნოტარიუს ეკატერინე ჩაჩანიძესთანაა გაფორმებული, რაც ასევე დიდ ეჭვს ბადებს.

ვერ წარმოიდგენთ რამხელა ძალისხმევა დამჭირდა ყველა ეს საბუთი რომ მომეპოვებინა, ორი თვის წინანდელ ამბავს გიყვებით. იუსტიციის სახლში საჯარო რეესტრის თანამშრომლები ხან იმას იმიზებდნენ არ გვაქვსო, ხან გამზადებული არ არისო. ბოლოს დავემუქრე, ამ დოკუმენტაციას მაინც ამოვიღებ, მაგრამ ეს რომელიმეს სამსახურის ფასად დაგიჯდებათ-თქო, მერე კეთილი ინებეს, თუმცა 20 წუთი მაინც მალოდინეს და როგორც იქნა გადმომცეს. ვფიქრობ, იუსტიციის სამინისტროში კვლავაც მრავლად არიან ზურაბ ადეიშვილის კუდები. ამ სახლთან დაკავშირებული უკანონობა რომ დაეფარათ, ყველაფერი აურიეს, სახლი იმ მისამართზე დაარეგისტრირეს, რომელიც არ არსებობს. საქალაქო სამსახურებმა გასცეს ნებართვა, რომ ჭაობში აშენებულ პატარა სახლზე, რომელიც უკვე ინგრეოდა, სამი სართული დაეშენებინათ. ფაქტობრივად ახალი სასახლე აშენდა, რომელიც როგორ მიიღეს ექსპლუატაციაში, კიდევ საკითხავია, უპრობლემოდ დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში და ახლა რაში აწყობდათ თავიანთი ნაკეთები უკანონობის გამომზეურება.

ეს მიტაცება-გაყალბება ხომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაიწყეს და 2004 წელს, სააკაშვილის ინაუგურაციის შემდეგ, როცა ნაციონალები ოფიციალურად მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, კუბლაშვილები უფრო შორს წავიდნენ. მათ ამ სახლის წინ არსებული ღობე აიღეს და ბუკიას ბაღი მთლიანად მიიერთეს. ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ, ეს ბაღი ჩვენი ეზო იქნებაო. მიხეილ ბუკიას რომ არ ევაჟკაცა, რომელიც, როგორც გითხარით, საპატრიარქომ ამ ბაღის მომვლელ აგრონომად დანიშნა, ასეც მოხდებოდა. სხვათა შორის, გასული წლის პირველ ოქტომბრამდე კუბლაშვილებს ამის პრეტენზია ჰქონდათ და იმედოვნებდნენ, რომ ბუკიას ბაღს საკუთრებაში მიიღებდნენ. ასე რომ, საკუთარ უმწიკვლოებაზე საუბარს თავი დაანებოს კოტე კუბლაშვილმა.



**აი, ასე გამოიყურება დღეს ბუკიას ბაღი**

მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, აუცილებლად შევიტან საჩივარს კუბლაშვილების წინააღმდეგ. იგივეს გააკეთებენ ლეილა ბუკიას ახლობლებიც, მათ შორის ჯონი ბუკია, რომელსაც ოფიციალურად აქვს ნაყიდი და ფული გადახდილი, იმ მიწის ფართობში, რომელზეც კუბლაშვილების სასახლე დგას. თავის დროზე ამ ადამიანმაც ბევრი იდავა, მაგრამ კუბლაშვილებს როგორ მოერეოდა".

ყველა ამ უკანონობაზე, რის შესახებაც ჩვენმა რესპონდენტმა ისაუბრა. დოკუმენტური მასალა „საერთო გაზეთს" ხელთ აქვს.ვ თუ საგამოძიებო ორგანოები ამ თემით დაინტერესდებიან, მიხეილ ბაბუნაშვილი მათაც მიაწვდის. ჩვენ არავის ფუნქციაში ვიჭრებით და არც ვინმეს უდანაშაულობის პრეზუმფციას ვარღვევთ, მაგრამ ფაქტია, საბუთების გაყალბების და თაღლითობის სუნი უდის ამ ყველაფერს ეს ქმედებები კი სისხლის სამართლებრივი კუთხით, დასჯადია. სააკაშვილის ჯიბის პოლიცია – პროკურატურას და სასამართლოს ბევრად უფრო მსუბუქი დანაშაულისთვის საციხედ გაუმეტებია უამრავი ადამიანი. სასჯელის შეკრებითობის პრინციპის დანერგვაც სხვა ნაციონალებთან ერთად კოტე კუბლაშვილის სინდისზეცაა.

ახალ ხელისუფლებას ნაციონალები ხშირად უკიჟინებენ, რომ ისინი თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით აკავებენ ყოფილ ჩინოსნებს. ვფიქრობთ, ჩვენი წინამდებარე წერილში მოხსენიებული რბილად რომ ვთქვათ, დარღვევები, ნამდვილად არ არის უსახური და თითიდან გამოწოვილი. კაცს, რომელსაც ქვეყნის პირველ მსაჯულობაზე აქვს პრეტენზია და აცხადებს, რომ მას საიმპიჩმენტო არაფერი ჩაუდენია, ეტყობა თავისი წარსული დაავიწყდა. დაავიწყდა როგორ გახდა შევარდნაძისდროინდელი ყველაზე ღარიბი ჩინოვნიკი, უმდიდრესი ადამიანი, რომლის ქონებაც მარტო „ბუკიას ბაღში" უკანონოდ მიტაცებულ მიწაზე აშენებული უზარმაზარი ქონებით არ შემოიფარგლება.

რატომ არიდებს მუდმივად თავს კოტე კუბლაშვილი თავის ქონების წარმომავლობაზე საუბარს? ვინ დაიჯერებს, რომ მის ვანიდან ჩამოსულ ცოლისდა, რომელიც მანამდე არავითარ ქონებას არ ფლობდა, უცებ გაუჩნდა იმხელა ფული რომ 4-სართულიანი სასახლე აიშენა.

იქნებ ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურები მაია მესხის „ქონების" წარმომავლობითაც დაინტერესებულიყვნენ, აღარაფერს ვამბობთ თავად კოტე კუბლაშვილზე, რომელიც ამ სასახლის გარდა სხვა სოლიდურ ქონებასაც ფლობს, დაინტერესებულიყვნენ ძმებ კუბლაშვილების ხე-ტყის ბიზნესითაც. მათ კუთვნილ საწარმოს ტყიბულის რაიონში წაბლის ხე აღარ დაუტოვებია. გამოხშირვისა და სანიტარული ჭრის მომიზეზებით, ასწლოვანი წაბლის ხეები პირწმინდად გაჩეხესო ამბობენ.

ხომ არ დადგა დრო, სამართალმა პური ჭამოს და კუბლაშვილის და მისი ჯალაბობის საეჭვო საქმიანობა ობიექტურად იქნეს შესწავლილი.

**მანანა სუხიშვილი**

599 51 28 24

## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

„საერთო გაზეთის" წინა ნომერში (№5,26.02.2012) სკანდალური წერილი გამოქვეყნდა – „საქართველოს ელჩი არაბულ ქვეყნებში ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე თბილისში ისლამისტი ექსტრემისტების გამომგზავრებას ხელმძღვაელობდა?"

წერილში გამოყენებულია მასალები ამერიკელი ანალიტიკოსის ჯეიმს ჯატრასის წიგნიდან „ჯიჰადი ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში", სადაც ნათქვამია, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჯიჰადის ექსტრემისტთა საქართველოში ჩაფრენას საქართველოს ელჩი ეკატერინე მიქაძე ხელმძღვანელობდა.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ არაბულ ქვეყნებში „ნაციონალთა" დიდძალ ქონებას და ფინანსებს ქალბატონი მიქაძე პატრონობს და კურირებს.

საყურადღებოა ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილს არაბულ ქვეყნებში ბოლო ვიზიტის დროს ქალბატონი ელჩი ახლდა თან.

ახლახან გავრცელებული ინფორმაციებით, 19 აპრილს დაგეგმილი მიტინგის დაფინანსებას „ნაციონალები" არაბული ქვეყნებიდან შემოზიდული ფულით აპირებენ.

ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება შსს ყურადღებით გაეცნოს „საერთო გაზეთში" გამოქვეყნებულ ამ წერილს, სადაც ბევრი საგულისხმო დეტალი იკვეთება არაბულ ქვეყნებში „ნაცმოძრაობის" საეჭვო საქმიანობის შესახებ.

**„საერთო გაზეთი",**

05.03.2013

**ლინკოლ მიტჩელი:** არავინ იცის, რა ხდება სააკაშვილის თავში, მაგრამ მთავრობის დათხოვნა იქნება ხაზის გადასმა იმ წარმატებებზე, რაც იქნა მიღწეული ოქტომბერში, ეს დიდ პრობლემებს და დესტაბილიზაციას



მოიტანს. სააკაშვილს შეუძლია თქვას, რომ არადემოკრატიულად იქცეოდნენ და ა.შ. ასე, რომ სრულიად შესაძლებელია, მან ეს ჩაიდინოს, თუმცა ეს ძალიან ცუდი იქნება მისთვისაც და საქართველოსთვისაც.

კონსტიტუციაში ცვლილება ყოველთვის რაღაც გამოწვევებთან არის დაკავშირებული, მაგრამ გასარკვევია სააკაშვილის პოზიციაც, მან უნდა გამოაცხადოს, რომ არ აპირებს მთავრობის დათხოვნას. პრემიერ მინისტრის მცდელობა არის გამართლებული, მან ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

მჯერა, ახალი მთავრობა შეასრულებს თავის დანაპირებს. ბევრი ნაბიჯი გადაიდგა უკვე. დემოკრატიულ პირობებში ხალხმა მეტი უნდა მოითხოვოს თავისი მთავრობისაგან.

რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ვერ ვიტყვი, რომ ჩართულნი არიან საბოტაჟში, მაგრამ დესტრუქციული მოქმედებები იკვეთება. იკლებს მათი პოლიტიკური რელევანტობა, ისინი ყოველ კვირა კარგავენ მომხრეებს პარლამენტში. ისინი ცდილობენ, უფრო საზღვარგარეთ მოახდინონ ახალი მთავრობის სახელის შერყევა, რაც ძალიან ცუდია. ვერ ვიტყვი, რომ ნაციონალური მოძრაობა დემოკრატიული ძალა, თუმცა ამ პოლიტიკის წესებით თამაშობენ. ამჟამად ისინი ვერც ერთ როლს - ვერც პოზიტიურს და ვერც ნეგატიურს ვერ ასრულებენ, მათი პოლიტიკური გეგმაა თავის გადარჩენა. ისინი დასავლეთში იმიტომ ტეხენ ხმაურს, რომ არ სურთ დასავლეთმა დაინახოს მათი დანაშაული. ნაციონალურ მოძრაობას რამდენიმე თვის წინათ ჰქონდა მხარდაჭერა, სახელი, წარმატება, რაც ხალხისთვის უნდა მოეხმარებინა, მაგრამ დღეს მათ ეს ყველაფერი დაკარგეს, ამიტომ ცდილობენ რებრენდირებას, რათა დაიბრუნონ ძველი პოზიცია, თუმცა ხელმძღვანელობა დისკრედიტირებული ჰყავს.

არ იქნება ცუდი, თუ კოალიცია „ქართული ოცნება" დაიშლება რამდენიმე პარტიად, მათ ექნებათ გარკვეული საერთო ხედვა, მაგრამ იქნება განსხვავებული აზრიც არსებით საკითხებზე, რაც ქვეყანას წაადგება, რადგან დემოკრატია არის პლურალიზმი და არა მთავრობა და ოპოზიცია ერთმანეთის წინააღმდეგ.

საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს სამართლიანად. კარგი იქნება თუ ერთზე მეტი კანდიდატი იქნება „ქართული ოცნების" ბლოკიდან, ეს მისცემს ხალხს არჩევანის საშუალებას.

**ირაკლი ლომოური:** მე თუ მკითხავთ, ეს ყველაფერი ბლეფია, რადგან ყოველგვარი თანაცხოვრება „ნაციონალურ მოძრაობასთან" შეუძლებელია. როგორაა შესაძლებელი საქმიანი ურთიერთობა პრეზიდენტთან, რომელიც ვადაგასული და უკანონოა და საერთოდ, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ირჯება მაოხრებელი გზირივით. პოლიტიკურად ის უკვე მკვდარია, მაგრამ ჯერ კიდევ ბოგინობს და თავის ქვეყანას ემტერება, რაღაც პროვოკაციებს უწყობს. ჯერ მარტო რა ილაპარაკა ბაქოდან დაბრუნების შემდეგ?!

მოკლედ, საზოგადოების მოლოდინი იყო, რომ გამარჯვების შემდეგ დაიწყებოდა იმპიჩმენტის პროცესი. მესმის, რომ ეს ხანგრძლივი პროცედურაა, საჭიროა, ანგარიში გავუწიოთ დასავლეთს და ა.შ ამიტომაც ეს მოთხოვნა ვერ განხორციელდა. თუმცა, რეალურად, მგონი, საჭიროა ამ კაცის დროზე გაშვება. ჩვენი სირცხვილია, რომ იგი 9 წელი იყო პრეზიდენტი.




თუ არსებობს კონსტიტუციური უმრავლესობა და შესაძლებელია შესწორებების მიღება კონსტიტუციაში, ეს რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს. მე ვერ ვერკვევი კანონის ნიუანსებში, მაგრამ, ალბათ, არის სამართლებრივი გზები, რომ ეს კაცი, რომელიც სინამდვილეში უნდა გასამართლდეს და ცოტა უფრო ადეკვატური რომ იყოს, თავისით მიდიოდეს, სახლში გავუშვათ, რადგან მან ბევრი თუ „გაახურა", ან ისე დაამთავრებს, როგორც ჩაუშესკუ ან ციხეში მოხვდება. მას აწყობს დაძაბულობა და შეხლა-შემოხლა, ამიტომაც იქცევა გამომწვევად, აკეთებს განცხადებებს. მას სჭირდება სამოქალაქო



დაპირისპირება. სინამდვილეში, ხალხი მას მხარს არ უჭერს, პირიქით, ისე გაამწარეს ხალხი, რომ დანახვა აღარ უნდა მაგათი.

ეს კონკრეტული გუნდი არის დამნაშავეების და კრიმინალების გუნდი და არა პოლიტიკური ძალა, რომელსაც აერთიანებს რაღაც იდეალები და ფასეულობები; მაგათ ძალაუფლების მეტი ხომ არაფერი უნდათ?! დანარჩენი ყველაფერი არის დემაგოგია და ტყუილი. ეგენი უნდა გასამართლდნენ და გასამართლდნენ კონკრეტულ დანაშაულებებზე. სულ ველოდები, რომ ჟვანიას მკვლელობა გაიხსნება, ალბათ, ყველა სამხილს ვერ მოსპობდნენ. ეს იქნება ბოლო ლურსმანი მაგათ სასახლეში, რაც მათ პოლიტიკურ სიკვდილს გააფორმებს. ისინი უნდა გასამართლდნენ მორალურად და კანონის შესაბამისად.

**მერაბ ტურავა:** საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლში მოცემულია ორი საკითხი, რის გამოც შეიძლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს, ერთი: ეს არის კონსტიტუციის დარღვევა; მეორე: დანაშაულის ჩადენა. არ ვიცი, კუბლაშვილს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა უნდა თუ რა, მაგრამ დღეს ჩვენ მოვისმინეთ მისი კომენტარი, რომ თურმე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტი მხოლოდ მაშინ შეძლება, როდესაც მას შემთხვევის ადგილზე წაასწრებენ. ეს არაა სწორი. 46-ე მუხლში ასეთი რამ არ წერია. მოდით, გვერდზე გადავდოთ დანაშაულის ჩადენა და ვისაუბროთ დაარღვია თუ



არა კონსტიტუცია. იმპიჩმენტის პროცედურა ეს არ არის წმინდა სამართლებრივი ინსტრუმენტი. დემოკრატიულ სახელმწიფოში ის გამოიყენება, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა, კუბლაშვილს სხვა არავითარი დანაშაული რომ არ დაუმტკიცდეს პროკურატურისა და სასამართლოს მიერ, საკმარისი საფუძველია იმპიჩმენტისათვის. კერძოდ, ბატონმა კუბლაშვილმა დაარღვია კონსტიტუციის 86-ე მუხლი, სადაც ცალსახად წერია, რომ მოსამართლე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. კონსტატინე კუბლაშვილი იყო 2009 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, როდესაც ბ-ნი ალავიძე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ იქნა გამწესებული. 2010 წელს ასევ ის იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, როდესაც ქ-ნი გიგაური გამწესებული იქნა ქ.რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. გადაწყვეტილებაზე ხელი მოწერილი აქვს კუბლაშვილს. კუბლაშვილი, ამ შემთხვევაში, არის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირი სასამართლო ხელისუფლებაში. როცა შენ სახელმწიფო გიცხადებს ასეთ ნდობას, შენ ხარ პასუხისმგებელი იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც იუსტიციის საბჭო იღებს და შენ ხელს აწერ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვერ იტყვის, რომ არ იცის, რა გადაწყვეტილებას მოაწერა ხელი და აკმაყოფილებდა თუ არა პირობებს მოსამართლე. ამის თქმის სამართლებრივი საფუძველი არც ერთ თანამდებობის პირს არა აქვს. ცალსახაა, რომ კონსტიტუციის 86-ე მუხლი დაარღვია იმ თანამდებობის პირმა და იმ ორგანომ, რომელმაც მოახდინა პირის გამწესება თანამდებობაზე, და შესაბამისად, უნდა დადგეს პილიტიკურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი კონსტიტუციის დარღვევისათვის...

**გია ჟორჟოლიანი:** ერთპიროვნული უფლება ჰქონდეს პრეზიდენტს, დაშალოს პარლამენტი და დანიშნოს მთავრობა - ეს არის წარმო-



უდგენელი დიქტატორული უფლებამოსილებანი. ამას დებატები არ სჭირდება, ამას სჭირდება კენჭისყრა, დავინახოთ, ვინ უჭერს მხარს ელემენტარულ დემოკრატიას. ანუ პირდაპირ გამოჩნდებოდა — ვის უნდა დიქტატურა და ვის არა. ასე რომ, ეს კენჭისყრა უნდა შემდგარიყო, ეს იქნებოდა აბსოლუტური დასამარება არა მარტო სააკაშვილის პოლიტიკური ფიგურისა, არამედ ყველა იმ ადამიანისა, რომელიც მეტნაკლებად დაკავშირებული არის დღეს ნაციონალურ მოძრაობასთან.

დღეს სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგები ხელს უშლიან ქვეყანაში პოლიტიკური პლურალიზმის ჩამოყალიბებას. მინდა ვთქვა პირდაპირ, ნაციონალური მოძრაობის ამ ფორმით არსებობა, ასეთ პოლიტიკური დისკურსების არსებობა, ასეთი მედიის არსებობა, ასეთი დებატების არსებობა ხელის შემშლელია რეალური დემოკრატიის დამკვიდრებისათვის. დღეს წარმართულ რეფორმებს და პოლიტიკას სჭირდება სერიოზული ოპონირება. ამ ოპონირების საშუალებას არ იძლევა ნაციონალური მოძრაობა და სამწუხაროდ, ის მედია, რომელიც იმ დღის წესრიგს მიჰყვება, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა გვთავაზობს. ეს არის წარსულსა და მომავალს შორის ბრძოლაზე ორიენტირებული დღის წესრიგი. ჩვენ გვინდა მომავალი, რომელიც შეიქმნება რეალური პლურალიზმის პირობებში. მე მივესალმები, თუ ნაციონალური მოძრაობა ჩამოაყალიბებს თავის პოლიტიკურ პოზიციას და ეს პოზიცია არ იქნება დაცვა ამ დიქტატორული ჩანაწერისა კონსტიტუციაში.

**ნონა გაფრინდაშვილი:** ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ 9 აპრილს, 7 ნოემბერს, მაგრამ ის, რაც ხდებოდა 26 მაისს, გაცილებით მეტი იყო თავისი ძალადობით. იქ სასაკლაო იყო მოწყობილი. ხელისუფლებას რომ სდომოდა უბრალოდ ადგილის გათავისუფლება, გასასვლელ ადგილს დატოვებდა. ხოლო, რასაც ჩადიოდნენ



იქ მობილიზებული ზონდერები, ამის უბრალო ენით აღწერა შეუძლებელია. ჩვენ შეიძლება, ციხეში არ მოვხვდით, მაგრამ ყველა იქ მყოფმა შევხედეთ სიკვდილს თვალებში. გამოძიების სრულყოფისათვისაა აუცილებელი დაკითხვა, თორემ აბსოლუტურად მზადაა ყველაფერი, პასუხი აგონ იმ ადამაინებმა, რომელთაც ძალადობა ჩაიდინეს.

ჩვენ თუ სამართლიანობის აღდგენა გვინდა, დასასჯელი უნდა დაისაჯოს. ვინც მკვლელობებში, წამებაში მონაწილეობდა, ადამიანების გაუბედურებაში მონაწილეობდა, დღეს პარლამენტში სხედან და იქიდან საბოტაჟს უწყობენ ახალ ხელისუფლებას. მე, საერთოდ, პირველად მესმის პრეზიდენტი ოპოზიციაში იყოს თავისი ქვეყნის, მან, ფაქტიურად, თავის თავს თვითონ მიუჩინა ადგილი.

აუცილებლად უნდა დადგეს პრეზიდენტის, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელი პირების, თავად შემსრულებლების და მოსამართლეების პასუხისგების საკითხი. მოსამართლეებს 4-წლიანი განაჩენი გამოჰქონდათ ცრუ მოწმეების და ცრუ ჩვენებების საფუძველზე. ეს მოსამართლეები აუცილებლად უნდა დაისაჯონ და გათავისუფლდეს სასამართლო მათგან.

საერთოდ, უნდა აიკრძალოს ნაციონალური მოძრაობა, რადგან, რაც მათ გააკეთეს ამ წლების განმავლობაში, ამას გამართლება არა აქვს. და ეს რაც უფრო სწრაფად მოხდება, საბოტაჟი ასცილდება ქვეყანას და დაიწყებს განვითარებას.

**ანზორ ბიწაძე:** მინდა მადლობა გადავუხადო საზოგადოებას, რადგან 26 მაისის მოვლენების ადეკვატურად შეფასება და გადაფასება ხდება. პროკურატურაში ვაპირებ ვისაუბრო იმ ფაქტებზე, რაც მე ჩემი თვალით მაქვს ნანახი 21 მაისიდან, როცა სახალხო კრებამ დაიწყო აქტიური ქმედებები. აუცილებლად ვისაუბრებ დეტალებზე, რაც ახლდა ჩემს და ჩემი მეგობრების დაკავებას, ადამიანების ცემას და ზეწოლას, რათა მიეცათ სასურველი ჩვენებები. აქვე მინდა ხაზი გავუსვა ერთ დეტალს, როდესაც ჩვენ აბსოლუტურად მოცილებული ვიყავით იმ ადგილს, სადაც მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია, ჩვენს მანქანას, სადაც მე ვიჯექი 5 ადამიანთან ერთად, დაახლოებით, 10-15 მეტრის მანძილზე ამოუდგა საპატრულო პოლციის მანქანა და საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა პირდაპირი დამიზნებით გახსნა ცეცხლი ჩვენი მანქანის მიმართულებით. ასე რომ მსხვერპლი შეიძლება მეტი ყოფილიყო. ეს პირველად ვთქვი დარბევიდან 2 საათის შემდეგ მაესტროს ეთერით, მაგრამ მაშინ ამას გამოხმაურება არ მოჰყოლია. სხვა ტელეარხები პირიქით, ჩვენ გვაცხადებდნენ კაციჭამიებად და მკვლელებად.

ჩემი პირველი თხოვნა პროკურატურისადმი იქნება იმ გავრცელებული ჩანაწერის გამოძიება, რომელზეც ჩემი და ნინო ბურჯანაძის საუბარი ისმის. რადგან ეს იყო გაყალბებული ჩანაწერი, იმ რეჟიმის ბინძური შურისძიება ჩვენი პოზიციის გამო. ეს იყო მოდელირებული ქრონიკის ლოგიკური გაგრძელება. გამიზნული იყო მასზე, რომ, როცა გამოქვეყნდებოდა, პირველი შოკური ეფექტი მოეხდინა მოსახლეობაზე.

იცით, რითაა განსხვავებული 26 მაისი, ეს იყო ერთ-ერთი გამორჩეული თარიღი საქართველოს უახლოეს ისტორიაში, როცა მოხდა ვაჟკაცობის, საკუთარი იდეის და გამბედაობის დემონსტრირება. ამის არდანახვა შეუძლებელია.

რაც შეეხება დაშლას, ყველამ იცოდა, რომ იქედან მოდიოდა აღმატებული ძალა. დარჩენის გადაწყვეტილება ლიდერებს არ მუღიათ იქ მყოფთა გარეშე. მათ ყველა მხარდამჭერს დაუსვეს კითხვა, რას აპირებდნენ, დაშლილიყვნენ თუ გაეგრძელებინათ კანონიერი, კონსტიტუციური უფლების გამოყენება - სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა. პასუხი იყო აბსოლუტურად ადეკვატური. და ნუ მივაყენებთ ამ მამაც ადამიანებს შეურაცხ-



ყოფას, რომ თითქოს მათ თავს მოახვია ვინმემ თავისი გადაწყვეტილება.

რაც შეხება დარჩენის საკითხს, გასაგებია, რომ იქ მოდიოდა აღმეტებული ძალა, გასაგებია, რომ მოგვერევიან, მაგრამ, მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ჩვენი წინაპრები, რომელთაც აქამდე სისხლით მოგვიტანეს ეს ქვეყანა, რამდენი აღმატებული მტერი წამოვიდოდა საქართველოს წინააღმდეგ, იმდენი, რომ ისინი დაშლილიყვნენ, დღეს ჩვენ საერთოდ ვიქნებოდით მსოფლიო რუკაზე, ვიარსებებდით ქართველები?!

2011 წლის მაისისათვის პოლიტიკური პროცესი იყო მკვდარი, ქვეყანაში იყო რეჟიმი, რომელსაც ტოტალიტარიზმის ნიშნები ჰქონდა. ჩვენი აქცია იყო პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი ხერხი სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. ქვეყნის 80 პროცენტი ოკუპირებული ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას", 20 პროცენტი კი რუსებს, რომელიც თავად ჩააბარეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორია. და გარდა თავისი მხრდამჭერებისა, ხალხს ისევე ექცეოდნენ, როგორც ოკუპანტები.

## უცხოური პრესის მიხედვით

# ნერვების ომი საქართველოში

ეს ბრძოლა ისეთი თავდავიწყებით მიმდინარეობს, რომ ვიღაცას შესაძლოა, კომიკურადაც მოეჩვენოს. სააკაშვილის შეურაცხყოფილი გუნდი სპეციალური დაცვის სამსახურის უფროსად ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის სამსახურის უფროსის დანიშვნას ისე წარმოადგენს, თითქოს პრეზიდენტი საერთოდ დაცვის გარეშე დატოვეს. სააკაშვილიც, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია განმარტავს, პრემიერის იაფფასიანი მანიპულაციების გამო უარს ამბობს დაჯავშნილ მანქანებზე. ბოლო პერიოდში, სააკაშვილი ქალაქში ელექტრომობილით დადის და ჟურნალისტებს, რომლებსაც თითქოს ვერაფრით აკვირვებს, თავის ერთადერთ მცველად მეუღლე სანდრას წარუდგენს.



სააკაშვილის ასეთი საქციელი საბოტაჟად და პროვოკაციად ფასდება. ამის ფონზე ხელისუფლება არ აპირებს, პრეზიდენტი დაცვის გარეშე დატოვოს, სურს თუ არა ეს მას.

მართალია, ეს ყველაფერი ერთი შეხედვით ღიმილისმომგვრელია, მაგრამ არ არის გამორიცხული, ცუდად დასრულდეს — სააკაშვილმა რომ მოინდომოს, სამთავრობო კრიზისს გამოიწვევს. დაპირისპირებული მხარეებიდან არავის სურს, ვითარება იარაღის ჟღარუნმა დაძაბოს, ამიტომაც ორივე მხარე ერთმანეთს სიტყვიერად ემუქრება და შესაბამისად, ნერვების ომი გახურებულია.

სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, რაოდენ სარისკოა მისი თამაში მთავრობის შესაძლო დათხოვნის შესახებ. ივანიშვილმა შესანიშნავად იცის, თუ როგორი ექსპანსიურია სააკაშვილი. სააკაშვილმა იცის, რომ ივანიშვილმა ეს იცის და ბლეფი ვირაჟის ზენიტს აღწევს.

მოლაპარაკებების მცდელობა, ჯერჯერობით, უშედეგოა. თუ გავითვალისწინებთ იმას, მოპაექრეები საკონსულტაციო შეხვედრების შემდეგ თუ რა სიმსუბუქით დაუბრუნდნენ პროპაგანდისტულ კანონადას, აშკარაა: მშვიდობის არავის სჯერა. არადა, როგორმე უნდა აარიდონ თავი ნამდვილ ომს.

# სააკაშვილის არჩევანი

**საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობა არ ცხრება. სააკაშვილმა თითქოს ყველაფერი წააგო, მაგრამ მოიგო კი ყველაფერი ბიძინა ივანიშვილმა?**

ბოლო პერიოდში აქტიურად განიხილება კონსტიტუციაში შესატანი ცვლილება, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა, ახალი ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი კატეგორიულად მოითხოვენ.

შესაცვლელია მუხლი, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტს შეუძლია ერთდროულად დაითხოვოს მთავრობა და პარლამენტი და დანიშნოს ახალი არჩევნები.

სააკაშვილს ამ მუხლის გამოყენება არჩევნებიდან ექვს თვეში და არჩევნების დანიშვნამდე ექვს თვეში შეუძლია. საპრეზიდენტო არჩევნების ვადად დათქმულია ოქტომბერი, ოღონდ ზუსტი თარიღი არსად არ არის მითითებული. თუ 30 ოქტომბერს შეარჩევენ, სააკაშვილს პარლამენტის დასათხოვად მთლიანად აპრილის თვე აქვს.

მას ნამდვილად ხელს არ უნდა აძლევდეს პარლამენტის დათხოვნა. სოციოლოგების მოსაზრებით, ნებისმიერ არჩევნებს, რომელიც თუნდაც ისეთი სიზუსტით ჩატარდება, როგორითაც ოქტომბრისა გაიმართა, სააკაშვილი წააგებს.

სამაგიეროდ, სააკაშვილს შეუძლია დაითხოვოს მთავრობა. თუ პარლამენტი მხარს არ დაუჭერს შეთავაზებულ ახალ კაბინეტს, იგი მაინც იფუნქციონირებს. საპარლამენტო უმრავლესობა კი ვერაფერს გააწყობს — საპრეზიდენტო არჩევნები ხომ ოქტომბერშია დანიშნული. ამ არჩევნების მომზადებაში ახალი მთავრობა და ხელისუფლების მთელი ვერტიკალი ჩაერთვებიან.

ივანიშვილის ულტიმატუმი ასეთია: პრეზიდენტი ან უარს აცხადებს მომავალი პრემიერის ფატალურ უფლებებზე, ან პრემიერი ცვლის კონსტიტუციას თვითონ, პარლამენტში; ასეთ შემთხვევაში კი პრეზიდენტის გუნდს არავითარი დანდობის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს.

ქართველ ექსპერტთა შეფასებით, სააკაშვილის გუნდის წევრები თითქოს შეეჩვივნენ აზრს, რომ ციხეს ვერ ასცდებიან და ამიტომაც კომპრომისებისა არ სჯერათ.

ამ აბურდულ ვითარებაში გორდიას კვანძს პარლამენტში კენჭისყრა თუ უშველის. თუმცა მმართველი კოალიცია არ ჩქარობს.

ამასთან, გასათვალისწინებელია დასავლეთის პოზიციაც — ვითარების შესაძლო გამწვავება მათთვის მიუღებელია. მომავალი საკონსტიტუციო ცვლილებების ბენეფიციარი ივანიშვილია და ამიტომაც მოვლენების შესაძლო განვითარებაზე პასუხისმგებლობაც მას დაეკისრება.




ივანიშვილისთვის დასავლეთის ელჩების გზავნილი ასეთია: თუ შეძლებს და საკონსტიტუციო ცვლილებებს განსაკუთრებული გამწვავების გარეშე მიაღწევს, ისინი ამას არ შეეწინააღმდეგებიან; თუ მოვლენების ასეთი განვითარების გარანტია არ არსებობს, მაშინ მოვლენები სჯობს, ოქტომბრამდე თავის კალაპოტში ბუნებრივად წარიმართოს.

ძნელია, ელოდო ოქტომბერს და დამოკლეს მახვილის საშიშროება არსებობდეს. არ არის გამორიცხული, ვითარება განმუხტოს რეფერენდუმმა, რომლის შედეგებითაც პრეზიდენტს არა საყოველთაოდ, ხალხი, არამედ პარლამენტი აირჩევს.

**ria.ru**

# აუცილებელია რუსეთთან პირისპირ მოლაპარაკებებიც და ჟენევის შეხვედრების ფორმატიც

**1-ლ მარტს, პრაღაში, რუსეთისა და საქართველოს დიპლომატების შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა, საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში შესვლა გამარტივდეს. ურთიერთობის გაუმჯობესება სავსებით რეალურია — ყველგან ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში ქართული ღვინო და მინერალური წყალი დაუბრუნდება რუსულ ბაზარს. პოლიტოლოგთა ვარაუდით, რუსეთის ხელისუფლება მზად არის, მაქსიმალურად ოპერატიულად იმოქმედოს საქართველოსთან დასაახლოებლად. რუსეთს, სოჭის ოლიმპიადის მოლოდინში, სჭირდება მეგობრულად განწყობილი მეზობელი სამხრეთში.**

საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების სრულად გაუქმებაზე ლაპარაკი ნაადრევია — ასეთია რუსეთის საგარეო მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის კომენტარი ზურაბ აბაშიძესთან (საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში) შეხვედრის შემდეგ. მისივე თქმით, რუსეთში ჩამოსვლა, მაგალითად, დიპლომატებს, უკვე შეუძლიათ და სავიზო რეჟიმიც ნელ-ნელა და თანდათან შესუსტდება.

2008 წელს, რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყდა. 2012 წლის თებერვალში სააკაშვილმა საქართველოში 90 დღით შესული რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზა ცალმხრივად გააუქმა, რასაც საპასუხო ნაბიჯი არ მოჰყოლია.

ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ, ქართული ღვინისა და მინერალური წყლის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმი — გენადი ონიშჩენკოც კი მოლბა. პროცესმა ისეთი ტემპი შეიძინა, რომ შესაძლოა, უახლოეს მომავალში ქართული პროდუქცია რუსეთის დახლებზე გაჩნდეს.



პოლიტოლოგების აზრით, რუსეთსაც და საქართველოსაც ურთიერთინტერესები გააჩნია, ამიტომაც შესაძლოა, ურთიერთობა ძალზედ სწრაფად დალაგდეს. საქართველოში სამუშაო ადგილების ნაკლებობაა. სავიზო რეჟიმის ამოქმედებამდე, რუსეთში 200-300 ათასი ქართველი იმყოფებოდა, რომლებიც გამომუშავებულ ფულს საქართველოში გზავნიდნენ. ამიტომაც, თბილისისთვის ეს საკითხი ღვინოსა და მინერალურ წყალზე მნიშვნელოვანია.

მოსკოვი დაინტერესებულია თბილისთან ურთიერთობის აღდგენით, რადგან ახლა სამხრეთ კავკასიისთვის ბრძოლის კიდევ ერთი ეტაპი დადგა. სირთულეებია სომხეთთან და აზერბაიჯანთანაც. მართალია, არსებობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობის რაც შეიძლება სწრაფად დალაგებას ესწრაფვის.

რუსეთის უმთავრესი მიზანია, შემცირდეს დაძაბულობა სამხრეთ საზღვრებზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა რუსეთი სოჭის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ემზადება. თუ ხელისუფლებას დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და სავიზო რეჟიმის გაუქმება მოუნდებათ, ტექნიკურად ეს 2-3 თვეში მოხერხდება.

აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ერთ-ერთი პოზიტიური შედეგი იქნება, თუკი რუსეთი სავიზო რეჟიმს შეარბილებს. ორი ქვეყნის ურთიერთობა ისეთ ჩიხში იყო მოქცეული, რომ ამ ვითარებას რამდენიმე შეხვედრა ვერ გამოასწორებს.

თბილისში ზოგიერთი ექსპერტი შიშობს, ვაითუ, კარასინ-აბაშიძის შეხვედრებმა შეასუსტოს ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი, სადაც დასავლეთი ნეიტრალური არბიტრის როლს ასრულებს. ამიტომაც აუცილებელია, შენარჩუნდეს ორივე: რუსეთთან პირისპირ მოლაპარაკებებიც და ჟენევის ფორმატიც.

**ni.ru**

# სტალინი ცოცხალია!

თანამედროვე საქართველოში იოსებ სტალინის მიმართ დამოკიდებულებას ორი ფაქტორი განაპირობებს. ერთი მხრივ, სტალინის გარდაცვალებიდან 60 წლის შემდეგაც, ადგილობრივი მოსახლეობა პატივს მიაგებს მას. მაგალითად, ქალაქ გორის მცხოვრებლები უკიდურესად იყვნენ აღშფოთებული, როცა წინა ხელისუფლებამ სტალინის ძეგლი ღამით მალულად აიღო.



მეორე მხრივ კი — ოფიციალური ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს სახელმწიფოს ისტორიიდან ამოშალოს საბჭოთა პერიოდი და ანადგურებენ იმ დროის შენობა-ნაგებობებს; თბილისში არსებობს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი მუდმივმოქმედი ექსპოზიციით; „კომუნისტური პროპაგანდის ტრადიციების შესაბამისად, ქართველებს წარმოაჩენენ დაჩაგრულებად, რომლებიც მჩაგვრელების წინააღმდეგ უკომპრომისოდ იბრძოდნენ".

მიმომხილველი სვამს კითხვას — რა გამოდის: სტალინს პატივს მიაგებენ და სძულთ „საბჭოთა ოკუპაცია"? ნუ დაგვავიწყდება, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველო ნამდვილი „საკურორტო სამოთხე" და „სამაგალითო საჩვენებელი რესპუბლიკა" იყო, ხოლო ქართველები, ამერიკელი პროზაიკოსის ჯონ სტეინბეკის მოგონებების მიხედვით, ყველაზე უკეთ გამოიყურებოდნენ და მთელს საბჭოეთში საუკეთესო განწყობა გააჩნდათ.

**Die Welt**

**მიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ**

# ახალი ხელისუფლება სადაზღვევო სისტემას აბსოლუტურად ცვლის და ახალ სტანდარტებს ამკვიდრებს



პრემიერმა 100-დღიანი მუშაობის შედეგების შეჯამებისას აღნიშნა, რომ გაუაზრებელი თანხების შემცირების ხარჯზე ჯანდაცვის ბიუჯეტი გაორმაგდა, რაც ნამდვილად მისასალმებელია. 1 მარტიდან ახალმა ხელისუფლებამ საყოველთაო დაზღვევა დაიწყო. ამ თემაზე იმთავითვე გაჩნდა კრიტიკული მოსაზრებები, ბევრი მიიჩნევს, რომ ეს კერძო სადაზღვევო სექტორს ჩაძირავს. რას მოგვიტანს საყოველთაო დაზღვევა, რით განსხვავდება იგი პრეზიდენტის 5 ლარიანი დაზღვევისგან, გაქრება თუ არა ბაზრიდან ჯანდაცვაზე ორიენტირებული კომპანიების ნაწილი, რა დადებითი და რა უარყოფითი მხარეები აქვს საყოველთაო დაზღვევას და რას უნდა ელოდეს დაზღვეული მოქალაქე, ამ თემაზე ექსპერტებს ვესაუბრეთ.

**ლევან კალანდაძე, სოციალურ საკითხთა და დაზღვევის ექსპერტი:** „ხელისუფლებამ 1 მარტიდან საყოველთაო დაზღვევა დაიწყო, სადაც 6-დან 60 წლამდე ასაკის 2 მილიონზე მეტი ადამიანი უნდა ჩაერთოს. ეს წონადი არგუმენტია, თუმცა მიდგომა ცოტა სხვანაირადაა ჩამოსაყალიბებელი. 1 ივლისამდე ეს პროგრამა მხოლოდ ექიმთან ვიზიტის დაფინანსებას ითვალისწინებს. ყველაზე პრობლემური, მოთხოვნადი ყოველთვის პირველადი ჯანდაცვა იყო, სახელმწიფო კი აქედან მხოლოდ ერთ კომპონენტს აფინანსებს. ამაზე, ალბათ ხელისუფლება მიპასუხებს, რომ სრულფასოვან დაზღვევას 1 ივლისიდან დაიწყებენ და დღეს არსებული 5-ლარიანი პაკეტი 15 ლარიანი გახდება. ესეც წონადი არგუმენტია, მაგრამ აქვე თავს იჩენს პრობლემა — რამდენად საკმარისი იქნება ის თანხები საყოველთაო დაზღვევის სრულფასოვნად განხორციელებისთვის და რამდენად ეფექტური იქნება თავად პროგრამა. ეფექტურობის კუთხით აღსანიშნავია, რომ ახალი ხელისუფლება ზოგადად სადაზღვევო სისტემას აბსოლუტურად ცვლის და ახალ სტანდარტებს ამკვიდრებს. წინა ხელისუფლების დროს შემდეგი მიდგომა იყო — სამედიცინო უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემა, რომელიც ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას და ჰოსპიტალური სექტორისა და პირველადი ჯანდაცვის მიზნობრივ დაფინანსებას



ითვალისწინებდა, ეს შეიცვალა და ამ ურთიერთობებში დაზღვევის კომპონენტი შემოვიდა, რაც სწორი გადაწყვეტილება იყო. ახალმა ხელისუფლებამ კი ეს ყველაფერი შეცვალა და თქვა — დაზღვევის კომპონენტი იმ ნაწილში, რაც დღეს მოქმედებს, რჩება, მაგრამ რეალურად საყოველთაო დაზღვევისთვის ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი იქმნება. სადაზღვევო კომპანიების ფუნქციას სწორედ ეს სახელმწიფო ფონდი შეასრულებს. ჩვენ ეს ფილმი რეალურად უკვე ნანახი გვაქვს. სახელმწიფოში ეს ფონდი ადრე არსებობდა, რაც ჩემი შეფასებით, არაეფექტური სისტემა იყო. ამას უკავშირდება ჯანდაცვის სფეროში ხარისხის დაწევის ფაქტები, ასევე სამედიცინო ურთიერთობებში კორუფციის ელემენტების შემოსვლა — სადაზღვევო ურთიერთობების გაძვირება და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის დონის მნიშვნელოვნად შემცირება. იმ პერიოდში ჰოსპიტალური სექტორი განვითარებაზე ორიენტირებული არ იყო. ეს რისკი დღესაც არსებობს იმიტომ, რომ ცოტა ხანში რეალურად, ამ სფეროდან სადაზღვევო კომპანიებს გამოვრიცხავთ და ივლისიდან მათ ფუნქციას სახელმწიფო ფონდი შეასრულებს. შესაბამისად, ეს რისკი ისევ აქტუალური ხდება. სახელმწიფომ შეიძლება ამ ფონდის სახით ჯანდაცვისთვის გამოყენებული თანხები კვლავ არამიზნობრივად განკარგოს მარტივი მიზეზის გამო — თვითონ ფონდი, ამ სისტემაში, მოგებაზე ორიენტირებული არ არის. ეს სახელმწიფო ფონდია და შესაბამისად, მოტივაცია იმისა, რომ ჯანდაცვის სფეროში ხარისხი გაიზარდოს და დანახარჯები შემცირდეს, ამ ფონდს არ აქვს, რაც სადაზღვევო კომპანიებს ჰქონდათ. ასევე, ფონდს არ აქვს მოტივაცია კონკურენტული გარემო შექმნას. სადაზღვევო კომპანიები ერთმანეთში კონკურირებდნენ და მოტივირებულნი იყვნენ მათ სისტემაში ჩართული სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის დონე მაღალი ყოფილიყო.

**— ანუ, ფონდს კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალზე მოთხოვნა აღარ ექნება?**

— რა თქმა უნდა, ეს მოტივაცია ამ ფონდს არ ექნება, რამაც შეიძლება გარკვეული რისკები წარმოშოს. ანუ ვიღებთ ისევ კონკურენციის არარსებობას — ფონდს არ აქვს მოტივაცია, რომ ჰოსპიტალური სექტორი განვითარდეს. დღემდე არსებულ სისტემაში სადაზღვევოები ჰოსპიტალურ სექტორზე იყვნენ მიბმულნი. შესაბამისად, სადაზღვეოებს ჰქონდათ მოტივაცია დაენერგათ მაღალი ტექნოლოგიები, სისტემაში მომუშავე ექიმებისთვის აემაღლებინათ კვალიფიკაცია, ფონდს ეს მოტივაცია არ ექნება. თქვენს ყურადღებას კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილებ — აქამდე სადაზღვევო კომპანიები დაინტერესებულნი იყვნენ, რომ ექიმს, ჰოსპიტალურ სექტორს ფული არ მოეპარა და ე.წ. ლევი ფულები პირდაპირ ჯიბეში არ ჩაედო. ფონდს არც ეს მოტივაცია ექნება. ამიტომ ამ სისტემის გარკვეულმა ტრანსფორმაციამ, ახალი მოდელის შემოთავაზებამ ეს რისკები გააჩინა. მე არ ვიცი, როგორ აპირებს ახალი ხელისუფლება ამ კონკრეტული პრობლემების დარეგულირებას, კონკრეტული რისკების მოხსნას. გვესმის მხოლოდ ის, რომ იწყება საყოველთაო დაზღვევა, რაშიც 2 მილიონი ადამიანი ჩაერთვება, მაგრამ ამ რისკებზე არავინ საუბრობს. რაც შეეხება თანხების საკმარისობადობის საკითხს — სამწუხაროდ, ამ პროგრამის ფინანსური ნაწილი, ანუ გაანგარიშება ჯანდაცვის მინისტრს დღემდე არ წარმოუდგენია. ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები სვამენ კითხვას — რამდენად საკმარისი იქნება 85 თეთრი ექიმისთვის ერთი პაციენტის ვიზიტზე, ან 25 თეთრი სისხლის ანალიზის ჩასატარებლად. ანუ, პროგრამა არსებობს, მაგრამ ნაკლული. მას არ ახლავს ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება, ანუ არ ვიცით მისი პროგრამული ბიუჯეტი. შესაბამისად, გამოდის, რომ ხელისუფლებას უბრალოდ უნდა ვენდოთ, ან პირიქით, —არ ვენდოთ როცა ის ამბობს, რომ პროგრამა წარმატებული იქნება. ეს წინა ხელისუფლების დროსაც პრობლემა იყო. იმედს ვიტოვებ, რომ შეცდომებს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების არარსებობის შესახებ, ხელისუფლება გამოასწორებს. თუ აღნიშნული პროგრამა წარმატებული იქნება — ომში გამარჯვებულებს კი არ სჯიან, ბუნებრივია, ხელისუფლებას პასუხს არავინ მოსთხოვს, მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაში, რაც სრულიად შესაძლებელია, თუმცა ამას არ ვისურვებდი, საზოგადოება პროტესტის გამოთქმას დაიწყებს. გამოვა, რომ ამ პროგრამის რეალიზებისთვის გამოყოფილი ფული წყალში გადაიყრება. ზოგადად, არც ის ვიცით, რა ეფექტის მიღებას გეგმავენ. გახსოვთ, ალბათ, 5-ლარიანი დაზღვევა, რომელიც თავიდან ყველას კარგი გვეგონა, მაგრამ შედეგი რომ ვერ მივიღეთ, მერე დავიწყეთ ამაზე ლაპარაკი, ამიტომ გრძელვადიანი გეგმა უნდა არსებობდეს“.

როგორც ლევან კალანდაძემ აღნიშნა ფილმი სახელმწიფო ფონდის შექმნის შესახებ და მისი შედეგები ერთხელ უკვე ვნახეთ. თუმცა, ასევე ნანახი გვაქვს 5-ლარიანი დაზღვევაც, რომელმაც ასევე არ გაამართლა. გაამართლებს თუ არა ახალი ხელისუფლების 5 ლარიანი დაზღვევა, ამაზე, **„ჯანმრთელი სამყაროს“ თავმჯდომარე ზურაბ ფუტკარაძე საუბრობს:** „აღნიშნული დაზღვევა არაფრით განსხვავდება პრეზიდენტის 5 ლარიანი დაზღვევისგან, კომპონენტები ზუსტად იგივეა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ძველი ხელისუფლების დროს 5 ლარიან დაზღვევაში თანაგადახდის პრინციპი იყო — ნაწილს ხელისუფლება იხდიდა, ნაწილს — თავად დაზღვეული, ამჯერად თანხას მთლიანად სახელმწიფო იხდის. წინამორბედმა ვერ გაამართლა და ჩემი აზრით, არც ეს საყოველთაო დაზღვევა გაამართლებს, ეს გარდამავალია. აქვე, კიდევ ერთი საკითხი — პენსიონრებს, მასწავლებლებს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებს და ა.შ. კერძო სადაზღვევო კომპანიები აზღვევს, ახლა შემოდის ცვლილება — დარჩენილი 2 მილიონ 200 ათასი ადამიანის დაზღვევა სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიის მიერ მოხდება, რომელიც სახელმწიფოში იქმნება. ჯერჯერობით არ ვიცით, ეს რა შედეგს გამოიღებს. ამას აქვს ორი მხარე, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. უარყოფითი მხარეა ის, რომ მაინც სახელმწიფოა და ჩინოვნიკს ყოველთვის კორუფციისკენ გაურბის თვალი, ანუ იქმნება კორუფციის კერა. დადებითია იმ კუთხით, რომ აღნიშნული სახელმწიფო ფონდი მაღალ მოგებაზე, მარჟაზე ორიენტირებული არ იქნება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები, რაც ადრე მოქმედებდა — ონკოლოგიურ დაავადებათა, დიაბეტის პროგრამა და სხვა, ეს ყველაფერი ახლა უქმდება. იმიტომ, რომ შემოდის საყოველთაო დაზღვევა, ანუ უკვე ყველა მოქალაქე დაზღვეული იქნება და ამ პროგრამების საჭიროება აღარაა. სულ 2. 200 ათასი ადამიანი ეზღვევა, თუ ეს დაზღვევა მართლაც სრულყოფილი იქნება კარგია, თუმცა ამის შეფასება ჯერ ნაადრევია“.

**ზურაბ ფუტკარაძე** კი ამ პრობლემასთან ერთად პროგრამას ნაჩქარევად დაწყებულს უწოდებს: „ზოგადად მისასალმებელია, თუ ჯანდაცვა ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. 1 მარტიდან 5 ლარიანი დაზღვევა მოხდება, ხოლო შემდგომ 1 ივლისიდან პროგრამა უფრო მეტ სამედიცინო მომსახურეობას შეიცავს. მისასალმებელია, რომ 2 მილიონ 200 ათასი ადამიანის დაზღვევა მოხდება, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ნაჩქარევადაა გაკეთებული. ჯერ ერთი, ეს 5 ლარიანი დაზღვევა არაფრის მთქმელია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მოქალაქეებს დღეს ინფორმაცია არ აქვთ, რაზე უნდა დაეზღვიონ. მაგალითად, მე არ მინახავს ჩამოყალიბებული დოკუმენტაცია, სადაც ზუსტად იქნება გაწერილი რა მომსახურეობას სთავაზობენ დაზღვეულს. სპეციალისტმა, ექიმმა ვერ გავიგე ზუსტად რა სახის დახმარებას გვთავაზობენ და მოქალაქემ რა უნდა გაიგოს?! პროგრამა ნაჩქარევად დაიწყო, ინფორმირებულობა ნულის ტოლია. ელემენტარულად, უნდა დარიგებულიყო ფლაერები, სადაც იქნებოდა ინფორმაცია თუ ვის რა მომსახურეობა ეკუთვნის. იმედია ამას 1 ივლისისთვის მაინც გაითვალისწინებენ. არაინფორმირებულობა წარმოშობს პრობლემებს — ხალხი სამედიცინო დაწესებულებებს მიაწყდება და პირველადი ობიექტები ცუდ დღეში აღმოჩნდებიან. ძნელია ადამიანს დაუმტ-



კიცო, რომ რაღაც არ ეკუთვნის, პროგრამით გაწერილი არაა. არაინფორმირებულობა ამ პროგრამის ერთ-ერთი დიდი მინუსია, რაშიც წინა ხელისუფლებას 5-იანი ეწერა. არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ პიარი ჰქონდათ. ამ მხრივ, ეს ხელისუფლება მოიკოჭლებს.“

**თამარ შველიძე**

**555 23 28 24**

**P.S. ამჯერად მკითხველის ყურადღება ერთ კონკრეტულ პროგრამაზე შევაჩერეთ. მითუმეტეს, რომ საყოველთაო დაზღვევა საკმაოდ მასშტაბური აქტია, მოსახლეობა კი მისი მოხმარების დეტალებში ჩახედული არაა. მძიმე მემკვიდრეობის გათვალისწინებით, ჯანდაცვაში სხვა ბევრი პრობლემაა და შევეცდებით მომდევნო ნომრებში ესეც ავსახოთ.**

# ლუციფერის ეფექტი

## სკანდალური ფაქტები მთელ მსოფლიოში დაფანტული აშშ-ს საიდუმლო ციხეების შესახებ

უკვე ცნობილია მსოფლიოსთვის, რომ აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტის გარშემო არსებულ გარემოებათა გამოსაძიებლად აშშ-ის სპეცსამსახურები, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, უბრალოდ, იტაცებდნენ აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილებს. რამდენადაც აშშ-ის ტერიტორიაზე აკრძალულია ადამიანის წამება, ააშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა (ÖÐÓ) საიდუმლო ციხეები განათავსა ქვეყნის გარეთ. ამგვარ მოქმედებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში, მაგალითად, როგორიცაა: პაკისტანი, ავღანეთი, იორდანია, ეგვიპტე, ნებადართულია პატიმრების წამება. უფლებადამცველმა ორგანიზაციამ **Open Society Justive Initiative** სცადა გამოეთვალა რამდენი სახელმწიფო ეხმარება აშშ-ს ამგვარ ქმედებაში. აღმოჩნდა, რომ ასეთი 54-მდე ქვეყანაა, რაც შეადგენს მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების 21%-ს, მათგან 28% კი გაეროს წევრი ქვეყანაა. ამ უკანონო საქმიანობაში აშშ-ს აქტიურ დახმარებას უწევენ: ისრაელი, დანია, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, გერმანია, იტალია, სირია და ირანი. კანადამ, ირლანდიამ და კვიპროსმა კი სულაც ნება დართო აშშ-ს როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო სპეცოპერაციების ჩატარებისა მათ ტერიტორიაზე. ამ ფონზე, აშშ-ის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, მაგალითად, ჰოლანდიამ, უნგრეთმა და რუსეთმა უარი განაცხადეს ამგვარ უკანონო, ფაქტობრივად, დანაშაულებრივ ქმედებაზე.



უკვე ღიად გახდა ცნობილი, რომ ევროპის ტერიტორიაზე არის ამერიკული საიდუმლო ციხეები, სადაც ადამიანთა წამებას აქვს ადგილი. იმდენად შეარყია ამ ფაქტმა ევროპა, რომ ადამიანის უფლებადამცველმა სასამართლომ გადაწყვიტა სააშკარაოზე გამოეტანა აშშ-ის საიდუმლო საპყრობილის არსებობა პოლონეთში. ჯერჯერობით მსგავსი გადაწყვეტილება მიღებული არ არის ლიტვასა და რუმინეთთან დაკავშირებით, რომელთა ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია აშშ-ის სპეცსამსახურების საიდუმლო საპყრობილეები. ევროკავშირი თვლის, რომ ევროპული ქვეყნების ამგვარი თანამშრომლობა აშშ-ის სპეცსამსახურებთან არის მორალურად სამარცხვინო, რაც აიძულებს მათ დამალონ ამ სახის კავშირი. ასე რომ, პოლონეთის ხელმძღვანელობაც არ აღიარებდა პოლონეთის მონაწილეობას აშშ-ის სპეცსამსახურების „პროგრამაში", მაგრამ რეალობა ვეღარ დაიმალა, როდესაც გამოჩნდა ცოცხალი მოწმე, საუდის არაბეთის მოქალაქე აბდ არ-აჰიმ ან-ნასირი, რომელიც პოლონეთის ტერიტორიაზე არსებულ საიდუმლო ციხეში იყო დატყვევებული.

პოლონეთის საიდუმლო საპყრობილეში „სტარე-კეშკუტი" აშშ-ის სპეცსამსახურებმა შექმნეს ტერორისტული ორგანიზაციებისა და „ამერიკული მოძრაობის" ლიდერებისთვის (თავიანთი მოქალაქეებისთვის!), ხოლო რუმინეთში არსებული საიდუმლო საპყრობილე „მიხაილ კოგელნიჩანუ" შედარებით „დაბალი დონისთვის". ცხადია, ქვეყნის პრეზიდენტი ყოველთვის საქმის კურსშია, როდესაც მისი ქვეყნის ტერიტორიაზე მსგავსი საიდუმლო საპყრობილე არსებობს – აშშ-ის სპეცსამსახურები ბუქარესტს **NATO**-ში ვადაზე ადრე შესვლასთან დაკავშირებით მხარდაჭერას აღუთქვამდა...

ის, რომ ლიტვის ტერიტორიაზე, ლიტველი ჩინოვნიკების აგარაკების სიახლოვეს, დაბა ანტავილაიში, (სადაც ადრე საცხენოსნო სკოლა იყო), აშშ-ის სპეცსამსახურების საიდუმლო საპყრობილეა, დაწვრილებითი ინფორმაცია საზოგადოებამ 2009 წელს შეიტყო. აღმოჩნდა, რომ შენობა შეისყიდა ამერიკულმა კომპანიამ **Elite LLC** – დახურული მანეჟის ადგილზე აშენდა კამერები და საწამებელი შენობა, ასევე გარაჟი და გაკეთდა ელექტროენერგიის ავტონომიური უზრუნველყოფა. მაშინვე დაფიქსირდა ჟურნალისტების აზრი, რომ აღნიშნული ტიპის საპყრობილის დაშვება ლიტვის ტერიტორიაზე ლიტვისთვის წარმოადგენდა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში შესვლის საშვს. ინფორმაციიის გაჟონვის გამო ლიტვიის პარლამენტი იძულებული გახდა მიეღო გამოძიების დაწყების გადაწყვეტილება, თუმცა უკვე ოთხი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც საპყრობილე აღარ ფუნქციონირებდა. ასე რომ, დღემდე უცნობია რამდენი პატიმარი გარდაიცვალა ან ეწამა ანტავილაის საიდუმლო საპყრობილეში...




მსოფლიო საზოგადოებას ჩამოუყალიბდა აზრი ამერიკელების მუშაობის პრინციპზე – როცა საქმე ეხება სხვა ქვეყნის ტერიტორიას, თუ საქმიანობა კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ მათთვის საჭიროა, მაშასადამე, დასაშვებია კანონის უგულებელყოფა.

საკუთარ ტერიტორიაზე აშშ-ის სპეცსამსახურები არასდროს არღვევენ კანონს, ხოლო იმ ქვეყნების ტერიტორიებზე, რომლის ხელისუფლება თვალს დახუჭავს პატიმართა წამებაზე და არ მოითხოვს ადამიანის უფლებათა დაცვას, იდეალური პარტნიორია აშშ-ისთვის.

როგორც უფლებადამცველი ჯული ჰოლი ამბობს, **NATO**-ში შემავალი ქვეყნების ხელმძღვანელები მაშინ იყვნენ საქმის კურსში, როდესაც ჯერ რეალიზებული არ ჰქონდა აშშ-ს „საიდუმლო ციხეების პროექტი" ტერორიზმთან ბრძოლის ჩარჩოში. ამ საკითხის პირველი საერთაშორისო გამოძიება 2006 წელს დაიწყო, ანუ იმ ქვეყნების მეთაურებს ჰქონდათ დრო და უფლება, შეეწყვიტათ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა, მაგრამ... მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა სახელმწიფომ კომპენსაცია გადაუხადა წამების მსხვერპლებს, დღემდე არ შემდგარა არც ერთი სასამართლო მათ წინააღმდეგ, ვინც აღნიშნულ დანაშაულს სჩადიოდა. ჰოლი ვარაუდობს, რომ თუნდაც ღიად მოჰყვნენ დეტალებს საიდუმლო ციხეებში ნაწამები ადამიანები, გამოძიება უსასრულოდ გაგრძელდება წლების მანძილზე.

თვით ამერიკელები სრულებით არ არიან შეშფოთებულები, რომ გამჟღავნდა მათი საიდუმლო საპყრობილეების არსებობის შესახებ, ნებისმიერ კრიტიკაზე პასუხად დამცინავი დუმილი აქვთ. ყველაზე „დიდ მიღწევად" შეიძლება ის ჩაითვალოს, თუ მცირეოდან დარღვევას მაინც აღიარებენ ამ „უდიდესი მისიის" შესრულების მიმდინარეობისას.

ფაქტია, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით წარმოებულ ე.წ „პროგრამებით" დაღუპულთა რიცხვმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაღუპულთა რიცხვს. როგორც მსოფლიო დონის ექსპერტები თვლიან, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ აშშ-ის სპეცსამსახურების საქციელი ახდენს ტერორისტული ორგანიზაციების პროვოცირებას გადავიდნენ აქტიურ დანაშაულებრივ ოპერაციებზე.

მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის მიერ ჯერ კიდევ უმცროსი ბუშის დროს იქნა ეს ინფორმაცია სააშკარაოზე გამოტანილი, სიტუაცია არ შეცვლილა, აშშ-ის სპეცსამსახურები აგრძელებენ იმ სახელმწიფოების კანონების დარღვევას, სადაც მათი საიდუმლო საპყრობილეებია. მათ, ვინც როგორღაც თავი დააღწია ამ საპყრობილეებს, გამოიტანეს ამბავი, რომ ენით გამოუთქმელ, მახინჯ, გაუკულმართებულ, ადამიანის ფანტაზიისთვის წარმოუდგენელ მოპყრობას აქვს ადგილი, რათა პატიმარმა დაასახელოს დანაშაულში თანამონაწილე პირები, თუნდაც რეალურად არ არსებობდეს დანაშაული და შესაბამისად თანამზრახველები.

როგორც ცნობილია, თითქმის ყველა სფეროშია ე.წ „გაიდლაინები", ინსტრუქცია ვიდეოფაილების სახით.

## ადამიანთა წამების ვირტუალური ინსტრუქტაჟი საქართველოს ციხეებისთვის სტენფორდის ექსპერიმენტის მიხედვით

„გაიდლაინები", როგორც ჩანს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანთა წამებისთვისაც არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთხსენებული „ენით გამოუთქმელი, მახინჯი, გაუკულმართებული, ადამიანის ფანტაზიისთვის წარმოუდგენელი" არაადამიანური მოპყრობის ფორმები, მეთოდები და საშუალებები ერთნაირი არ იქნებოდა აშშ-ის დაქვემდებარებაში არსებული ქვეყნების საიდუმლო საპატიმროებში მათ შორის, საქართველოს ოფიციალურ ციხეებში.

ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ეჭვი სიმართლეს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამეფებული რეჟიმი სტენფორდის ექსპერიმენტის გასაიდუმლოებული დასკვნით შედგენილი გაიდლაინებით იყო ნასაზრდოები და ეს სისტემა სპეციალურად იყო შექმნილი „ნაციონალური მოძრაობის" მიერ საკუთარი, მაგრამ „სხვაგვარად მოაზროვნე" ხალხის დასათრგუნად.

აბუ-ღრეიბის ცნობილი სკანდალის შემდეგ (დოკუმენტური მასალა გაავრცელა „სი-ენ-ენმა" და „ბი-ბი-ბიმ") მსოფლიომ გაიგო „სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის" შესახებ, რომელსაც მანამდე გრიფი „საიდუმლო" ედო. ექსპერიმენტმა გამოავლინა ის მექანიზმები, რომლებსაც გამაოგნებელი სისასტიკის გამოწვევა შეუძლია ადამიანებში.

ფსიქოლოგი ფილიპ ზიმბარდო („სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის" ხელმძღვანელი): – „ჯერ მეგონა, რომ ეს იყო ის კადრები, რომელიც მე გადავეცი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო შტაბს. ყველაფერი იგივე იყო, სრულიად იდენტური ვიდეომასალა. სასწრაფოდ ჩავფრინდი ერაყში და აბუ-ღრეიბის ციხის ყოფილ უფროს უილიამსთან მოვითხოვე შეხვედრა, რომელიც იმ დროს დაპატიმრებული იყო. მან მომიყვა, რომ სპეციალური გაიდლაინებით მოქმედებდა, სადაც პატიმართან მოპყრობის გრაფიკული ვიდეოინსტრუქცია იყო მოყვანილი. მან ეს ინსტრუქცია გაამრავლა და რეჟიმის უფროსებს დაურიგა. ისინი ზუსტად უნდა მიჰყოლოდნენ ინსტრუქციას, შესრულებულ სამუშაოზე კონტროლი კი თვით უილიამსს ევალებოდა. ეს იყო ჩემი ექსპერიმენტის შედეგები, რაც ჩემთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. 2007 წელს მე სარჩელი შევიტანე კონკრეტული პირებისა და იმ მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, ვისაც 1971 წელს გადავუგზავნე ეს მასალები, 2006 წელს კი მე თავად ავხადე მათ გრიფი „საიდუმლო" და ვუწოდე ჩემს ნაშრომს „ლუციფერის ეფექტი" – როგორ იქცევიან კარგი ადამიანები ბოროტებად."

35 წლის შემდეგ ზიმბარდო იმ სპეციალისტთა გუნდი აღმოჩნდა, რომლებიც აბუ-ღრეიბის სკანდალს იკვლევდნენ და მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აშშ-ის მთავრობას არ წარმოეჩინა ისე, თითქოს „ავადმყოფი" მხოლოდ ერთი ზედამხედველი იყო, თორემ სისტემაში ყველაფერი რიგზე იყო.

ფილიპ ზიმბარდოს ლექციიდან ირკვევა, რომ 1971 წელს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ჯარების სარდლობამ შეუკვეთა სტენფორდის ფსიქოლოგიის კათედრას დასკვნის მომზადება საკითხზე, რა შემთხვევაში შეიძლება ინდივიდი გახდეს მართვადი, რადგან ფლოტში გახშირებული იყო მოსამსახურე პირთა მხრიდან არასასურველი ქმედებები. (წიგნი „**Ýô ôåêò Ëþöèôåðà**" მარტის ბოლოს გამოვა რუსულ ენაზე)

ზიმბარდომ ექსპერიმენტისთვის „ციხეში ცხოვრების იმიტირება", ორი კვირის ვადით დღეში 15 დოლარად 70 კანდიდატიდან ყოველმხრივ გამოკვლეული, მორალურად და ფიზიკურად ჯანმრთელი 24 მოხალისე სტუდენტი აიყვანა და დაჰყო სამ ჯგუფად: 9 პატიმარი, 9 მცველი და 6 შემცვლელი.

**მაია ქელიძე**
**593 32 49 71**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# ცხოვრება ცისარტყელას მიღმა

თბილისიდან თეირანამდე ავტობუსით მივდივართ.

ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე დღე ახალგაზრდები საპროტესტო აქციებს აწყობდნენ, ამერიკულ სანქციებს ეწინააღმდეგებოდნენ. ქვეყნის შიდა დაძაბულობა იშვიათად ხდება ხალხის აღშფოთების მიზეზი. დდა ამაში არის რაღაც ლოგიკა. რადგან პროტესტანტებს ისე არბევს პოლიცია, რომ ხშირად მათ გზა-კვალსაც ვეღარ პოულობენ. განმკითხავი არავინაა. ზოგადად, ამბობენ, სპარსები კარგად ცხოვრობენ, მათ ნავთობის დიდი მარაგი და ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი რესურსები აქვთო. ოღონდ ქვეყანაში ეს ფუფუნება ამ ბოლო დროს სულ უფრო ნაკლებად იგრძნობა. მთავრობა მოსახლოებას გადასახადებით ტვირთავს. გაზი საკმაოდ ძვირია, რადგან ირანი საკუთარი რესურსებით მეზობელ ისლამისტურ ქვეყნებს უანგაროდ ეხმარება. სანაცვლოდ, საკუთარ ხალხს აწევს ტვირთად გადასახადები. იქამდე მიდის ე.წ. სპარსული ალტრუიზმი, რომ ირანის ქალაქების ქუჩები სავსეა ერაყში დაღუპული მებრძოლების სურათებით. ეეს პატივის მიგების ერთგვარი ფორმაა. თუმცა დაღუპულების ე.წ. შაჰიდების ოჯახები მთელი რიგი უპირატესობებით სარგებლობენ. მათი ოჯახის წევრებს მაღალანაზღაურებად სამსახურებს აძლევენ, დამატებით ფინანსებითაც ეხმარებიან, უკონკურსოდ აწყობენ უმაღლეს სასწავლებლებში შაჰიდების შვილებს.

როგორც ვთქვი, ირანში ცხოვრება ამ ბოლო დროს გაჭირდა. პპროდუქტებზე ფასები დღითიდღე მატულობს. ჯერ კიდევ გუშინ ნაყიდი საქონელი უკვე დღეს ძვირია და ამაზე პასუხიმგებელი არავინაა. პროგნოზების გაკეთება კი ფაქტობრივად, შეუძლებელია.

### ფერეიდანი

თეირანიდან ფერეიდნამდე კომფორტული ავტობუსით 8 საათს ვმგზავრობთ. სანახაობა არცთუ მრავალფეროვანია. იქ სახლების უმრავლესობა ორ და სამსართულიანია. ფაქტობრივად, იშვიათია კორპუსები. შენობების გარე ფასადით ვერ მოიხიბლებით. ოღონდ ინტერიერი უმრავლესობას არა მარტო მდიდრულად, გემოვნებითაც მოუწყვია. სამზარეულოები, ძირითადად, ჩვენში ახლახან დამკვიდრებულ ბარის სისტემაზე აქვთ მოწყობილი. ,,კარგი ტელევიზორი და აპარატურა უყვართ და რაც მთავარი ატრიბუტია-ხალიჩა. ძალიან უფრთხილდებიან და უზადოდ ასუფთავებენ ყოველ დღე დიდი რუდუნებით. მასზე ფეხსაცმელებით არ გაივლიან. აუცილებლად იხდიან ზღრუბლზე და ზედ. ფეხშიშველა, ან წინდებით დააბიჯებენ ფერეიდანში მკაცრი კლიმატია. ალბათ, ამიტომ არის აქაური ხალხი შრომისმოყვარე და გაჭირვების ამტანი-მეთქი, ხშირად მიფიქრია. ჩვენ, რომ კარმას ვუწოდებთ, მათთვის ძველ ქართულიდან შემორჩენილი სიტყვა ბუხარია, რომელიც, ჩემი აზრით, დაუნდობლად გიზგიზებს (ლამის, ჩვეულებისამებრ ჩავუწიო და ჩემს უნახაობაზე თავად მეცინება) ფერეიდანში ჩავდივარ-მეთქი, გითხარით, და უფრო კონკრეტულად კი ქალაქ მარტყოფს ვსტუმრობ (ან ვმასპინძლობ, ზოგჯერ, რადგან ჩემი მეუღლე იქაურია და სახლიც ჩვენი გვაქვს იქ) ჩასვლის დღიდანვე იკრიბებიან ნათესავები, ახლობლები, მეზობლები და ჩემი მეუღლის ლევანის მეგობრები. თვე ნახევარი ვიყავით 8 თვის ელენეთი და ამ ხნის მანძილზე ყოველ საღამოს სტუმრად (იქაურად ყონაღად) გვპატიჟებდნენ. სუფრის ბოლოს, საჩუქრებს გვახვედრებდნენ-ხოლმე. ასე ყონაღლობაში მიდის ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრების ნათელი დღეები. თორემ იქ სმა, აზარტული თამაშები და კიდევ მსგავსი გასართობები სასტიკად აკრძალული და დასჯადია. შორიდან მოიკითხავენ-ხოლმე თავიანთ თვისტომს, რაზეც ჩემს მეუღლეს ბრაზი მოსდის: ,,რა გახდა, ირანელებით აივსო საქართველო და ესენი კიდევ აქაურობას ვერ გამოსცილდნენ რომ საკუთარი სამშობლო ერთხელ მაინც ენახათო'', მით უფრო, პატრიარქმა არაერთხელ მოუწოდა იქაურ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისკენ და ხომ ხედავენ, კიდეც ირანში დღითიდღე იძაბება ცხოვრება. ომი და განუკითხაობა, თუ დაიწყო ეს ,,ქორდები'' ჩამოვლენ და საკუთარი სახლების დატოვებას მოგვთხოვენ. იარაღი კი აქვთ და საბოლოოდ, თავი უნდა შევაკლათ, ან კიდევ დროზე მივაგნოთ ჩვენ გზა-კვალს. რა ვქნათ? სამსახურებს ვერ ვტოვებთო-მაინც გამოურევს ბოლოს და ღმერთს როგორც უნდა ისე იქნება ყველაფერი, თუ უნდა ჩვენი დაბრუნება, ასეც მოხდებაო. — ღვთის იმედად ტოვებს პასუხს ჩემი მაზლი. "

ლევანი ასეთ თავმინებებაზე ბრაზობს და ამბობს ხოლმე: ,,თეფში უფრო ცხელია, ვიდრე საჭმელიო'', ანუ ფერეიდნელი ქართველები უფრო აკლავენ თავს ირანს, ვიდრე თავად სპარსებიო.



### რწმენა და ფერეიდანი

არიან მუსულმანობაში მეტად გადავარდნილი ფერეიდნელი ქართველებიც. მათი უმრავლესობა ირანის მმართველობას, ანუ თეოკრატულ წყობილებას უჭერს მხარს. ისეთებიც მრავლად ვიცით, ვინც წინაპრების სარწმუნოებას დაუბრუნდა. ზოგადად, რწმენა ერთ-ერთი ფაქტორია, რამაც ფერეიდნელი ქართველი ესოდენ მიაჯაჭვა ირანის მიწას. სპარსები შიიტები არიან. მათსა და სუნიტებს შორის განსხვავება მუჰამადის პერიოდიდან იღებს სათავეს. ერთ-ერთ შეკრებაზე, როცა მემკვიდრე უნდა დაესახელებინა, მან თავის სიძეს (ქალიშვილის მეუღლე, რომელიც ამავდროულად ბიძაშვილად ეკუთვნოდა) ალის აუწია ხელია, — ეს იქნება ჩემს შემდგომო. თუმცა მუჰამედის მერე ქვეყანა ოთხად გაიყო და ერთ-ერთ მეოთხედში მოუწია ალის მმართველობა. ახლა ვინც ალის უპირატესობას აღიარებენ შიიტები ჰქვიათ, ხოლო ვინც მეოთხე მოციქულად მიიჩნევს-მხოლოდ სუნიტები(ეს დაყოფა ხალხის ნების საფუძველზე მოხდაო, — ამბობენ) როგორც მოგეხსენებათ, ისლამის მიმდევრებს სარწმუნოება მრავალცოლიანობის უფლებას აძლევს. ამგვარი ოჯახი არცთუ შორეულ წარსულში ფერეიდანშიც კი არსებულა.

ფერეიდნელი ქართველი ქალის მონათხრობი: ჩემმა კაცმა ჯერ მე მითხოვა, ბად (მერე) მეორე ქალი. აველად (პირველად) ნამა (კარგად) ვცოცხლობდით, მინამ მესამე დედაკაცი არ მოისურვა და ბად აირია სუ ჩონ სიცოცხლე.

როგორც აღმოჩნდა, უკვე ბავშვების გამო წაეკიდნენ ცოლები ერთმანეთს და ოჯახური იდილიაც დაირღვა.

ახლა მრავალცოლიანობა ფერეიდნელ ქართველებში პოპულარობით არ სარგებლობს, თუმცა თითო-ოროლა გამონაკლისები მაინც არიან. თანაც დღევანდელ ირანში ქალი მეტად გასათუთებულია. კაცს ქორწინებამდე ბევრ რამე-რუმეს და წარმოიდგინეთ, ხელფასიდან გარკვეულ პროცენტსაც სთხოვს. თავადაც მიაქვს მზითევი, თუმცა რაც კაცს ევალება ქორწინებისთვის, მზითევი იმასთან შედარებით ზღვაში წვეთია. ამას გარდა, როცა ფერეიდნელი ქართველები საქართველოს დაუბრუნდნენ, ძალიან გაუკვირდათ ე.წ. მრავალთაობიანი ოჯახები. ისინი ქორიწინებისთანავე გამოდიან მამისეული ოჯახიდან და ცალკე ფუძნდებიან.

არ შემიძლია არ ვთქვა, ის გულისტკივილი, რაც ფერეიდნელმა ქართველებმა მაია ასათიანისთვის გადასაცემად დამავალეს: საქმე კი გამოუდით. შეუძლიათ კარგი სანტექნიკოსობა, მეურნეობის გამართვა და გონებრივი შრომაც. იშვიათი გამონაკლისების გარდა გამრჯე და მუყაითი ხალხია. სხვათა შორის, ალალი ხასიათი აქვთ და უმალ პირში მოგახლიან, ვიდრე დაგიმალავენ სათქმელს. ,,კიდევ ერთი თვისება, რაც ახასიათებთ, ზეპატრიოტიზმია. მათ სარწმუნოება წაართვეს, ამიტომ უმრავლესობა ათეისტია და ძნელად, თუ მოექცევა რწმენის ქვეშ. ოღონდ, ერთადერთი რაც სათაყვანებლად დარჩათ საუკუნეების მანძილზე, ეს სამშობლო-საქართველო'', — ამბობს ფერეიდნელის მეუღლე ქალბატონი მედეა. მეც მაკვირვებდა მათი პათოსი და ცოდვა გამხელილი სჯობს, გადაჭარბებულიც მეგონა. თუმცა ჩემი მეუღლის და მისი მეგობრების უკეთ გაცნობის შემდეგ მივხვდი,



არ იქნებოდა ტინით უკან არ გევლო (ტინით უკან-ღრმა პროვინციაა მთებს უკან, ანუ უფრო მაღალ ადგილზე) და დავსილი (გაუბედურებული) ოჯახები არ გეჩვენებინა ჩონი გურჯებისთვინო. ე.ი. როგორც თავად ამბობენ, პროფილის წამყვანმა განგებ შეარჩია საკუთარი გადაცემისთვის უპოვარი ოჯახები, ხოლო ნორმალურ, ან კიდევ მდიდრული სახლების გადაღებაზე შეთავაზებისდა მიუხედავად, უარი განაცხადა.

ოჯახი და ფერეიდნელი ქართველი ზოგადად, მათი უმრავლესობა კარგი მეოჯახეა. არ ვიცი, შესაძლოა, ჩვენი გადმოსახედიდან ნაკლშიც ჩავუთვალოთ, მაგრამ კაპიკს კაპიკზე აწებებენ და დიდი ხელგაშლილობით არ გამოირჩევიან. ოღონდაც ბევრი რომ აქ თამაში შეუძლებელი იყო და რომ ჯერ კიდევ ფერეიდანში მართლაც გაიდეალებული ჰყავდათ, საქართველო. ისე, ფერეიდანიც პატარა საქართველოა, ოღონდ ირანის პირობებში. იქაურები კი ტიპიური კახელები, თავისი ფიზიონომიითა და იუმორითაც კი. და კიდევ ერთი თვისება, ასევე გადაჭარბებული დოზით ეს სიამაყეა. არასოდეს მოვითხოვთ, რახან საქართველოში დავბრუნდით, ბინები გადმოგვეცით, არ გვინდა უპოვრებად მიგვიჩნიონო, — უთქვამს არაერთს.

და ალბათ, მაინც დადგება დრო, როცა იქეთ დარჩენილი ქართველობა ცისარტყელას ქვეშ გამოძვრება და მშობლიურ ფესვებს მიანდობს თავს...

**ნათია ნოდია**

## ლევან გოგიჩაიშვილი: არის ეჭვი, რომ სააკაშვილის მიერ შეწყალებული პატიმრები დესტრუქციულ სქემებში გამოიყენონ



ყოფილი პოლიტპატიმარი ლევან გოგიჩაიშვილი ეჭვობს, რომ პატიმართა გარკვეულ ჯგუფს, რომლებიც ამჟამად საპატიმროებს ტოვებენ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაცია განგებ იწყალებს გარკვეულ დესტრუქციულ სქემებში მონაწილეობის მიზნით. ეს განცხადება გოგიჩაიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

,,არსებობს სერიოზული საფრთხე და ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილის ადმინსიტრაცია სხვადასხვა პატიმარს, რომელიც დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება, სთავაზობს შეწყალებას გარკვეული მოთხოვნების შესრულების სანაცვლოდ. არის გარიგებები მათთან იმისათვის, რომ ეს ადამიანები რაღაც სქემებში ჩართონ და საზოგადოებაში დესტაბილიზაციის მომენტი შემოიტანონ", - განაცხადა გოგიჩაშვილმა აღნიშნულ პატიმრებს მოუწოდა, რომ ნაცმოძრაობს არ გაყვნენ და შარში არ გაეხვიონ.

იხილეთ ,,საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# სოსო მანჯავიძე: ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ გაიმართოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები

**— სოსო, კარგად მოგვეხსენება ორივეს, რომ საქართველოს მოქალაქეებს ოფიციალურ დოკუმენტში ეროვნება არ გაგვაჩნია. ეს საკითხი, შეიძლება, საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენელს სულაც არ აწუხებს, მაგრამ ქართველებისთვის მნიშვნელოვანია. ახლა, როცა, სავარაუდოდ, ოცნების სფეროს აღარ განეკუთვნება ზოგიერთი ხელოვნურად შექმნილი უხერხულობის მოგვარება, რას იტყვით, რატომ დადგა დღის წესრიგში თავის დროზე ეროვნების გრაფის ამოღების საკითხი.**

— ეს იყო მიზანმიმართული მოქმედებები ეროვნული სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგ. კარგად მოგეხსენებათ, ვინც იყო და არის ამ იდეოლოგიის ავტორი, ბატონი ჯორჯ სოროსი, რომელიც ღიად ამბობს, რომ საზოგადოების გამჭვირვალობის იდეა ეროვნული სახელმწიფოს იდეასთან შეუთავსებადია, ხოლო რაც ყოფილა „გამჭვირვალე საზოგადოება“, კარგად დავინახეთ.

საერთოდ, ამ იდეოლოგიის გამტარებელი და დამნერგავი ხალხი არსად არ წასულა, ისინი ძველებურად სხედან თბილად „თავისუფლების ინსტიტუტში“ და იღებენ უხვ დაფინანსებას. ვინც „თავისუფლების ინსტიტუტთან“ ერთად ნერგავდა ამ ნეოლიბერალურ იდეოლოგიას, ნეოლობერალურ ფაშიზმს საქართველოში, ის ხალხიც არსად წასულა, კვლავ ხელისუფლებაში არიან. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, ზოგზოგიერთი ადამიანის ხბოს აღტყინება, რომელიც ისე დააბრმავა სააკაშვილის ხელისუფლების დასუსტებამ, რომ ვერ ხედავს ცხვირწინ დადებულ ამ მარტივად დასანახ ელემენტარულ ფაქტს.

მარტივი საანგარიშოა — 55 დეპუტატი ჰყავს „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც ამ საკითხს მხარს არ დაუჭერს; ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, დაახლოებით 10 დეპუტატი ჰყავს „რესპუბლიკელებს“, რომლებიც ასევე, არ დაუჭერენ მხარს; დაახლოებით, ამდენივეა „თავისუფალი დემოკრატები“ — ასევე მხარს არ დაუჭერენ და პლუს რამდენიმე დეპუტატი, რომელმაც თავის დროზე მიიღო ეს კანონი და ახლა ვინ ყოფილა უმრავლესობაში, თქვენ თვითონ იანგარიშეთ.



**— გამოდის, ვინც ვიღაცის (ან ვიღაცების) დავალებებს ასრულებდა საქართველოს წინააღმდეგ, ის ხალხი გვყოლია ხელისუფლებაში და რა გვიხარია...**

— ამნეზია დაგვემართა... იმდენად გაიხარა ხალხმა, რომ დაავიწყდა ვინ გამოიწვია ის ტერორი, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება ანხორციელებდა. იმ იდეოლოგიის მიმდევრებმა ახლა მეორე ფლანგზე გადაინაცვლეს და ამ პოლიტიკური პინგ-პონგით ცდილობენ ხალხის გართობას — ვისაც ვგულისხმობ, ვთქვი უკვე, ისინი, ვინც მხარს არ დაუჭერენ ჩვენი ეროვნების აღდგენას საბუთებში, სხვას რას დაუჭერენ მხარს?

მაგალითად, იცით, რომ ჩვენ შევიტანეთ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონის ბათილად ცნობის შესახებ. ამ კანონმა მოქმედ პრეზიდენტს გაუხანგრძლივა საპრეზიდენტო ვადა, რაც კონსტიტუციის უხეში დარღვევაა და ამის გარდა დაირღვა ყოველგვარი პროცედურა. ამ ორივე არგუმენტით ეს კანონი უნდა გაეუქმებინათ, რითიც სააკაშვილს ავტომატურად შეუწყდებოდა საპრეზიდენტო უფლებამოსილებები. ვინ იქნებოდა, როგორ ფიქრობთ, ამ სარჩელში მოპასუხე — საქართველოს პარლამენტი. რა პოზიცია ეკავა, რომ ეს კანონი უსამართლოა, მაგრამ კანონიერია. გააფთრებით იცავდა სააკაშვილის უფლებას, რომ ოქტომბრამდე იყოს პრეზიდენტი, პარლამენტის წარმომადგენელი, პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ბატონი ზურაბ დეკანოსიძე, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ უფლებამოსილად არ სცნო თავი, რომ ეს საკითხი განეხილა. „კულუარულად ითქვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ესმის, რა პასუხისმგებლობა დაეკისრა ასეთი გადაწყვეტილების მიღების გამო, მაგრამ პარლამენტის პოზიციის გამო სხვაგვარად ვერ გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, როცა ქვეყანაში ეროვნული ხელისუფლება იქნება, ეს საკითხიც დადგება და მათ მოუწევთ პასუხის გაცემა, რატომ მიიღეს ასეთი აბსურდული და გონებისთვის შეურაცხმყოფელი გადაწყვეტილება.

**— ხალხი უკვე იმდენადაა უკმაყოფილო კოაბიტაციით, რომ ფრთიანი გამოთქმები ნელ-ნელა უხამსობაში გადადის...**

— მოგეხსენებათ, მე კენჭს ვიყრი შუალედურ არჩევნებში ნაძალადევში და ისიც, რომ გამოვედი პარლამენტის დაშლის და რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ინიციატივით. ჩემს ამ ორ მოქმედებაში არის სრულიად ნათელი ლოგიკა. კერძოდ, მე ვთვლი, რომ დღევანდელი პარლამენტი არ გამოხატავს არავის ინტერესებს, ის არჩეულია ბიძინა ივანიშვილის ხათრით და სააკაშვილის სიძულვილით. მივიღეთ ძალიან უცნაური რამ — ის დეპუტატები, რომლებიც ბატონი ბიძინას ხათრით და სააკაშვილის სიძულვილით აირჩიეს, ახლა ერთმანეთში კოჰაბიტაციობენ...



არავითარი 40% არ ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო დანარჩენი ძალები, იქ, საერთოდ, ერთი კაცის ხათრით არიან მოხვედრილი ერთეული გამონაკლისის სახით. აქედან გამომდინარე, ეს არის აბსოლუტურად გაუგებარი სიტუაცია, რაც მთავარია, კონტრპროდუქტიულია — ჩვენ კარგად ვხედავთ, პარლამენტის მუშაობის სტილს და შედეგებს. აქედან გამომდინარე, ყველა ღონე უნდა მივმართოთ იქით, რომ გაიმართოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ქართველი ხალხი იმსახურებს იმას, რომ თავისი რეალური წარმომადგენლები ჰყავდეს პარლამენტში, ვისაც ის იცნობს და ვისაც ის პატივს სცემს. აუცილებლად უნდა გაიმართოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები რეალური ამომრჩევლებით და ბოლოს და ბოლოს რეალური არჩეულებით...

**მაია ჭელიძე**
593 32 49 71

# ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს!

ბატონო ბიძინა,

თქვენთან დაკავშირება მეტისმეტად რთულია ჩვეულებრივი მოკვდავისთვის. ამიტომ არ ვკარგავ იმედს, იქნებ ამ გაზეთს პატივს მიაგო და თუ წაიკითხავთ, საცხოვრებელი სახლის დიდად დამავალებთ არა მარტო მე, არამედ 1630 კაცს, რომლებიც ელიან თქვენს ყურადღებას.

წარმოშობით ვარ საჩხერის რაიონის სოფ. ჭალიდან. თქვენთვის მადლობის მეტი რა მეთქმის. თქვენ შეძელით შეუძლებელი. მე მარტოხელა 91 წლის პენსიონერს, რომელსაც არ მქონდა არავითარი ეკონომიკური საშუალება სახურავის შეკეთების, ჩამომდიოდა წვიმის წყალი და წვიმის დროს სად გადამეტანა საწოლი აღარ ვიცოდი, თქვენი წარმოუდგენელი დახმარებით, თქვენი უსაზღვრო სიკეთით ამ უბედურებას დავაღწიე თავი. ყოველივე ამას იმიტომ გწერთ, რომ მინდა გაიგოს მთელმა საქართველომ, თუ როგორი კაცური კაცი, როგორი პატრიოტი და ჰუმანისტი ბრძანდებით...

მე გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გახლავართ. ჩემი მამა მინა (მიხეილ) აბაშიძე 1936 წელს ივლისში რომ დააპატიმრეს 14 წლის გახლდით. მას შემდეგ თქვენზე არანაკლები სიძნელეების გადალახვა მომიხდა. ცხოვრებაში. უსახლკარობის, უსახსრობის და 65 წლის განმავლობაში შიმშილის (იგივე ცხოვრებით ვცხოვრობდი, როგორც დღეს, 91 წლის ასაკში) ფონზე ვაღწევდი მიზანს მეცნიერებაში: ორი საუკუნის განმავლობაში, რაც კაცობრიობას აწუხებდა, ის საკითხი ქალმა შევისწავლე და გადავჭერი, რისთვისაც დამჭირდა უარმეყო მსოფლიოს მეცნიერთა შორის გაბატონებული თეორია და ასეთ ფონზე მივაღწიე ექსპერიმენტალურად და მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგს. მიღებული მაქვს 52 წერილი, უამრავი ნომინაციებით, მაგრამ არც ერთისათვის არ მიპასუხია. არ რადგან ისიც მეყოფა, ვიყო ჩემი თავით კმაყოფილი, — შევასრულე ჩემი მისია კაცობრიობის და მეცნიერების წინაშე.

ამ წერილის გამოგზავნის მიზანი და თხოვნა არის არა მარტო ჩემი თავმოყვარეობის აღდგენა თქვენი დახმარებით, არამედ 1630 დოქტორისაც, ვისაც სააკაშვილმა „ჩარეცხილები“ გვიწოდა და მხოლოდ 100 ლარი მოგვცა პენსია, იგივე თანხა, როგორც მათ, ვისაც სულაც არ უმუშავიათ, გაგვათანაბრა მათთან, რომლებსაც არა აქვთ თუნდაც 1 წლის მუშაობის სტაჟი.

დარწმუნებული ვარ, რამდენიმე ასეულ კაცს, რომლებიც მუშაობენ თქვენს პარტიაში და კეთილსინდისიერად ემსახურებიან სამშობლოს, არავითარი პრეტენზია არ გააჩნდათ პრემიების მისაღებად. მაინც აჯილდოებთ და ამისათვის გამოყავით 2 მლნ ლარი, მაშინ როცა მხოლოდ 1 მლნ ლარი იქნებოდა საკმარისი 1630 დოქტორისათვის, რომ მათ განსხვავებით სხვა პენსიებისგან მიეღოთ თვეში დამატებით 50 ლარი პენსია. სწორედ ამით აღდგებოდა „ჩარეცხილების“ თავმოყვარეობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო 2012 წლის 17 აგვისტოს მივმართე ქალბატონ გუგული მაღრაძეს. მან ჩემი განცხადება გადასცა ბატონ ნოდარ ხადურს (განცხადების №501) და დღემდე ამ განცხადებაზე პასუხი არ მიმიღია. მივაკითხე ბატონ ივანე კილურაძეს, ასევე წერილი მივწერე განათლების და მეცნიერების მინისტრს ბატონ გიორგი მარგველაშვილს, მაგრამ არსაიდან ჯერ პასუხი არ მიმიღია. ამიტომ გადავწყვიტე „საერთო გაზეთის“ საშუალებით მომემართა თქვენთვის.

სწორად უნდა გამიგოთ მე, 91 წლის, ცხოვრებაში საკმაოდ გამოცდილ ქალს. რა ვქნა, თქვენი არ იყოს, მეც ძალიან პირდაპირი ვარ და თუ 1995 წელს სააკაშვილს ვუთხარი: „რა გინდა პარლამენტში რომ შედიხარ და კენჭს იყრი, როცა ეროვნული კაცი არა ხარ“-თქო, პრინციპით, „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. ნუ მიწყენთ და ზედმეტად ნუ გაანებივრებთ იმ ხალხს, რომლებიც პატრიოტული გრძნობით ემსახურებიან ხალხს და არა აქვთ არავითარი პრეტენზია ფულად შეფასდეს მათი პატრიოტული ღირსება.

გთხოვთ, ჩამოგვაშოროთ 1630 დოქტორს „ჩარეცხილების“ იარლიყი და განგვასხვავოთ სიმბოლურად დანარჩენი პენსიონერებისგან, თუნდაც 50 ლარის პენსიაზე მომატებით და ამ ძალისხმევით აღვიდგინოთ სააკაშვილის მიერ შებღალული თავმოყვარეობა.

**ელენე აბაშიძე**
91 წლის პენსიონერი

# ბილდერბერგერები

*ზღვაში წვეთია ინფორმაციები საიდუმლო ორგანიზაციების შესახებ. არადა, ეს ის ორგანიზაციებია, რომლებიც ხშირად ამერიკა-ევროპის „მეგობრული მხარდაჭერით“ შედიან ქვეყნებში და საბოლოო ჯამში, აპოკალიპსისთვის ამზადებენ მსოფლიოს.*



1897 წელს მსოფლიოს ყველაზე მდიდარმა ადამიანმა **ჯონ დეისონ როკფელერმა,** რომელიც კაცობრიობის ისტორიაში პირველი იყო, ვისაც მილიარდობით დოლარის ქონება გააჩნდა, საქმიანობა უფროს ვაჟს დევიდს გადასცა. დევიდ როკფელერი ითვლება დღეს ბილდერბერგერთა კლუბის საპატიო წარმომადგენლად. **ჯონ როკფელერი** თავისი მოღვაწეობის მწვერვალზე აშშ-ის ნავთობწარმოების 95 პროცენტის მფლობელი იყო. გარდაცვალების პერიოდში იგი ფლობდა მილიარდ ნახევარ დოლარს, რაც დღევანდელი კურსით 192 მლრდ დოლარის ტოლფასია. ჯონ როკფელერი დღემდე რჩება ყველაზე მდიდარ ადამიანად კაცობრიობის ისტორიაში.


სატანური რიტუალი ბუს ქანდაკების წინ

**ბარონი ამშელ როტშილდი** მულტიმილიონერთა რიგში მეორეა, იგი საბანკო მაგნატი გახლდათ, მას მოსდევს **ჰენრი ფორდი, ენდრიუ კარნეგი, ჯონ მორგან უმცროსი** – სატრანსპორტო კომპანიების მფლობელი. ჯონ მორგანმა დააფინანსა **„ტიტანიკის“** მშენებლობა და თვითონვე გააუქმა შემდეგ ბილეთი გემის ღია ზღვაში გასვლიდან 24 საათით ადრე... ამ ადამიანების შთამომავლები მართავენ დღეს მსოფლიოს. მსოფლიო მთავრობა ხელმძღვანელობს: მასონურ ლოჟებს, ევროსაბჭოს, გაეროს, მსოფლიო სახელმწიფოთა საიდუმლო სადაზვერვო სამსახურებს, რომლებიც ამზადებენ ნიადაგს ომებისთვის, რევოლუციებისთვის, ფლობენ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ბერკეტებს და თვით ვატიკანსაც.

**მიხეილ სააკაშვილი** მასონთა ბილდერბერგერული ორგანიზაციის წევრად არის აღიარებული. მაგრამ, სანამ სააკაშვილის ამ ორგანიზაციაში მოღვაწეობის შესახებ მოგითხრობდეთ, თვით ორგანიზაციის და მისი წევრების შესახებ.

„ბიდერბერგერთა“ ორგანიზაცია 1954 წელს ჰოლანდიაში ოტელ „დე ბილდერბერგში“ დაარსდა. ამ ორგანიზაციის წევრები წელიწადში ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს საიდუმლო შეხვედრაზე, სადაც პრესის წარმომადგენელთა დასწრება მკაცრად არის აკრძალული.

კლუბს www.liveinternet.ru-ს ინფორმაციით, ხელმძღვანელობს 98 წლის **დევიდ როკფელერი, ჯონ როკფელერის** შთამომავალი. კლუბის აღმასრულებელი მდივანი **ზბიგნევ ბჟეზინსკია,** რომელსაც ეკუთვნის გამონათქვამი: *„სოციალიზმის შემდეგ ჩვენი მტერი მართლმადიდებლობაა“.* იგი ბილდერბერგერთა სამმხრივი კომისიის თავმჯდომარეა, მას ეკუთვნის რუსეთის დანაწევრების გეგმა. რანგით შემდეგია **ბარონი ედმუნდ როტშილდი,** მსოფლიო ბანკის ლიდერი **ვოლკოვსკი, კონდოლიზა რაისი, დონალდ რამსფელდი, ჰილარი კლინტონი, დომინიკ სტროსკანი** და პლანეტის 120 ყველაზე მდიდარი ადამიანი – **ჯორჯ ბუში, ფილიპ გონსალესი, ბილ კლინტონი, ლორდი კარინგტონი** – ნატოს ყოფილი თავმჯდომარე, ჰოლანდიის **დედოფალი ბეატრიქსი, ჟან-კლოდ ტრიშე** – ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, **კლაუს შვაბი** – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამაარსებელი, **ბილ გეიტსი, ბონო** – **U2** წევრი, მომღერალი, „ბოჰემიან კლუბის“ წევრი (ეს კლუბი ეზოთერულ გაერთიანებას წარმოადგენს), **ფრენსის კოპოლა**-კინორეჟისორი, **გარი კასპაროვი** – მოჭადრაკე... მათ შორის არის **მიხეილ სააკაშვილიც** – ულტრალიბერალი, პროამერიკული ორიენტაციის მმართველი, მალტის მასონური ორდენის კავალერი. იგი დავოსის ფორუმის აქტიური წევრია, თუმცა ამ ფორუმის წევრობა მსოფლიო ძალაუფლების მფლობელთა შორის დიდი გავლენის მქონე არაა, მაგრამ მრავალმხრივ შესაძლებლობებს აძლევს და კავშირების გზებს უხსნის ფორუმის წევრებს.




ბილდერბერგერთა ჯგუფი განსაზღვრავს ომების დაწყება-დამთავრებას, ეკონომიკურ კრიზისებს, ან აღმავლობებს, მონეტარული კურსის ცვლილებებს, პოლიტიკურ ჩანაცვლებებს „დემოკრატიული“ წესით, პლანეტის დემოგრაფიულ საკითხებს.

ბილდერბერგერთა შეკრებები ყოველთვის გაზაფხულობით იმართება პარკებით გარშემოტყმულ უზარმაზარ ისტორიულ სასახლეებში. შეკრებებს იცავენ პოლიციელის მრავალათასიანი კორდონები და სამხედრო, მრავალრიცხოვანი სპეცრაზმი.

ბილდერბერგერები მოფრინავენ შავი ვერტმფრენებით და შემდეგ სხდებიან ტყვიაგაუმტარ ლიმუზინებში, რომელზეც აღნიშნულია ასო **B**.

ისინი იკრიბებიან ველური ბუნების (ტყე, ტბები, სანადირო მინდვრები და ა.შ) გარშემორტყმულ უზარმაზარ ათეულობით ჰექტარზე გადაშლილ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე. ტყის სიღრმეში ტბის პირას დგას 15- მეტრიანი ბუს ქვის ქანდაკება, მის წინ ანთებენ ვეებერთელა კოცონს და აწყობენ დრუიდულ-სატანურ ცერემონიებს. აქ მყოფი 2000 ადამიანი შიშვლდება და ყვებიან მთელი წლის განმავლობაში განხორციელებულ ყველაზე მასშტაბურ მავნებლურ და ბოროტ საქმეებზე. ეს უხერხული პროცედურა თითქმის ყველა ცნობილ პოლიტიკოსს აქვს გავლილი – **დიკ ჩეინის, დოლნალდ რამსფელდსაც** და სხვებსაც.

ბუ ბაბილონური ღვთაება მოლოხის ასოციაციით არის შექმნილი, მოლოხს ბაბილონელები ადამიანურ მსხვერპლსაც სწირავდნენ. ბუ „ბოჰემიან კლუბის“ ლოგოცაა...

შეკრებებისას ტარდება ალეგორიული თეატრალური წარმოდგენები, სეირნობენ ტბებში, აწყობენ ღრეობებს.

„ბოჰემიან კლუბის“ წევრების უმრავლესობა ამერიკელია და მათი უმეტესობა რესპუბლიკურ პარტიასთანაა დაახლოებული. მათ რიგებში ევროპელებიც არიან მაგალითად, **ჯონ მეიჯორი** — ბრიტანეთის ექს პრემიერ-მინისტრი, **მიშელ როკარდი**, საფრანგეთის ექს პრემიერ-მინისტრი და სხვები.

საინტერესოა, რომ მსოფლიო ბანკის, (რომელი ბანკის დაფინანსებულიცაა საქართველოში განხორციელებული ბევრი სახელმწიფო პროექტი), ახალი პრეზიდენტი რობერტ ზოელიკი ბილდერბერგის ჯგუფის წევრია.


ბილ გეიტსის მისაღები

ბილდერბერგერები ბოლო ხანებში დიდ ყურადღებას უთმობენ თურქეთს და მის გაერთიანებას ევროკავშირში.

დღეს ბილდერბერგერთა ჯგუფის წევრები არიან: **ეტიენ დევიგნონი**, იგი ბილდერბერგერთა პრეზიდენტი და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტია 1999 წლიდან.

**ჟოზე მანუელ ბაროზო** – ევროკომისიის პრეზიდენტი, ტრილატერალური კომისიის წევრი.

**ჰენრი კისინჯერი** – ე.წ. ცივი ომის ინსპირატორი და რეგულატორი, ნიქსონის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი როკფელერის რეკომენდაციით.

**დევიდ როკფელერი** – ბილდერბერგერთა და ტრილატერალური კომისიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

**ბერნარდ კუშნერი** – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

**ჟან კლოდ ტრიშე** – ევროპული ცენტრალური ბანკის მმართველი.

**რობერტ ზოელიკი** – მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე.

## NOVUS ORDO SECLORUM (ახალი მსოფლიო წესრიგი)

1875 წელს პარიზში მეხი დაეცა ილუმინატების კურიერს და იგი ადგილზე გარდაიცვალა. მის ჩანთაში აღმოაჩინეს დოკუმენტი სახელწოდებით „სატანის ახალი ალთქმა“. მეოცე საუკუნის დასაწყისში ამ დოკუმენტს „სიონის ბრძენთა ოქმები“ დაერქვა: დღეს მას „300 კომიტეტის გეგმებს“ უწოდებენ. ამ გეგმაში შედის – არ იბრძოლონ სიღარიბის დასაძლევად; პირიქით, სიღარიბესთან ბრძოლის საბაბით გააძლიერონ სიღარიბე მსოფლიოში, მოსპონ მედიცინის მიღწევები, გამოიწვიონ ომები და სისხლისღვრები, რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა დაიხოცოს...

1903 წელს პირველად გამოქვეყნდა ამ ოქმების ნაწილი რუსეთში. იგი იყო ორდენის საპროგრამო დოკუმენტის ნაწყვეტი, რომელიც „სატანის ახალ ალთქმაში“ იყო მოცემული...

„ტიტანიკის“ დაღუპვა, მსოფლიო ომი და საკონცენტრაციო ბანაკები ჩერნობილის ტრაგედია, სსრკ-ს დანგრევა, 11 სექტემბრის ტრაგედია ერთი და იგივე ჯაჭვის რგოლებია, რაც არც პირველი და არც უკანასკნელი გეგმებია მსოფლიო მთავრობის ხელში. ამ გეგმის ნაწილია ფერადი რევოლუციები მსოფლიოში, ისინი ვერ იტანენ ტრადიციულ ქვეყნებს, მშვიდობას და დღემდე ებრძვიან სტალინს, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში მთავარი გეგმების ხელისშემშლელს. მათ სურთ მსოფლიო ხალხთა დამონება. ანადგურებენ მათ, ვინც ხელს უშლით და სჭირდებათ ისეთი მონები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ, რომ მონები არიან და მოსწონთ თავიანთი მონური მდგომარეობა.

ზედმეტად უტრირებულად თუ არ მოგეჩვენებათ ჩემი პარალელები, თავად განსაჯეთ ერთი მუჭა ნაციონალთა მიერ განხორციელებული საქმეები 9 წლის განმავლობაში და დარწმუნდებით, რომ ფერადი რევოლუცია, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ სახელით მოინათლა საიდუმლო გეგმის ნაწილი იყო, განათლების სისტემის ნგრევა, მასობრივი უმუშევრობა, შიმშილი, H1N1, შიდსის ეპიდემიები, ნარკომანია (მსოფლიო ნარკობიზნესის ბოსად ინგლისის მასონური სამეფო კარი ითვლება) ადამიანების ხოცვა და რიტუალური წამება ციხეებში და ციხის სავადმყოფოებში, ადამიანები, როგორც მონები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ და ზოგ შემთხვევაში, დღესაც ვერ აცნობიერებენ ამ არსებულ რეალობას... მიხეილ სააკაშვილი, საიდუმლო ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის დავალება და მიზანია, რაც ნიშნავს – სიკვდილი ყველას, ვინც ამ გეგმას შეუშლის ხელს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

ჯემალ დავლიანიძე

# ზურაბ ჟვანიას მკვლელობა და გია ბარამიძე

შევარდნაძემ ე.წ. მოქკავშირის ახალგაზრდული ფრთის სახით ბნელეთის ძალა მოიყვანა ხელისუფლებაში. აი, ერთი მაგალითი, რომელსაც ვწერდი, 2001 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№48):

„დუღს და გადმოდუღს პარლამენტის საღომე ქვაბი და უცბად გაისმის:

— ჩვენს მეგობარს, ჩვენს თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ ჟვანიას მოკლავენ მყისვე, როგორც კი დეკემბრის 20-22 რიცხვი დადგება!

ვინ დაიძახა ბატონები ამგვარი რამ? ვითომ წინასწარმეტყველებაა თუ ბატონი პარლამენტარის გია ბარამიძის მკითხაობაა?

თითქმის მთელი კაცობრიობა შეიძრა და ტყვიის გავარდნის მოლოდინში გაითანგა: ჟვანია უნდა მოკლან! ჟვანია უნდა მოკლან! ჟვანიას მოკლავენ! ჟვანია იმ ქვეყნის გზას უნდა გაუყენონ (მკითხველი უკვე საოცრად განცვიფრდა, რადგან ყოველივე ის, რასაც ახლა ეცნობა, ჟვანიას მოკვლამდე, რამდენიმე წლით ადრეა დაწერილი. კერძოდ, ზემოთ ნათქვამი სიტყვები, ჩემს მიერ თქმული, როგორც უკვე მოგახსენეთ, გამოქვეყნებულია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო-ში“, 2001 წლის პირველ ნომერში, იანვრის თვეში).

გია ბარამიძეს ჰკითხეს: საიდან იციო?

აღმოჩნდა, რომ ყოველივე იუსტიციის მინისტრის, ბატონი მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი უწყებიდან, კერძოდ — სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტიდან მოდიოდა. იქ, თურმე ილვწის პატრიოტი, გვარად მსხვილიძე და თურმე მან მოიძია ეს ამბავი. (მაშინ ბატონებო, 2001 წელს პრეზიდენტად შევარდნაძეა, იუსტიციის მინისტრად მიხეილ სააკაშვილია, სასჯელთა აღსრულების უფროსად მსხვილიძეა და სახელმწიფო დაცვის უფროსად პაპაშვილია. როცა 2005 წელს ზურაბ ჟვანია მართლაც მოჰკლეს, ვინმე დაინტერესდა ჯერ კიდევ 2001 წელს ატეხილი ხმაურით — ჟვანიას აუცილებლად დეკემბრის თვეში მოკლავენო? დაიკითხა თუ არა მსხვილიძე, რომელიც ცოცხალია თუ არა, არავინ იცის! დაიკითხა თუ არა გია ბარამიძე! დაიკითხა თუ არა პაპაშვილი და თვით ორი პრეზიდენტი — ერთი ძველი — შევარდნაძე და მეორე ახალი — სააკაშვილი? ამავ დროს, ეს ე.წ. რეფორმატორების ჯგუფი ხომ პროამერიკული და პროდასავლური ხალხი გახლდათ და გახლავთ, რაზედაც გუშინდელი თუ დღევანდელი დღეც მეტყველებს, ხმა ამოიღო ევროამერიკამ? რა გამოიძიეს? და თუ გამოიძიეს, ეს ზემოთჩამოთვლილი „წინასწარმეტყველები“ რატომ არ დაკითხეს? ანდა, სად გააქრეს იმ ბინის პატრონი, სადაც ჟვანია და ის უბედური აზერბაიჯანელი გაგუდეს? კარგად მახსოვს, მხოლოდ ერთხელ გაელვებული ტელეკადრი, სადაც ბინის პატრონი ხელებს ასავსავებდა — ეს გაზის ლუმელი ამ დღეებში არ იყო, როდის მოასწრეს უჩემოდ ჩადგმაო?).

არადა, გია ბარამიძემ 2000 წლის 15 დეკემბერს განაცხადა: უკვე გამოიკვეთა სავარაუდო თავდამსხმელი, უკვე ვიცით, ვინ ამზადებს ტერორისტულ აქტს, ძირითადმა საშიშროებამ გადაიარაო.

იყვირეს! ქვეყანა შეძრეს! თუმცა მალევე გადაუვლია ღრუბელს! გაჰქრა თავდასხმაც, ტერორისტული აქტიც და მისი ავტორიც“.

მკითხველს მსურს ვუთხრა, რომ 2001 წელს მართლაც ჭორი მეგონა გია ბარამიძის მიერ წამოჭრილი ვერსია ზურაბ ჟვანიას მოკვლის თაობაზე.

გაიგუდა გაზის ნარჩენითო, - ასეთი იყო საგამოძიებო სტრუქტურების ანუ სამთავრობო ვერსია. მოკვლეული ფაქტები, მასალები და ანალიზები ამერიკაშიც გაიგზავნა, მაგრამ პასუხი ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, დღემდე უცნობია.

ბევრი რომ არ ვილაპარკოთ — ჩვენში ამერიკის ბატონობის, ბოგინის დროს გარდაიცვალა ზურაბ ჟვანია და ეს საიდუმლოებაც მათ უკეთ მოეხსენებათ.

ოჰ, ეს ამერიკული სული...

მუდამ ჩვენი თანამდევი და მავანთა ბედისწერა!

მოვლენებს წინ ხომ არ ვუსწრებ?

ჰო, მართლა, სად ვიყავით?

აბა, აბა მოვიგონოთ...

„2001 წელს ძველით ახალი წლის წინა დღეებში მიხეილ სააკაშვილი თავისი კდემამოსილი ღიმილით კვლავ გამოჩნდა ტელევიზიის ეკრანზე და გააგონა მთელ ქვეყანას: პარლამენტში ახალი პროექტი შემაქვს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად არის: ეთნიკური წარმომავლობის გასაიდუმლოება და სექსუალური უმცირესობის გამოძიების აკრძალვაო.

მაშასადამე, უნდა გაასაიდუმლონ ნებისმიერი ადამიანის ეროვნულობა და სექსუალური ორიენტაცია (მსურს მკითხველს შევახსენო, როცა მე მიხეილ სააკაშვილზე ამგვარ მამხილებელ წერილებს ვწერდი — 2001 წელს, ამჟამინდელი ოპოზიციის თითქმის ყველა წევრი მასთან ერთად „ილვწოდა“, მხარში უდგნენ, მისი მეგობრები იყვნენ და ხელისუფლებაში საპარპაშოდ ემზადებოდნენ!).

საზარელ მოვლენათა, სამარცხვინო ამბავთა, ღვთის საწინაალმდეგო მოქმედებათა ჩამოთვლა შეიძლება უსასრულოდ, მაგრამ თავს ნუღარ გადავიტვირთავთ. ერთი კითხვით შევიწუხოთ თავი: რითი განსხვავდება დღევანდელი მსოფლიო ძველი სოდომისაგან? ჰგვანან თუ არა მაშინდელი გარყვნილებანი ამჟამინდელს? და, ვითომ, სოდომი და გომორი მართლა ძველია თუ გუშინდელი ჩვენი დღეა?

არც სააკაშვილს, არც მის მოყვარულთ, არც მათ, ვინც მასზე ამყარებს იმედს, როგორც საქართველოს მიმავალ მეთაურზე, არ ესიამოვნებათ ამ წერილის წაკითხვა, მაგრამ...

ბიჭოს და ვეჟო!





პრესისა და მასმედიის თავისუფლებაზე რომ ყიჟინებთ, მაშ, რა გგონიათ?

როცა სააკაშვილზე ვლაპარაკობთ, ჩნდება აზრი, რომ საჭიროა დასკვნის გამოტანა. ეს ადამიანი იქნებ სპეციალურად აღზრდილ-გამოყვანილი პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც ამერიკამ შეგნებულად მოავლინა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიაში.

ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალური ორიენტაციის შესახებ სააკაშვილის მიერ „ჩამოკოკროჭინებული“ პროექტი საკმაოდ შორს მიმავალ მიზნებს ემსახურება:

1 პოლიტიკაში იმძლავროს ეთნიკურად არაქართველთა ნაკადმა, რაც უცნობი უნდა იყოს საქართველოს მოსახლეობისათვის.

2 პოლიტიკაში უნდა მოვიდნენ გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის, ანუ პირდაპირ რომ ვთქვათ, ჰომოსექსუალისტები — სხვადასხვა ჯურის და ყაიდისანი.

ვფიქრობ, - სააკაშვილი თუ კავკასიელია, ამ საქმეს სულ სხვაგვარად უნდა აფასებდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მას, სავარაუდოა, საზღვარგარეთელი დამკვეთნი ჰყავს!

როგორც ჩანს, იგი სათანადო დავალებას ასრულებს და ამ დავალებით ჩვენი მამულის, ენის, სარწმუნოების წინააღმდეგ ილაშქრებს (არ დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ 2001 წელიწადია და სააკაშვილი, პრეზიდენტად ორ წელიწადში მოგვევლინება!)!

ქართველებს გვსურს ვიცოდეთ — ეთნიკურად რა ჯიშის კაცი მართავს ქვეყანას და სექსუალურად იგი ცვედანი არის თუ არა!“

აი, ბატონებო, დასრულდა 2000-2001 წლებში ჩემს მიერ დაწერილი გაფრთხილება მთელი საქართველოსადმი მიმართული!

როგორც არაერთხელ გითხარით, ეს წერილების სერია იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“-ს ფურცლებზე (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2000 წ., №48, 2000 წ. №49, 2001 წ. №1, 2001 წ. №6, 2001 წ. №7).

ახლა ვიკითხოთ:

მე, ჯემალ დავლიანიძემ, 4 წლით ადრე შევიცანი მიხეილ სააკაშვილი და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ამხელა იმპერიამ, მისი შიშით ცაში ბუზი რომ ვერ გადაიფრენს და მიწაში კიდევ მატლი ვერ გახოხდება, ვერასგზით ვერ „განჭვრიტა“, რას წარმოადგენდა, რას ჩაიდენდა მათი „ახალი პროექტი“ (სააკაშვილი)?

იცოდნენ და ჩინებულადაც იცოდნენ.

ეს ჩვენ, საქართველოს მოსახლეობას აგვიხვიეს თვალები, თორემ... სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში მოსაყვანად, ჯერ კიდევ შევარდნაძე აწარმოებდა განსაზღვრულ სამუშაოებს.

არადა, შევარდნაძემ, ისევ და ისევ ამერიკელ დამკვეთთა სურვილებით და ფარული ბრძანებებით, ყოველივე ისე მოაწყო, რომ შემდგომ, ახალ პროექტს ანუ მიხეილ სააკაშვილს „გამოესწორებინა“, ანუ, რაც ბუნებრივად უნდა გვქონოდა და სპეციალურად წაგვართვეს, ერთ მშვენიერ დღეს, სააკაშვილმა გვიბოძა!

ჯერ ის ეშმაკობა რად ღირს, რაც მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ პოლიტიკურ პარტიას უწოდა: ნაციონალური პარტია!

თქვე მამაცხონებულებო, ევროამერიკელებს ელეთმელეთი მოსდით, სიბრაზისგან კანკალებენ სიტყვა „ეროვნული“-ს გაგონებაზე და ამ საქართველოში რა ნაციონალური პარტიის დაარსება აუტყდათ?

უეჭველია, რომ ქართველთა დასაბნევად, ქართველთა მოსატყუებლად მოიქცნენ ასე!

აი, ხედავთ, მოქალაქეთა კავშირი, ძველის-ძველი, ყოფილი კომუნისტური პარტიის ძველი მუშაკის, შევარდნაძის მიერ შექმნილი, ეროვნული ანუ ნაციონალური პარტიით შეიცვალაო!

ამერიკელთა ჩანაფიქრი აღსრულდა, საქართველოში მოახდინეს „ვარდების“ უსისხლო რევოლუცია ანუ შევარდნაძე გაუშვეს დამსახურებულ პენსიაზე. დანარჩენი კი გახლდათ მხოლოდ სპექტაკლი! სხვათა შორის, ძალიან უნიჭოდ და თავხედურად დადგმული, რომელმაც მაინც მოატყუა მრავალი ჩვენი მოქალაქე!

ამერიკელთა ჩანაფიქრი კი...

კავკასიაში ფეხის მოსაკიდებლად საჭიროა საქართველოს ათვისება!

საჭიროა მთელ კავკასიის მოსახლეობას მიეცეს მაგალითი, რომ რუსეთისგან გამოყოფის შემდგომ, ისინიც საქართველოს მსგავს დემოკრატიაში გაეხვევიან!

მათაც, მიუხედავად იმისა, რომ მიუნგრ-მოუნგრევენ მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, მაინც უსასრულოდ დაეხმარებიან! ევროკავშირისკენ გაუხსნიან გზას და მილიონობით კრედიტებს მისცემენ!

საქართველო (სხვების დასანახად!) ევროპული სახელმწიფოა!

ამიტომ, თვალი უნდა გაახილოს მთელმა ჩრდილო კავკასიამ და ეროვნული მოძრაობა გამოაღვიძონ! უნდა მოითხოვონ დემოკრატია და რუსეთის წინააღმდეგ წამოიმართონ!

დამოუკიდებლობისკენ წინ!

ევროამერიკისკენ წინ!

თავისუფლებისკენ — წინ!

საამისოდ, მთავარია აუჯანყდნენ რუსეთს და ჩამოსცილდნენ. უნდა იბრძოლონ უსასრულოდ და დაამყარონ დემოკრატიული წყობა!

და, ჯამში, იქნებიან ზუსტად იმ დღეში, რომელშიც დღეს საქართველოა!

შევარდნაძის პერიოდში, ამ ვამპირის მიერ გამოყენებულმა ინტელიგენციამ, თავისი სიბეცით, თავფქვილობით ერთხელ ხომ დაღუპა საქართველოს დამოუკიდებლობა...

სააკაშვილმა, უკვე გამოყენებული იგივე ინტელიგენცია, უმოკლეს დროში საუნიტაზე წყლის შხეფით ჩარეცხა...

ჯერ ცეცხლი წაუკიდა, როგორც უკვე გამოყენებულ ქაღალდს, შემდეგ კი ფერფლი წყალს გაატანა!

მიუხვდნენ, განა ვერ მიუხვდნენ, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი.

-ვაკეთებთ! — გაჰყვირის სააკაშვილი და ბრძნულად, თუმცა ენაარეულად ამატებს — ვაკეთებთ, მაგრამ... გასაკეთებელი კიდევ ბევრია! რაო, რომ დამცინიან სომეხი ხარო, - დიახაც, სომეხიც ვარ, აზერბაიჯანელიც ვარ, ებრაელიც ვარ, ბერძენიც ვარ, ოსიც ვარ, აფხაზიც ვარ, გერმანელიცა, ფრანგიცა, ესპანელიცა, ჰოლანდიელი ხომ ვარ და ვარ! ყველაფერი ვარ! ყველა ეროვნებაა ჩემში, ოღონდ რუსული ერთი წვეთიც არ გამაჩნია სისხლში!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #02

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# უძილობის მკურნალობა ხალხური მედიცინის რეცეპტებით



უძილობა არის ძილის პროცესის დარღვევა ნერვული სისტემის აღგზნებადობის მიზეზით. ამ დროს ადამიანი დროზე ვერ იძინებს, ან იღვიძებს ჩვეულებრივზე ადრე. ზოგჯერ ძილი ხანგრძლივია, მაგრამ ზერელე. ასეთ დროს ხშირია სიზმრები, ხშირად ეს სენი აწუხებთ გონებრივი შრომით გადაღლილ ადამიანებს.

უძილობის მკურნალობა ხალხური მედიცინის რეცეპტებით

**თაფლი ვაშლის ძმრით**

3 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი 1 ჩაის ჭიქა თაფლში არეული არაჩვეულებრივი საძილე საშუალებაა. ძილის წინ ღებულობენ 2 ჩაის კოვზს. მიღება შეიძლება ღამით.

**შვრია**

1 სუფრის კოვზი შვრიის მარცვალი ან ფანტელები უნდა იხარშოს 2 ჭიქა წყალში დიდხანს (განახევრებამდე). სვამენ როგორც ჩაის.

**ივან–ჩაი**

2 სუფრის კოვზ ივან-ჩაის (იყიდება აფთიაქებში) ასხამენ 2 ჭიქა მდუღარე წყალს თერმოსში და აჩერებენ 6 სთ. ღებულობენ თანაბარ ულუფებად 3-4-ჯერ დღეში ნევრასთენიის, უძილობისა და თავის ტკივილის დროს.

**ვალერიანას ძირები**

ვალერიანას დაქუცმაცებულ ფესვებს (2 ჩაის კოვზს 1 ჭიქა მდუღარე წყალზე) ათავსებენ მდუღარე წყლის აბაზანაში 30 წუთით. ღებულობენ 1 სუფრის კოვზ ნაყენს დღეში 3-4-ჯერ. ბავშვებს აძლევენ ჩაის კოვზით 2-3-ჯერ დღეში. ძლიერი აღგზნებადობის დროს შეიძლება 1/2 ჩაის ჭიქა ვალერიანის ნაყენის მიღება 2-3-ჯერ დღეში.

**ძილის ბალიში**

ავსებენ ბალიშს თავშავას ყვავილებით, არყის ხის ფოთლებით ან სვიის გირჩებით, ამ მცენარეების აქროლადი ნივთიერებების გავლენით ძილის პროცესი უმჯობესდება.

# ხალხური მედიცინა გულის სამსახურში

სტენოკარდიისა და სისხლის მიმოქცევის უკმარისობის დროს:

ერთმანეთში აურიეთ 1 ლ თაფლი, 10 ც ლიმონის წვენი, 10 თავი დანაყილი ნიორი, ჩაასხით მინის ქილაში, თავზე დაახურეთ და ერთი კვირა გააჩერეთ. მიიღეთ 4 ჩ/კ ერთ ჯერზე ყოველდღე (ნელა ჩაყლაპეთ). ეს ულუფა 2 თვის სამყოფია.



2 ს/კ კუნელის ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და 10 წუთით ადუღეთ. გააცივეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ 3-4-ჯერ დღეში. კუნელი ტონუსს მატებს გულის კუნთს, შველის არითმიას და ტაქიკარდიას, აქვეითებს არტერიულ წნევას.

10 გ კუნელის ხმელ ყვავილს დაასხით 100 გ არაყი და გააჩერეთ 21 დღე ბნელ და გრილ ადგილას. გაწურეთ და მიიღეთ 7 წვეთი თბილ წყალთან ერთად. ჩვენებები იგივეა, რაც წინა რეცეპტის დროს.

სტენოკარდიის დროს შეურიეთ ერთმანეთს თითო წილი კრაზანა, ფარსმანდუკი, ვალერიანის ფესვი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, 3 საათი გააჩერეთ, შემდეგ დადგით ცეცხლზე და 5 წუთი ადუღეთ. გააცივეთ და გაწურეთ. მიიღეთ 3-ჯერ დღეში.

გულის ფრიალის დროს – 1-2 ჩ/კ ლურჯ ღიღილოს დაასხით 1 ჩ/ჭ ადუღებული წყალი, 1 საათი გააჩერეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში ჭამამდე 10-15 წუთით ადრე.

ინფარქტის შემდეგ:

შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის წყლის სამყურას ყვავილი, ძიძოს ბალახი, კამის თესლი, პიტნის ფოთოლი, ასკილის ნაყოფი, აბზინდის ღერო. 1 ს/კ ნარევს დაასხით 300 მლ ადუღებული წყალი, 6 საათი გააჩერეთ და გაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში.

შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის მარწყვის, წყალნაწყენისა და ქაფურის ფოთლები, ქრისტესისხლა და ტიგანი, ძახველის ყვავილი. ნარევი დაფქვით და 1 ს/კ კოვზს დაასხით 300 მლ მდუღარე წყალი, 2 წუთი ადუღეთ, 2 საათი გააჩერეთ თბილ ადგილას, გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჭიქა თბილი ნახარში ჭამის შემდეგ.

ერთმანეთს შეურიეთ თანაბარი რაოდენობის კამის თესლი, ცაცხვის, კუნელის, კალენდულას ყვავილი და შვრიის ღერო. 5 გ დაქუცმაცებულ ნარევს დაასხით 250 მლ მდუღარე წყალი, 3 საათით გააჩერეთ თერმოსში, გაწურეთ და მიიღეთ 50 მლ თბილი ნაყენი 3-4-ჯერ დღეში. ჭამამდე 30 წუთით ადრე.

ეს ნაყენები მიიღეთ ინფარქტიდან ნახევარი წლის განმავლობაში. ნაკრები ცვალეთ 2 თვეში ერთხელ.

რა თქმა უნდა, ეს სამკურნალო საშუალებები დამატებითია იმ მკურნალობასთან ერთად, რასაც ექიმი დაგინიშნავთ.

გახსოვდეთ! გულის დაავადებების დროს რეკომენდებული ხალხური მედიცინის რეცეპტები სიფრთხილით უნდა გამოიყენოთ. შეიძლება არასწორმა მიღებამ ან დოზის გადაჭარბებამ სავალალო შედეგი გამოიწვიოს.

# ნიკრისის ქარი

ნიკრისის ქარი (პოდაგრა) სახსრების დაავადებაა. მისთვის დამახასიათებელია უეცარი შეტევა, ძლიერი ტკივილი (უმეტესად ფეხის ცერისა). ქრონიკული დაავადება ხელს უწყობს სახსრების დეფორმირებას. ნიკრისის ქარს იწვევს:

ნივთიერებათა ცვლა, შარდმჟავას გამხსნელი ფერმენტების არარსებობა, ხოლო გაუხსნელი შარდმჟავას მარილები მიკროკრისტალებად ლაგდება სახსრებსა და თირკმლებში. შარდმჟავას ცვლა შეიძლება დაირღვეს გასუქების, დიაბეტისა და თირკმლების დაავადების დროს. უპირველეს ყოვლისა, მკურნალობა უნდა დაიწყოთ შარდმჟავას მარილების ნაერთების შემცირებით – რევმატოლოგების მიერ სპეციალურად შერჩეული თერაპია ხელს უშლის მათ წარმოქმნას და გამოდევნის ორგანიზმიდან. ნიკრისის ქარის დროს რეკომენდებულია ანთებსაწინააღმდეგო, შარდმდენი და ტკივილგამაყუჩებელი ბალახების ნახარში.

სასარგებლოა გვირილის (აფთიაქის), ცაცხვის, შავი დიდგულას და კრაზანას ნაერთის ნახარში. პირველ რიგში, უნდა შეამციროთ ნუკლეინის მჟავას შემცველი პროდუქტების მიღება. ასეთებია: სუბპროდუქტები (ღვიძლი, თირკმელი, გული), ბულიონი, შებოლილი ხორცი, პომიდორი, ყვავილოვანი კომბოსტო, ბადრიჯანი, კვერცხი, ყავა, შოკოლადი, ყურძენი, მარილიანი, ცხარე და მწარე საკვები. უპირატესობა მიანიჭეთ რძის პროდუქტს, პურს, ყველს, კარტოფილს, ბურღულეულს.



# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**-ვიმყოფები ქორწინებაში, მაგრამ ჩემი მეუღლე სამი წლის წინ გაემგზავრა რუსეთში და მას შემდეგ თვალით არ მინახავს. ჩვენ საერთო შვილი არ გვყავს. გადავწყვიტე, ვიშვილო გოგონა. მე კი ყოფილ ქმართან ისევ ქორწინებაში ვიმყოფები. შემიძლია თუ არა, შვილად აყვანის პროცესი დავიწყო, მისი თანხმობის გარეშე?**

-ზოგადად,თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს, აუცილებელია მეორე მეუღლის თანხმობა. მაგრამ არსებობს გამონაკლისი. კერძოდ; მეუღლის თანხმობა საჭირო არ არის შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ მეორე მეუღლე აღიარებულია ქმედუუნაროდ;

2. თუ მეუღლეებს, ფაქტობრივად, შეწყვეტილი აქვთ საქორწინო ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში;

3. მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია.

აქედან გამომდინარე, შეგიძლიათ დაიწყოთ შვილად აყვანის პროცედურა მე-2 ან მე-3 შემთხვევების, ან ერთ-ერთის მითითებით.

* * *

**-რა შემთხვევაში ითვლება დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად?**

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება, აგრეთვე, საქართველოს კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილ დანაშაულზე.

* * *

**-საქართველოს მოქალაქე, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა საზღვარგარეთ, შეიძლება თუ არა, გასამართლდეს საქართველოს კანონმდებლობით?**

-შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსის 221-ე /კომერციული მოსყიდვა/ , 338-ე / ქრთამის აღება/, 339-ე /ქრთამის მიცემა/ ან 339-პრიმა /ზეგავლენით ვაჭრობა/ მუხლით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით.



* * *

**-შეიძლება თუ არა, პოლიტიკური მრწამსისთვის დევნილი პირი გადაეცეს სხვა სახელმწიფოს?**

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არ შეძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისთვის, აგრეთვე, ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.







## თავსატეხი

შვეულად: ალალი, ბაჭია, გოშია, ელიტა, ეჟენი, ვერია, ზუმბა, იამბი, ისაკი, კიდერი, ნანტა, ოდესა, პიონი, ტიპრი, ჩალმა, ცვარი, წყრთა, ჰელეა.

თარაზულად: აკვლი, ანდრია, ალქაი, ანაპი, ბეღლები, ფერიბა, თოთხელი, ოპერეთი, ლინკი, მაკნე, ქუსტი, ფანტი, რეზბი, ქვაბი, ლოტბი, ყალბი, შოშია, წუმპე, ჯორტია, პანგი.

## სამიდან ერთი

შვეულად: 1. კოლორიტი, კედარი, კარეტა. 2. სილაღე, სექტორი, სულელი. 3. ნოკიბა, მელოდია, ზარაბი. 4. ქუსლი, ხიბჯა, ტოლმა. 5. ხარშა, რიგზა, კარეტა. 6. მუხლი, პოსტა, შარაი. 11. სტასული, რეკლამა, კონცხი. 12. ტყემალი, პროტონი, პლანერი. 13. ზელამე, კაზუსი, პასტა. 14. სურამი, ტყუპეცი, მონეტა. 15. ტარიფი, რიტორიკი, ფუფალა. 16. ნოქარი, მუსური, ნიკელა.

თარაზულად: 3. მინარეთი, ნიზარემი, ჭადარიძე. 7. ვასიკო, ზოლელი, დონარა. 8. ფუნტუჩები, კანკარი, სოლომონი. 9. მურანი, ყულაჩა, ჯინჯოლი. 10. ბარხოტა, ხაოჩიტა, კონსოსი. 13. ჭადელი, ფოლადი, კანერა. 17. სპორტი, სარქელი, პასტელი. 18. ზაზუნა, ზენიტი, ზუმერი. 19. ტრუზები, კრაზანა, კარვერი. 20. სიტარა, სულელი, სალარი. 21. კრამიტი, პლენერი, პლატინა.

## შიფრკროსვორდი

# ადამიანი – სასწაული



საიდუმლოებით მოცულმა ფენომენალურმა ჰოლანდიელმა მირინ დაჯომ იმით გაითქვა სახელი, რომ საკუთარ სხეულს ნემსების ბალიშივით იყენებდა. მას 80-სანტიმეტრიანი დაშნებით გამჭოლად გმირავდნენ. ის კი ისე გამოიყურებოდა, თითქოსდა გაჩერებაზე იდგა ავტობუსის მოლოდინში, გაუნძრევლად და ტკივილის შეუგრძნობლად... არც სისხლის კვალი ჩანდა.

ციურიხის ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზ “კორსოში“ მოწყობილი ჩვენების შემდეგ მთელი ქალაქი მის შესახებ ალაპარაკ-და. თანაშემწე მას გულმკერდის არეში და ზურგში ხანჯლებსა და დაშნებს უყრიდა. ის კი აბსოლუტურად არ რეაგირებდა ამაზე ...

აი, როგორ აღწერს მის გამოსვლას ერთი თვითმხილველი: „წელს ზევით გაშიშვლებული მირინ დაჯო მდუმარედ იდგა შუა ოთახში. სწრაფად მიუახლოვდა მას თანაშემწე უკნიდან და 80 სანტიმეტრიანი დაშნა გაუყარა, სადღაც თირკმელების არეში. სამარისებური დუმილი. სტუდენტები და მასწავლებლები პირდაღებულები სხედან. საკუთარ თვალებს ვერ უჯერებენ. ეჭვი არაა დაშნამ სხეულში გაიარა, მისი წვერი წინიდანაა გამოჩრილი. ყველაზე საოცარი რამ კი ისაა, რომ მის სხეულზე სისხლის ერთი წვეთიც არაა...” წამახვილებული წკირები („სპიცები“) და დაშნები გულში, ფილტვებსა და ელენთაში გადიოდა, ზოგჯერ ორგანიზმში რამდენიმე ერთდროულადაც და ყველაფერი ეს უსისხლოდ მთავრდებოდა. დროდადრო შხამიანი იარაღის პირებს ან მოწამლულ ბასრ რკინებს უყრიდნენ სხეულში. ციურიხში ერთ-ერთი გამოსვლისას მაყურებლისათვის იმის დასამტკიცებლად, რომ ეს არ იყო თვალთმაქცობა, დაჯოს სამი 8 მილიმეტრი დიამეტრის მქონე მილი გაუყარეს, რომლებშიც წყალს ასხამდნენ და ის მეორე მხარეს გადმოდიოდა.

მან სახელი, მართალია, ცივი იარაღის სხეულში გარჭობით გაითქვა, მაგრამ შუშის ნამსხვრევებსაც და სამართებლებსაც მიირთმევდა. მოგვიანებით, ამის შესახებ დაჯო ამბობდა: შეჭმული შუშა და რკინები ჩემს სხეულს ისე შეერწა, როგორც საჭირო ვიტამინებიო.



1947 წლის 31 მაისს დაჯომ ამ საოცარი უნარის დემონსტრირება ციურიხის კანტონალურ ჰოსპიტალში მოახდინა მრავალრიცხოვანი ექიმებისა და ჟურნალისტების თანდასწრებით. მირინ დაჯო ჩვეულებრისამებრ წელს ზემოთ გაშიშვლდა და როდესაც თანაშემწემ რაპირით გული, ფილტვები და თირკმელები გაუკვეთა, ტკივილი არც კი უგრძვნია, სისხლის წვეთიც არავის დაუნახავს. ჰიპნოზის შესაძლებლობა რომ გამოერიცხათ, გადაწყვიტეს რენტგენი გადაეღოთ, მაგრამ ექიმებმა ვერ მოიფიქრეს, როგორ მიეყვანათ იგი რენტგენის კაბინეტამდე, რადგან საკაცეები რაპირაგარჭობილი ადამიანის ტრანსპორტირებისათვის არ არის მოწყობილი. დაჯომ დაამშვიდა ისინი და განაცხადა, რომ თითონვე მივიდოდა იქამდე, სადამდეც საჭირო იქნებოდა. შემდეგ, რაც დაშნაგაყრილ მირინ დაჯოს რენტგენის სურათები გადაუღეს, ყოველგვარი ეჭვები აღმოიფხვრა, მეცნიერები დარწმუნდნენ,



რომ იარაღმა რამდენიმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოში: ფილტვებში, გულში, თირკმელებში გაიარა... ეს კი სასიკვდილო უნდა ყოფილიყო. ექიმები მოსალოდნელი სერიოზული სისხლდენისათვის მოემზადნენ. თუმცა, როცა იარაღები ფრთხილად გამოიღეს დაჯოს სხეულიდან, სისხლის რამდენიმე წვეთს მოჰკრეს თვალი, კანზე კი ძლივს შესამჩნევი ლაქები დარჩა. პატარა ჭრილობები მობანეს და დაუმუშავეს, თუმცა მირინ დაჯომ მაყურებლები დაამშვიდა, რომ ამის აუცილებლობა არაა – მას ინფექცია არ ემუქრება. დაჯოს თანაშემწე დე გროოტი ამტკიცებდა, რომ ორგანიზმის შიდა ძალა იარაღის პირებს ღუნავდა და მათ სხვა მხარეს მიმართავდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დაჯოს ხანჯლები და რაპირები არავითარ ზიანს არ აყენებდა და მსახიობი თავს მშვენივრად გრძნობდა, მაყურებლები ხშირად კარგავდნენ გონებას, ზოგჯერ საავადმყოფოშიც ხვდებოდნენ. ერთ-ერთი წარმოდგენისას, რაპირა ძვალს შეეხო. აბსოლუტურ სიწყნარეში ოდნავი ღჭრიალის ხმაზე რამდენიმე ადამიანს გული წაუვიდა.

მირინ დაჯოს სიმდიდრის მოპოვების სურვილი არასდროს ჰქონია. მას უნდოდა მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, რომ არსებობს რაღაც აღმატებული, ვიდრე რეალობაა და ადამიანს არამატერიალურ სამყაროშიც შეუძლია არსებობა. იგი ირწმუნებოდა, რომ ლითონი კი არ გადის მასში, არამედ თვითონ გადის ლითონში. მის მდგომარეობას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, უნარი ჰქონდა ჩართულიყო და გამორთულიყო. ერთხელ მან ხელიც კი მოიტეხა, მაგრამ მაშინვე გაისწორა ძვალი და გადანატეხი გაქრა... საინტერესოა, რომ ადამიანები, რომლებიც ორგანიზმის ფენომენალური უნარების დემონსტრირებას ახდენენ დამანგრეველი ომების შემდეგ გამოჩნდებიან ხოლმე. ასეთები იყვნენ: მესინგი, ბომბარი, ჰეიერდალი...

ერთ-ერთი ვარჯიშისას დაჯო სავსებით უხილავი გახდა და მხოლოდ მაშინ გახდა ხილული, როცა ემოციური წონასწორობა დაირღვა. მირინ დაჯო ამბობდა, ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ არსებობს უმაღლესი ძალა, წყარო, ღმერთი, რომელიც მასზე გავლით მუშაობს და რომელმაც მიანიჭა კიდეც მას ეს ძალა, როგორც ნათელი ნიშანი იმისა, რომ სამყაროს მატერიალისტური სურათის მიღმა არსებობს რაღაც აღმატებული. ის ირწმუნებოდა, რომ აუცილებლად მიიტანდა სამყაროს მიმართვას ადამიანებამდე, იმის შესახებ, რომ მატერიალისტური გზა ხალხებს სიღატაკემდე და ომებამდე მიიყვანს. ერთ დღეს დაჯოს თანაშემწე იან დე გროოტი აეროპორტში წავიდა ცოლის დასახვედრად. დაჯო სახლში დარჩა. სახლში დაბრუნებულმა დე გროოტმა დაჯო ლოგინში დაწოლილი ნახა. იან დე გროოტმა იცოდა, რომ მისი მეგობარი ხშირად მედიტირებდა და სხეულს ტოვებდა. ამიტომაც მან ჩვეულებისამებრ, პულსი გაუსინჯა და როცა დარწმუნდა, რომ ძლიერი და თანაბარი ჰქონდა, დასაძინებლად დაწვა. დაჯო



არც მეორე დღეს ამდგარა. ის არასოდეს ჩავარდნილა ასე ხანგრძლივ ტრანსში, დე გროოტი შეშფოთდა, მაგრამ დაჯო ღრმად სუნთქვას განაგრძობდა და პულსიც თანაბარი ჰქონდა. მესამე დღეს, დილით, დე გროოტმა ისევ შეიხედა მეგობრის ოთახში. დაჯოს უკვე აღარც პულსი ჰქონდა და აღარც სუნთქავდა. 1948 წლის 26 მაისს მირინ დაჯო მკვდრად გამოცხადდა. გაკვეთის შედეგების თანახმად, აორტის გახეთქვისაგან. არაჩვეულებრივმა ჰოლანდიელმა ყველაფერი იცოდა თავისი სიკვდილის შესახებ. მან რამდენიმე თვით ადრე ჰოლანდიიდან შვეიცარიაში გამგზავრებისას თქვა, რომ მეტად ველარ ნახავდა მშობლიურ ქვეყანას. უკანასკნელ საბედისწერო ექსპერიმენტამდე კი სთხოვა გროოტს, არ დახმარებოდა მას, რათა მერე პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება შეძლებოდა... მეცნიერების ვარაუდით, მირინ დაჯო ჭეშმარიტად უნიკალური შემთხვევა იყო. არც მანამდე და არც შემდგომში, არავითარი მსგავსი რამ არ განმეორებულა.

## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** – ოჯახი თქვენს აქტიურ მოქმედებას მოითხოვს. ყოველდღიური ვალდებულებების შესრულება დიდ ენერგიას წაგართმევთ.


**კურო** – შემოქმედებით ადამიანებთან ურთიერთობა დაგეხმარებათ საკუთარი მონაცემების გამომჟღავნებასა და გამოყენებაში. ეს კვირა კარგია ცოდნის ასამაღლებლად.


**ტყუპები** – აქტიური ცხოვრების წესი, გაიძულებთ არ დაკმაყოფილდეთ მიღწეულით და გააგრძელოთ წინსვლა.


**კირჩხიბი** – კარგი განწყობა და შემოქმედებითი თვითრეალიზაციის სურვილი მოგიტანთ წარმატებას პარტნიორულ ურთიერთობებში.


**ლომი** – გამდიდრებისა და ქონების მოხვეჭის სურვილი შეგიპყრობთ და სწორედ ამიტომ მზად იქნებით, ყველა ფინანსურ საქმეს თავად გაუძღვეთ.


**ქალწული** – ამ კვირაში თქვენს ყურადღებას ეკონომიკურ პრობლემებზე გადაიტანთ და შეეცდებით, გაზარდოთ თქვენი შემოსავალი.


**სასწორი** – ამ კვირაში შეძლებთ იპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. ფინანსური დახმარებისთვის თამამად შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს პარტნიორებს.


**მორიელი** – გაგიჩნდებათ გართობის სურვილი. საკუთარ ქცევას მიაქციეთ მაქსიმალური ყურადღება.


**მშვილდოსანი** – სამსახური დიდ დროს წაგართმევთ, ოჯახი და პრობლემები დამატებით ყურადღებას და მზრუნველობას მოითხოვს თქვენგან.


**თხის რქა** – იმედგაცრუებული იქნებით. ფრთხილად იმოქმედეთ დასახული მიზნის მისაღწევად. შესაძლოა, გარკვეული ფინანსური გარიგების წინაშე აღმოჩნდეთ.


**მერწყული** – ფულის შოვნას ამჯრად დიდი მონდომებისა და თავდადების ხარჯზე მოახერხებთ. ეკონომიკური სტაბილურობა თქვენი დაღლილობის კომპენსაციას მოახდენს.


**თევზები** – თავისუფლების სიყვარული, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა გიბიძგებთ სრულიად მოულოდნელი ქმედებებისკენ.

**სკანვორდის პასუხები:**

1.შორტრეკი. 2. სტიმული. 3. სახრავი. 4. მუხრან. 5. უწყინარი. 6. კეკლუცი. 7. ყუა. 8. ფოლადი. 9. ტანტალი. 10. ორბელიანი. 11. დეუ. 12. კვადრატი. 13. ფოიერვერკი. 14. ცხიმი. 15. მანიო. 16. დიაკონი. 17. ვენდისპანსერი. 18. ხორცმეტი. 19. კრაველი. 20. ედემი. 21. ამსა. 22. კრინტი. 23. მორფინი. 24. ვერცხლი. 25. რობიკო. 26. დისპუტი. 27. მადანი. 28. ტურე. 29. როდეო. 30. სირი. 31. პალანკინი. 32. ლივლივი. 33. ზემფირა. 34. ნიდერლანდები. 35. ჯიბრი. 36. სოკერი. 37. აყლაყუდა. 38. ყანა. 39. სარი. 40. კეიპტაუნი. 41. კეისარი. 42. კირასარი. 43. ექსპერტი. 44. სმიტი. 45. ცეხი. 46. ალპები. 47. მონიკა. 48. ქორო. 49. მონასპა. 50. პაბი. 51. ტრენერი. 52. ტრიტონი. 53. ციმბირი. 54. ცირცელი. 55. კონკია. 56. ერიკ. 57. ლაცკანი. 58. კავალერი. 59. კოკარდა. 60. ნატი. 61. ანუკ. 62. იუტა. 63. ცელი. 64. ცაცია. 65. კანი. 66. კროუ. 67. ლიანგი. 68. პირანია.